# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 6 დეკემბერი 2007 №282 (3205)

ფასი 50 თეთრი


# ცუდი უცუდესის ასაცილებლად

გუშინდელ ამერი – ვიტ ჯორჯიამდე საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში თამაში ხუთი წელი არ ჩაშლილა. მაშინ ზესტაფონში მეტალურგი – ვიტ ჯორჯია შეწყდა



დღეს ეროვნულ სტადიონზე პირველი წრის მთავარი მატჩია, „დინამო" „ზესტაფონს" მასპინძლობს და აქ გაირკვევა შემოდგომის ჩემპიონი. „ეროვნულის" ტრიბუნებზე კი აუცილებლად ამაზეც იბჭობენ: რა მოხდა გუშინ გლდანში?

## პენალტი, ყვითელი, წითელი, ყვითელი, გოლი, ყვითელი, წითელი და... გუნდი მოედნიდან გავიდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კონტრაქტები მალე გაგრძელდება

## ჰერბერტ ცანკერი: ყოველთვის აქ ხომ არ ვიქნებით?



**საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ევროჩემპიონატის შესარჩევ ციკლში წარუმატებლად გამოვიდა — ოთხგუნდა ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავა, თუმც ნაკრების თავკაცი ჰერბერტ ცანკერი გაწეული სამუშაოთი კმაყოფილია, არის რალაც დეტალები, რისი აღმოფხვრის შემდეგ უკეთესი შედეგის მიღწევა შეიძლებაო. ცანკერმა მაგალითებიც მოიყვანა — სწორედ 17-წლამდელებმა გამოჩნდნენ პირველად ლევან ყენია, ლევან მჭედლიძე და გიორგი მაკარიძე, რომლებიც ახლა ეროვნულ ნაკრებში თამაშობენ. ცანკერს ზოგად საკითხებზეც ვესაუბრეთ...**

— უახლოესი გეგმები რა გაქვთ?

— შარშან 1991-92-წლიანების შერჩევა გვქონდა მთელი ქვეყნის მასშტაბით, ახლა ნოემბრის ბოლოს კი იგივე 92-93-წლიანებთან დავიწყეთ. შარშან 16-წლამდელებმა პირველი თამაში ივლისის დასასრულს ჩაატარეს, რუსეთთან ორჯერ ითამაშეს და დიდი გამოცდილებაც მიიღეს. მათთან 15 თვე მაქვს სამუშაო შემოდგომამდე. თუმცა ეს არც თუ ისე ბევრია სხვა ქვეყნებთან შედარებით, რომლებიც 2-3 წელი ვარჯიშობენ, მაგრამ ჩვენთვის ეს მაინც კარგი შედეგია.

— რუსეთთან თამაშებზე რას იტყვით?

— ბიჭებით და საერთო შედეგით საკმაოდ კმაყოფილი ვარ. პირველი თამაში მოვიგეთ, მეორე კი საკუთარ კარში გატანილი გოლის და მომენტების გამოუყენებლობის გამო დავთმეთ. სწორედ ესაა ამჟამად გუნდში არსებული ერთადერთი პრობლემა. მეორე თამაშის პირველი 15 წუთი ჩვენებს „ეძინათ", რამაც ძალიან გამაბრაზა, თუმცა მერე გამოფხიზლდნენ და საკმაოდ კარგად ითამაშეს. მსაჯებს რაც შეეხება, რუსეთისგან განსხვავებით, აქ მათ ნამდვილად სამართლიანად იმსაჯეს. მატჩების დაწყებისას მსაჯს ვუთხარი, რომ მე დახმარება კი არა, ბიჭების თამაშის დანახვა და შეფასება მჭირდებოდა.

— არსებობს აზრი, რომ რუსები ფიზიკურად უფრო ძლიერები არიან, ქართველები კი მათ ტექნიკურობით სჯობიან...

— ასეცაა. ყველამ დაინახა ჩვენი გუნდის ტექნიკურ-ტაქტიკური სიძლიერე. რაც შეეხება ფიზიკურად ნაკლებ მომზადებას, ამის მთავარი მიზეზი ქართველ ჭაბუკთა თამაშების ევროპასთან შეუსაბამობაა. იქ 16-წლამდელები 40-წუთიან ტაიმებს თამაშობენ, აქ კი მხოლოდ 35-წუთიანს და სწორედ ეს 10-წუთიანი სხვაობა გვაძლევს იმას, რომ მეტოქე ფიზიკურად გვჯობნის. ამის თაობაზე უკვე ვესაუბრე ბატონ ნოდარ ახალკაცს და ალბათ მომდევნო სეზონიდან ჩვენც გავუთანაბრდებით ევროპის დროს.

— რუსეთთან მხოლოდ 1991-წლიანებმა ითამაშეს?

— არა. გვყავდა ოთხი 1992-წლიანიც, რომლებმაც ძალიან კარგად ითამაშეს.

— მჭედლიძე, მაკარიძე და ყენია 17-წლამდელებიდან მთავარ ნაკრებში გადავიდნენ. ახლაც გყავთ გუნდში ასეთი პოტენციალის ფეხბურთელები?

— ჩვენი მთავარი მიზანი ისაა, რომ აღმოვაჩინოთ პოტენციალი, რომელიც, რაც შეიძლება, მალე შეძლებს ზედა ნაკრებებში თამაშს. საბოლოოდ კი, ყველა პირველი ნაკრებისთვის და კლუბისთვის ვმუშაობთ.

— როგორც ვიცით, 16-წლამდელთა ნაკრები ახლა პორტუგალიაშია, თქვენ კი აქ ხართ...

— ნაკრებთან ერთად გელა შეყილაძე, ლევან ხომერიკი და ასლან ბალაძე არიან. ისინი საკმაოდ გამოცდილი მწვრთნელები არიან — უნდა შეეჩვიონ, რომ ოდესმე მათ მოუწევთ ჩემი დაწყებული საქმის გაგრძელება. ჩვენ ხომ ყოველთვის აქ არ ვიქნებით.

— და მაინც, კიდევ რამდენ ხანს აპირებთ საქართველოში ყოფნას?

— ჩვენს კონტრაქტებს წლის ბოლოს გასდის ვადა, ჯერ ახალი კონტრაქტისთვის ხელი არ მოგვიწერია, თუმცა საუბრები ამის შესახებ უკვე გვქონდა და შევთანხმდით კიდეც. რამდენიმე დღეში ნოდარი და კლაუსი ჩამოვლენ და ყველაფერს გადავწყვეტთ.

— შეიძლება კონტრაქტის გაგრძელებას რამე შეუშალოს ხელი?

— ჩემი აზრით, ასეთი არაფერი შეიძლება მოხდეს.

— შესარჩევ ტურნირამდე რა გეგმები გაქვთ?

— 27-28 მაისს რუმინეთში ლუქსემბურგისა და რუმინეთის წინააღმდეგ ვაპირებთ თამაშს და თუ პალანგის ტურნირზე მიგვიწვევენ, მასშიც აუცილებლად მივიღებთ მონაწილეობას.

— საშობაო არდადაგებზე როდის მიდიხართ?

— ჯერ დაგეგმილი არ მაქვს, თუმცა ალბათ 20 დეკემბერს წავალ გერმანიაში და იანვრის შუაში დავბრუნდები საქართველოში.

— შესარჩევი ჯგუფი ცნობილია: ჩეხეთი, უნგრეთი და ბოსნია გყავთ მეტოქეებად. რას იტყვით?

— ჯგუფის თამაშები უნგრეთში ჩატარდება, თუმც წლეულს ბულგარეთში იყო და ამან ხელი ვერ შეუწყო მასპინძლებს, რომლებმაც სამივე თამაში წააგეს. მათ შორის, ჩვენთან 2:5. ჩემი აზრით, საქართველო და ჩეხეთი გავლენ შემდეგ ეტაპზე და კიდევ, ძალიან მწყინს, რომ წლეულს ვერ გავედით ჯგუფიდან, მაგრამ რაც აქ ვმუშაობ, 17-წლამდელებმა ჯამში 16 თამაში მოიგეს, რაც ნამდვილად არაა ცუდი. ჩვენი უპირველესი მიზანი უფროსი ასაკის ნაკრებებისთვის, რაც შეიძლება, ბევრი ფეხბურთელის მიწოდებაა და ყველა ხედავს, რომ ეს წარმატებით ხორციელდება.

**ნინო სილაგაძე**
**ილია ნანობაშვილი**




# ლევან კობიაშვილმა ვარჯიში განაახლა

**ლევან კობიაშვილმა** ამასწინათ ინტერვიუში გვითხრა, ძალიან მეეჭვება, წლეულს თამაში შევძლოო.

კობი რამდენიმე დღის წინ უვარჯიშებელი იყო, გუშინწინ კი ვარჯიში განაახლა და ძალიან გახარებულია.

„საბედნიეროდ ყველაფერმა ჩაიარა. ახლა უკვე დარწმუნებით ვიტყვი, რომ ზამთრის მოსამზადებელ პერიოდში სრული დატვირთვით ვივარჯიშებ და ტესტ-მატჩებსაც ვითამაშებ" — უთხრა ლევანმა გერმანულ ტელევიზია „მაქსდომს".

კობის ახლაც ეეჭვება, წლეულს რომელიმე მატჩი ითამაშოს, არადა, „შალკეს" 11 დეკემბერს უპრინციპულესი მატჩი ელის ჩემპიონთა ლიგაში ნორვეგიულ „რუსენბორგთან".

ჩვენის მხრივ კი შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებს ერთ-ერთ ლიდერს 28 სექტემბრის შემდეგ არ უთამაშია.

**ილია ნანობაშვილი**

# უეფას თასი 2007-2008

## ჯგუფური ეტაპი. ფუხელ

### A ჯგუფი

**ევერტონი 1:0 ზენიტი**

1:0 კეჰილი (85)

**ნიურნბერგი 2:1 ალკმაარი**

0:1 დე ზეუვი (29), 1:1, 2:1 მინტალი (83, 85)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ევერტონი | 3 | 3 | 0 | 0 | 6:1 | 9 |
| ზენიტი | 4 | 1 | 2 | 1 | 6:6 | 5 |
| ალკმაარი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ნიურნბერგი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | 4 |
| ლარისა | 3 | 0 | 0 | 3 | 3:7 | 0 |

### B ჯგუფი

**კოპენჰაგენი 0:2 ატლეტიკო**

0:1 სიმაო (21), 0:2 აგუერო (62)

**პანათინაიკოსი 2:0 ლოკომოტივი**

1:0, 2:0 სალპინგიდისი (70, 74)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 3 | 3 | 0 | 0 | 6:0 | 9 |
| ატლეტიკო | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 7 |
| კოპენჰაგენი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:3 | 3 |
| ლოკომოტივი | 4 | 0 | 2 | 2 | 4:7 | 2 |
| აბერდინი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:6 | 1 |

### C ჯგუფი

**ბოლესლავი 0:1 აეკ**

0:1 მალიშა (46)

**ვილიარეალი 2:0 ელფსბორგი**

1:0, 2:0 ტომასონი (2, 51)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვილიარეალი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| ფიორენტინა | 3 | 1 | 2 | 0 | 8:3 | 5 |
| აეკ | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| ბოლესლავი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:4 | 3 |
| ელფსბორგი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:12 | 1 |

### D ჯგუფი

**ბაზელი 1:0 ბრანი**

1:0 კარლიტოსი (40)

**დინამო 0:2 ჰამბურგი**

0:1 დე იონგი (88), 0:2 ტრობოვსკი (90+3)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰამბურგი | 3 | 3 | 0 | 0 | 6:0 | 9 |
| ბაზელი | 3 | 2 | 1 | 0 | 2:0 | 7 |
| ბრანი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |
| დინამო | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |
| რენი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |

### ინგლისი

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი

**ნიუკასლი 1:1 არსენალი**

I ლიგა. XVIII ტური

**როვერსი — ჩელტენემი** გადაიდო

**საუთენდი 4:1 ჰადერსფილდი**

II ლიგა. XVIII ტური

**ჩესტერფილდი 0:2 როტერჰემი**

**აკრინგტონი 1:2 როჩდეილი**

**მენსფილდი 0:0 ბრედფორდი**

### იტალია

სერია A
გადადებული მატჩები

**რომა 2:0 კალიარი**

**ინტერი 3:0 ლაციო**

### ესპანეთი

პრიმერადივიზიონი
გადადებული მატჩი

**ოსასუნა 1:1 სევილია**

### საფრანგეთი

I დივიზიონი
გადადებული მატჩი

**ტულუზი 1:1 ნანსი**

### ბულგარეთი

თასის 1/16 ფინალი

**ლიტექსი 3:0 ვიჰრენი**

### შვეიცარია

ჩელენჯლიგა
გადადებული მატჩი

**კრინსი 0:0 ვილი**

### სლოვაკეთი

თასის 1/4 ფინალი
საპასუხო მატჩი

**ნიტრა 2:2 (3:4პ) ჟილინა (2:2)**

### უკრაინა

თასის 1/4 ფინალი
საპასუხო მატჩი

**მ. დონეცკი 1:0 ნაფტოვიკი (2:2)**

თასის 1/4 ფინალი
I მატჩი

**ტავრია 2:0 დინამო**

### პოლონეთი

ლიგის თასი. VI ტური
D ჯგუფი

**სოსნოვიცი 3:2 გურნიკი**

**ვისლა 2:1 ბელხატუვი**

### შოტლანდია

ასოციაციის თასი
III ეტაპი. გადათამაშება

**ისტ ფაიფი 1:2 ბრეჩინი**

### ამხანაგური მატჩი

**რეალი 2:0 პარტიზანი**

# ვისი თავი დაედგმება ირლანდიას?

**სამხრეთ** აფრიკაში გასამართი 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქე ირლანდია ჯერაც უმთავარწვრთნელოდაა.

IRISH TIMES-ის ცნობით, ირლანდიელთა მთავარ მწვრთნელად, შესაძლოა, ინგლისური „ევერტონის" ყოფილი თავკაცი ჰოვარდ კენდალი დაინიშნოს.

აქვე შეგახსენებთ, რომ ირლანდიელთა მთავარი მწვრთნელის პოსტზე ასევე ინგლისური „რედინგის" მწვრთნელ სტივ კოპელის კანდიდატურაც განიხილება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# საქართველოს 19 ჩემპიონატი

## პირველი ლიგა — გადადებული ტური

### აღმოსავლეთი

**ოლიმპი 2 1:0 ვიტ ჯორჯია 2**

**ნ. დინ-მერანი 2 1:6 გაგრა**

**კახეთი 4:1 ოლიმპიკი**

**ჩიხურა 1:2 დინამო 2**

**მეშაძრე — ამერი 2**

გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გაგრა | 15 | 10 | 4 | 1 | 37:23 | 34 |
| დინამო 2 | 15 | 8 | 4 | 3 | 24:14 | 28 |
| მეშაქრე | 14 | 8 | 2 | 4 | 24:16 | 26 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 15 | 7 | 4 | 4 | 23:13 | 25 |
| ჩიხურა | 15 | 7 | 3 | 5 | 28:23 | 24 |
| ოლიმპი 2 | 15 | 6 | 3 | 6 | 18:15 | 21 |
| კახეთი | 15 | 5 | 3 | 7 | 24:25 | 18 |
| ამერი 2 | 14 | 5 | 2 | 7 | 24:26 | 17 |
| ოლიმპიკი | 15 | 3 | 3 | 9 | 19:29 | 12 |
| ნ.დინ-მერანი 2 | 15 | 0 | 2 | 13 | 14:46 | 2 |

### დასავლეთი

**ხობი 1:1 ტორპედო**

**მალაროელი 2:1 მარტვილი**

**მეშახტე 2:1 ფაზისი**

**უნივერსიტეტი 0:0 კოლხეთი**

8 დეკემბერი

**ზესტაფონი 2 — სამტრედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალაროელი | 15 | 13 | 2 | 0 | 35:10 | 41 |
| მარტვილი | 15 | 8 | 3 | 4 | 21:12 | 27 |
| მეშახტე | 15 | 9 | 0 | 6 | 27:25 | 27 |
| ტორპედო | 14 | 7 | 4 | 3 | 25:16 | 25 |
| ზესტაფონი 2 | 12 | 6 | 2 | 4 | 19:10 | 20 |
| კოლხეთი | 14 | 4 | 5 | 5 | 15:17 | 17 |
| ხობი | 15 | 4 | 5 | 6 | 18:21 | 17 |
| უნივერსიტეტი | 15 | 4 | 3 | 8 | 11:16 | 15 |
| ფაზისი | 14 | 2 | 2 | 10 | 16:35 | 8 |
| სამტრედია | 14 | 1 | 2 | 11 | 11:35 | 5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარუსეთო ოლიმპის სარუსეთო კალენდარი
## თანამეგობრობის თასმა განრიგი უკვე ჩამოწერა

19-27 იანვარს სანკტ პეტერბურგი „თანამეგობრობისა და ბალტიის ქვეყნების ჩემპიონთა თანამეგობრობის თასს“ უმასპინძლებს. რუსეთის სიდიდით მეორე ქალაქს ამ ტურნირის მასპინძლობა პირველად ერგო — განვლილი 15 ტურნირი მოსკოვში ჩატარდა და 2008 წლის დასაწყისშიც გუნდები ისევ რუსეთის დედაქალაქში უნდა შეკრებილიყვნენ, მაგრამ ტურნირის ჩატარების თარიღი ბურთიან ჰოკეიში მსოფლიოს ჩემპიონატს დაემთხვა და ორგანიზატორებმა ფეხბურთი სანკტ პეტერბურგში გადაიტანეს.

საქართველოდან ნევისპირა ქალაქს რუსთავის „ოლიმპი“ ეწვევა.

უკვე ცნობილია ჯგუფურ ეტაპზე რუსთაველთა მეტოქეები და ჩემპიონატის კალენდარი...

A ჯგუფი: *„ზენიტი“ (რუსეთი), „აშხაბადი“ (თურქმენეთი), „შერიფი“ (მოლდოვა), „ლევადია“ (ესტონეთი);*

B ჯგუფი: *„ხაზარი“ (აზერბაიჯანი), „აქტობე“ (ყაზახეთი), „კაუნასი“ (ლიტვა), „რეგარ-ტადაზი“ (ტაჯიკეთი);*

C ჯგუფი: *„ვენტსპილსი“ (ლატვია), „ოლიმპი“ (საქართველო), ოფკ (სერბეთი), „დორდოი-დინამო“ (ყირგიზეთი);*

D ჯგუფი: *„ფახთაკორი“ (უზბეკეთი), ბატე (ბელარუსი), „დინამო“ ( უკრაინა), „ბანანცი“ (სომხეთი).*

ჯგუფური ეტაპის მატჩები 19, 20 და 22 იანვარს გაიმართება და ორი საუკეთესო მეოთხედფინალში გავა (23 იანვარი). ნახევარფინალები 25 იანვარს გაიმართება, ფინალი კი 27-ში.

ტურნირის პირველ მატჩს სწორედ რუსთაველები გამართავენ, მათი მეტოქე სერბული ოფკ იქნება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

| | |
|---|---|
| **19 იანვარი** | |
| 1. ოფკ — ოლიმპი | 13:00 |
| 2. ვენტსპილსი — დორდოი-დინამო | 13:00 |
| 3. ხაზარი — კაუნასი | 15:00 |
| 4. აქტობე — რეგარ-ტადაზი | 15:00 |
| 5. ფახთაკორი — დინამო | 17:00 |
| 6. ბანანცი — ბატე | 17:00 |
| 7. ზენიტი — შერიფი | 19:00 |
| 8. ლევადია — აშხაბადი | 19:00 |
| **20 იანვარი** | |
| 9. ვენტსპილსი — ოფკ | 13:00 |
| 10. დორდოი-დინამო — ოლიმპი | 13:00 |
| 11. კაუნასი — აქტობე | 15:00 |
| 12. რეგარ-ტადაზი — ხაზარი | 15:00 |
| 13. დინამო — ბატე | 17:00 |
| 14. ფახთაკორი — ბანანცი | 17:00 |
| 15. აშხაბადი — ზენიტი | 19:00 |
| 16. შერიფი — ლევადია | 19:00 |
| 17. ოლიმპი — ვენტსპილსი | 13:00 |
| 18. ოფკ — დორდოი-დინამო | 13:00 |
| 19. აქტობე — ხაზარი | 15:00 |
| 20. კაუნასი — რეგარ-ტადაზი | 15:00 |
| 21. ბატე — ფახთაკორი | 17:00 |
| 22. დინამო — ბანანცი | 17:00 |
| 23. ზენიტი — ლევადია | 19:00 |
| 24. აშხაბადი — შერიფი | 19.00 |
| **მეოთხედფინალი. 23 იანვარი** | |
| 25. 1C — 2D | 13:00 |
| 26. 1D — 2C | 15:00 |
| 27. 1B — 2A | 16:00 |
| 28. 1A — 2B | 19:00 |
| **ნახევარფინალი. 25 იანვარი** | |
| 29. 27 წყვილში გამარჯვებული — 25 წყვილში გამარჯვებული | |
| 30. 28 წყვილში გამარჯვებული — 26 წყვილში გამარჯვებული | |
| **ფინალი. 27 იანვარი** | |
| 31. 29 წყვილში გამარჯვებული — 30 წყვილში გამარჯვებული | |

# თსუ-მ სტუდენტური თასი ჩაიხუტა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სტუდენტური ტურნირი მოიგო მინი-ფეხბურთში. ტურნირი საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციამ მოაწყო — სულ 8 გუნდი თამაშობდა და ფინალში თსუ-მ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს 2:1 სძლია.

ნახევარფინალში თსუ-მ სამედიცინო უნივერსიტეტს 4:2 მოუგო, სტუ-მ კი ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტს 7:1 აჯობა.

ტურნირი სპორტის აკადემიის მიმდინარე ტერიტორიაზე ჩატარდა.

თსუ-ს გუნდმა პრიზებად თასი, ასევე დიპლომები, საქართელოს ნაკრების სიმბოლიკიანი ატრიბუტიკა, ბურთები, ტელევიზორი და მუნდიალ 2010-ის შესარჩევ ციკლში ნაკრების საშინაო მატჩებზე დასასწრები აბონემენტები მიიღო. დაჯილდოვდა ფინალისტი სტუ-ც



# ნიკო და ორი ქართველი

ორმა ქართველმა ფეხბურთელმა, ვიტალი დარასელიამ და ჯაბა დვალმა, შესაძლოა, ცნობილ კინოვარსკვლავ სტივენ სიგალის გუნდში ითამაშოს.

არ გეგონოთ, ჩვენებურებს კინოში გადასაღებად იწვევდნენ, თავად სიგალს სურს, დარასელია-დვალის ახლანდელი კლუბის, „დაჩიას“ აქციები შეიძინოს.

სიგალი მოლდოვაში „დაჩიას“ პრეზიდენტის მიწვევით ჩავიდა და მოლდოვის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ პაველ ჩობანუსაც შეხვდა პირისპირ.

„ფეხბურთის დიდი მოყვარული ვარ, ბავშვობაში ვთამაშობდი კიდეც. დიდი ხანია, „დაჩიას“ აქციების ყიდვა მინდა, თუმცა ჯერჯერობით არაფერი გამომივიდა“ — უთხრა მოლდოვური ფეხბურთის შეფს სიგალმა და დასძინა, რომ სურვილი არ განელებია და „დაჩიას“ თამაშის სანახავად ისევ ესტუმრება მოლდოვას.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# კვიპროსი რუსეთს ეამხანაგება

საქართველოს ნაკრების მომავალი მეტოქე კვიპროსი, შესაძლოა, თებერვალში რუსეთის ნაკრებს ეთამაშოს ამხანაგურად.

ჯერჯერობით, უცნობია, სად გაიმართება ეს მატჩი, თუმც, სავარაუდოდ, კვიპროსში.

თებერვალიო, ვთქვით და, არ დაგვიკონკრეტებია — დიდი შანსია, თამაში 6 თებერვალს გაიმართოს.

ცნობისთვის, ამას დღეს საქართველო შეიძლება თურქეთს ეთამაშოს სტუმრად — მოლაპარაკებები დაწყებულია და ვნახოთ...

**ილია ნანობაშვილი**


ჩაერთეთ 3 ლარად!

საავანსო ბალანსი 3 ლარი



ტარიფი «მეგობრები»

სატარიფო გეგმა ძალაშია 31.01.2008 - მდე

დაგვიკავშირდით

ქალაქის ქსელიდან: 20 0611

მობილურიდან: 0611

www.beeline.ge

ბილაინი

# საქართველოს 19 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა | I წრე. გადადებული ტური

თბილისი. 5 დეკემბერი. 14.10 საათი. ამერი. 500 მაყურებელი

## ამერი — ვიტ ჯორჯია

**0:1-ზე შეწყდა**

0:1 მელქაძე (54პ)

| ამერი | ვიტ ჯორჯია |
|---|---|
| ამერი: ქვაჩახია, მეხხი, კაკაშვილი, ჩიკვილაძე, ელბაქიძე, დოლიძე, დიდავა, დეკანოსიძე, ჯელაძე, ტატანაშვილი (ლ. ნადირაშვილი 53), რ. გოცირიძე. სათადარიგონი: შალამბერიძე, ბ. ცხადაძე, კობაური, ვარდოსანიძე, ბერიანიძე, ა. ალავიძე. მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე | ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, მ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე, ინჯგია, გ. დათუნაიშვილი, კლიმიაშვილი, გ. მელქაძე (ლუჭაშვილი 44), სახოკია. სათადარიგონი: ლურბელეიშვილი, ადამაძე, კაიშაური, ბექვაია, მაისაშვილი, ლიპარტია. მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე |

გაფრთხილება: კაკაშვილი (18), გელაშვილი (32), ქვაჩახია (51), დეკანოსიძე (52), ელბაქიძე (54)

გაძევება: ქვაჩახია (51), ელბაქიძე (54)

მსაჯები: ლ. კვარაცხელია, გ. ჩიგოგიძე, კ. გაბრიაძე, ვ. ელისაბედაშვილი

დამკვირვებელი: მ. ქელიძე; დირექტორი: შ. ბაქრაძე



# აიშალა და ჩაიშალა!

კობა ინასარიძე

**გუშინ** გლდანში დიდი ამბავი იყო. „ამერი“ „ვიტ ჯორჯიას“ მასპინძლობდა და შეხვედრა 55-ე წუთზე შეწყდა... ოღონდ: ამ ყველაფრის მიზეზი ქართული ფეხბურთისთვის ჩვეული გუნდური გაწევ-გამოწევა არ ყოფილა...

„ამერი“ — „ვიტ ჯორჯია“ იოლი და ერთი რიგითი მატჩი რომ არ იქნებოდა, ეს ყველამ კარგად იცოდა, ქომაგიც განსაკუთრებული თამაშის მოლოდინით გაემზადა, მაგრამ... თამაშისა რა გითხრათ, ამბავი კი ისეთი იყო, კარგა ხანი რომ სალაპარაკო იქნება.

უგოლო პირველ ტაიმში ერთიორი სახიფათო ეპიზოდის გარდა საინტერესო არაფერი ყოფილა და რომც ყოფილიყო, ახლა მოსაყოლად აღარც ღირს.

შესვენების შემდეგ, თამაშის განახლებიდან ხუთ წუთში კი არბიტრმა ლევან კვარაცხელიამ „ამერის“ კარში პენალტი დანიშნა. მსაჯმა ზაზა სახოკიასთან ორთაბრძოლისას მასპინძელთა მეკარე ზურაბ ქვაჩახია დააჯარიმა და მონასტერიც ამის მერე აირია.

სასტვენისთანავე კვარაცხელიამ ქვაჩახიას ყვითელი ბარათიც უჩვენა. ამერელმა, როგორც ხდება ხოლმე, მსაჯის გადაწყვეტილება გააპროტესტა, კვარაცხელიასგან კი იქვე წითელიც მიიღო.

კვარაცხელიას მთელი „ამერი“ შემოეხვია, მაგრამ აბა, რას გამორჩებოდნენ... მსაჯმა ერთი ყვითელიც კაპიტან გიორგი დეკანოსიძეს უჩვენა და თითქოს ვითარებაც განიმუხტა — „ამერი“ მეკარის გაძევებას და პენალტს შეეგუა.

ქვაჩახიამ მოედანი დატოვა, სათადარიგო მეკარე ლადო ნადირაშვილმა კი დიმიტრი ტატანაშვილი შეცვალა.

პენალტი გიორგი მელქაძემ უნაკლოდ დაარტყა.

„ამერმა“ ბურთი მოედნის ცენტრში მიიტანა და ის იყო, თამაში უნდა გაგრძელებულიყო, როცა ჯერაც ამერელთა ნახევრის შუაში მყოფმა ლევან კვარაცხელიამ მასპინძელთა მცველი გიორგი ელბაქიძე გააფრთხილა, წამშივე კი წითელი ბარათიც უჩვენა, რამაც ამერელები თავიდან გააცეცხლა...

ძალიან დაძაბული ვითარება შეიქმნა, ცოტაც და, მასპინძლები მოთმინებას დაკარგავდნენ...

ამ რია-რიაში კი მოედანზე მოულოდნელად „ამერის“ პრეზიდენტი ზურაბ ფოცხვერია გავიდა და თავისიანები მოედნიდან გაიყვანა.

— ეს იმიტომ გავაკეთე, რათა ვითარება კიდევ არ გამწვავებულიყო და გართულებები არ მოჰყოლოდა. სხვა გამოსავალი არ მქონდა, გადაწყვეტილება თავად მივიღე და პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვიღებ — თქვა მოგვიანებით ზურაბ ფოცხვერიამ.

...დაახლოებით ნახევარი საათი მსაჯები და ორივე გუნდი მოედანზე იყვნენ და მომხდარს ცალცალკე ჯგუფებად არჩევდნენ. მსაჯთა ბრიგადა უსაფრთხოდ იყო, სტადიონის დაცვა ყველაფერს აკონტროლებდა, „ამერის“ და „ვიტ ჯორჯიას“ ფეხბურთელთა შორისაც არანაირი უსიამოვნება არ მომხდარა...



ბოლოს კი „ამერმა“ მოედანი დატოვა, მერე „ვიტ ჯორჯია“ წავიდა გასახდელისკენ, მათ მსაჯებიც მიჰყვნენ.

დამთავრდა, მატჩის განახლების შანსი აღარ ჩანდა. შემდეგ ლაპარაკი და მომხდარის გარჩევა მოედანს მიღმა გაგრძელდა, ამასობაში კი გასახდელიდან მსაჯებიც გამოვიდნენ და დაცვის თანხლებით სტადიონის ტერიტორია უპრობლემოდ დატოვეს...

აი, ასეთი ამბები იყო გუშინ გლდანში. ახლა სიტყვა ცალკე ფეხბურთის ფედერაციაზეა, ცალკე — პროფლიგაზე. ვნახოთ, გაგრძელება ნაღდად იქნება...



როგორი რეაგირება შეიძლება მოჰყვეს თამაშის ჩაშლას, ამის თაობაზე პროფესიული ფეხბურთის ლიგის სადისციპლინო დებულებაში ცალკე პუნქტია.

და კიდევ: სამი დღის მერე თასის მფლობელ „ამერს“ „ფოლკსვაგენის“ სუპერთასის მატჩი აქვს ჩასატარებელი ჩემპიონ „ოლიმპთან“. აქვთ თუ არა გუშინ გაძევებულ ამერელებს სუპერთასზე თამაშის უფლება? პასუხს იგივე დებულება იძლევა...

## სადისციპლინო სასჯელი

თუ მატჩი არ დამთავრდა (ე. ი. ჩაიშალა) ან ჩამთავრდა ფიქტიურად, არანორმალურ ვითარებაში, როდესაც ზეწოლის გამო მსაჯებს არა აქვთ საშუალება, შეწყვიტონ შეხვედრა, დამნაშავე გუნდის (მასპინძლის თუ სტუმრის) — ხელმძღვანელობის, ფეხბურთელებისა თუ გულშემატკივრების მიზეზით, მატჩის დირექტორის (ინსპექტორის) და მსაჯების მოხსენებითი ბარათების საფუძველზე დამნაშავე გუნდს ჩაეთვლება წაგება 0:3; მეტოქეს მიეკუთვნება მოგება 3:0 (განსაკუთრებულ შემთხვევაში, შეიძლება ორივე გუნდს ჩაეთვალოს წაგება 0:3). დამნაშავე გუნდის სტადიონს შეიძლება მიეცეს გაფრთხილება და პირობითი დისკვალიფიკაცია, განსაკუთრებით მძიმე შემთხვევაში, დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით, გუნდს შეიძლება აეკრძალოს ერთი ან რამდენიმე მატჩის (ან გარკვეული დროით) საკუთარ სტადიონზე ჩემპიონატისა და თასის გათამაშების კალენდარული შეხვედრების ჩატარება.

## სუპერთასი

სუპერთასის მატჩამდე მიღებული ყვითელი და წითელი ბარათები არ მოქმედებს სუპერთასის მატჩზე. სუპერთასის მატჩი ფეხბურთელს, მწვრთნელს არ ეთვლება სასჯელის მოხდაში.

სუპერთასის მატჩის დროს მიღებული მხოლოდ წითელი ბარათები გადადის ჩემპიონატისა და თასის გათამაშებაში.

# საქართველოს 19 ჩემპიონატი
## უმაღლესი ლიგა. I წრე. გადადებული ტური

# ამინდი დარიანი და დევდარიანი

ბორჯომი. 5 დეკემბერი. 14 საათი. ჯემალ ზეინკლიშვილი. 500 მაყურებელი

### ბორჯომი 0:0 ოლიმპი

| | |
|---|---|
| ბორჯომი: შეყრილაძე, ქარქუზაშვილი, ლ. ქელიძე, ლ. მერებაშვილი, თ. ლონღაძე, მემარნიშვილი, კ. ხანიშვილი (ყველაშვილი 74), ნერგაძე, ბაბუნაშვილი, შ. ჯიქია, შ. გრიგალაშვილი. სათადარიგონი: გლუნჩაძე, ლომიძე, დევიძე, თედიაშვილი. მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე | ოლიმპი: მერლანი, ორბელაძე, აკუასაგა, ნავალოვსკი, სილაგაძე, მახვილაძე, გეწაძე, დევდარიანი (მოდებაძე 86), კახელიშვილი (ნ. მგელაძე 87), დვალიშვილი (კოშკაძე 89), რ. ჯიქია. სათადარიგონი: მ. ალავიძე, გ. ჩივაძე, ქებაძე, ყრუაშვილი. მწვრთნელი: ანატოლი პიხკოვეცი |
| გაფრთხილება: შ. ჯიქია (5), ბაბუნაშვილი (28), მემარნიშვილი (57), ორბელაძე (65) | |
| მსაჯები: პ. დოგრაშვილი; ზ. მენთეშაშვილი, ზვ. გურგენიძე, ა. კრიჭაშვილი | |


ანატოლი პიკოვეცი

ნუკრი ლოლაძე ბორჯომიდან

**რამდენიმე** დღის წინ ბორჯომში სტადიონის გადათოვლა დასჭირდათ, გუშინ კი ისეთი მზე აცხუნებდა, ზამთარში რომ იშვიათად იცის.

პირველი წრის ბოლო შეხვედრას „ბორჯომი“ და „ოლიმპი“ მეოთხე-მეხუთე ადგილებზე შეხვდნენ. ამ შეხვედრას კი ამ ცხრილში ადგილების გაცვლა შეეძლო, თუმც რუსთაველებმა ვერ იმარჯვეს და მეორე წრეს მეხუთე საფეხურიდან დაიწყებენ.

არადა, რუსთაველებმა მასპინძლებს ბევრი ოფლი ადინეს, თუმც რაც ყველაზე მთავარია, გოლი ვერ გაიტანეს.

როგორც გულშემატკივრები მატჩის შემდეგ ამბობდნენ, წლეულს „ბორჯომისთვის“ შინ ასე არავის უჯობნიაო.

მე-8-ე წუთზე შოთა ჯიქიამ იაქტიურა, მცველიც კარგად ჩამოიცილა და ბურთი საჯარიმოში შეაგდო, რის შემდეგაც შოთა ბაბუნაშვილმა დაარტყა კარში, მაგრამ მიზანმა უმტყუნა...

რუსთაველმა რევაზ ჯიქიამ მცველების უყურადღებობით ისარგებლა და მეკარესთან პირისპირ გავიდა, თუმც ბექა შეყრილაძე ჩაუვარდა ფეხებში და არ გაატანინა.

21-ე წუთზე დავით დევდარიანმა გონიერული გადაცემით გიორგი ნავალოვსკი გაიყვანა ხელსაყრელ პოზიციაზე, თუმც რუსთაველის სუსტი დარტყმა შეყრილაძემ აილო.

მალევე შოთა ჯიქიას მირზა მერლანმა დაასწრო წამით და ბურთი ფეხიდან ააცალა. ეს იყო და, ვლადიმერ დვალიშვილმა თავით ბურთი რევაზ გეწაძეს მიაწოდა. მან მასპინძელთა მეკარის პოზიცია შენიშნა, ალარ დაახანა, კარში დაარტყა, შეყრილაძეს ბურთი თავზე გადაახტა, თუმც ოდნავ ასცდა კარს.

ამის შემდეგ შოთა გრიგალაშვილმა სცადა საჯარიმოს გარედან გატანა, მაგრამ მერლანმა ნახტომში მოიგერია.

მეორე ნახევარში რუსთაველები კიდევ უფრო გააქტიურდნენ. უნდა გამოვარჩიოთ დავით დევდარიანის და გიორგი კახელიშვილის კარგი თამაში — ისინი ყველა შეტევაში მონაწილეობდნენ.

67-ე წუთზე კახელიშვილი-დევდარიანი-ჯიქიას გათამაშებული კომბინაცია არაზუსტი დარტყმით დასრულდა.

დევდარიანმა ამჯერად ქუსლით გადააწოდა კახელიშვილს, გიორგიმ კი გამჭოლი გადაცემა გააკეთა, ბურთს მხოლოდ შეხება უნდოდა და გოლი იქნებოდა, მაგრამ... დვალიშვილი ვერ მისწვდა.

და ბორჯომელთა პასუხიც: მცველებს შორის მოქცეულმა შოთა ჯიქიამ მაინც მოახერხა ბურთის დამუშავება და კარში დარტყმა, მაგრამ ძალა ვეღარ დაატანა. მემარნიშვილის კარგ გადაცემას კი გრიგალაშვილი ვერ შესწვდა.

ბოლო ჩხვლეტაც მასპინძლებისა იყო. 87-ე წუთზე თემურ ლონლაძემ რამდენიმე რუსთაველი ჩამოიცილა და საჯარიმოში შესული მცველთა ჭიდილში დაეცა — ბორჯომელები პენალტს ითხოვდნენ, თუმც უსაფუძვლოდ და ვერც მიიღეს.

გორი. 5 დეკემბერი. 14 საათი. ქართლი. 50 მაყურებელი

### სპარტაკი 2:0 ლოკომოტივი

| | |
|---|---|
| 1:0 ჩირიკაშვილი (27პ), 2:0 ჯანელიძე (42) | |
| სპარტაკი: ქვილითაია, ბახტურიძე, ხაჭიპერაძე, ქემოკლიძე, კ. ავალიანი (დათუნაშვილი 75), ძამუკაშვილი, ჯანელიძე (კუპრეიშვილი 46), ჩირიკაშვილი, ივანიშვილი, ხიდაშელი (ტატაევი 72), ძარია. სათადარიგონი: კოდალაევი, თექთუმანიძე, თარხნიშვილი, მედოევი. მწვრთნელი: კობა ჟორჟიკაშვილი | ცხინვალი: გვარამაძე, ა. კობიაშვილი, დ. ფოფხაძე, გ. კვახვაძე, ქუხილავა, ბერიძე (ჩაგელიშვილი 55), მალიჩავა, ლალაძე (ბახტაძე 55), გულორდავა (ბუდალაშვილი 70), სამხარაძე, იმედაძე. სათადარიგონი: ცერცვაძე, ქურდაძე. მწვრთნელი: გიორგი კიკნაძე |
| გაფრთხილება: ავალიანი (63) | |
| მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი; ზ. ბერულავა, თ. ხუჭუა, კ. ჭაჭუა | |
| დამკვირვებელი: ტ. ნიშნიანიძე; დირექტორი: ვ. ქორიძე | |

# სპარტაკმა შეუტია და არ შეატევინა

ტარიელ შოთნიაშვილი გორიდან

**წინა** ტურში „ოლიმპთან“ მარცხის შემდეგ „სპარტაკის“ ხელმძღვანელობამ გარკვეული კორექტივები შეიტანა შემადგენლობაში, ამიტომ „ლოკომოტივთან“ გუნდმა უკეთ ითამაშა და მოიგო კიდეც.

მე-8 წუთზე ირაკლი მალიჩავას ფლანგური ჩაწოდების შემდეგ გიორგი გულორდავამ კარგი პოზიციიდან ბურთს თავი აცილა, ხოლო საპასუხო შეტევისას ირაკლი ჩირიკაშვილმა „შეამოწმა“ დავით გვარამაძის სიფხიზლე და დაბალი ბურთი გაგზავნა მოწინააღმდეგის კარში.

„სპარტაკის“ მცირე უპირატესობა თანდათან გამოიკვეთა, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ნახევარდაცვა უფრო სწრაფად მოქმედებდა, ვიდრე „ლოკომოტივის“ და შედეგმაც არ დააყოვნა.

27-ე წუთზე მამუკაშვილმა დრიბლინგით ჩამოიცილა თბილისელები და საჯარიმოში შესული აკრძალული ილეთით გააჩერეს. არბიტრმაც უყოყმანოდ დანიშნა პენალტი, რომელიც ჩირიკაშვილმა ზუსტად დაარტყა — 1:0.

გატანილმა გოლმა მეტი დამაჯერებლობა შესძინა „სპარტაკის“ შეტევებს და წუთის შემდეგ კონსტანტინე ავალიანი გაიჭრა ფლანგზე, მწვავე გადაცემა გააკეთა კარის გასწვრივ, მაგრამ პარტნიორთაგან ბურთს ვერავინ მიუსწრო.

ათიოდ წუთში იმავ ავალიანმა კვლავ გაიმეორა ფლანგური გარღვევა და ზუსტად მიაწოდა საჯარიმოს ხაზთან მყოფ დავით ჯანელიძეს, რომელმაც ხელსაყრელი პოზიციიდან არაზუსტად დაარტყა.

ტაიმის ბოლოს, 42-ე წუთზე „სპარტაკმა“ მეორე გოლი მაინც გაიტანა — ივანიშვილმა მარცხენა ფრთიდან კარგად მოძებნა საჯარიმოში მყოფი ბახტურიძე, რომლის დარტყმა ხარიხამ უკუაგდო, ბურთს იქვე მყოფი ჯანელიძე დაეუფლა და ზუსტი დარტყმით კარში გადაგზავნა — 2:0.

მეორე ნახევარი „ლოკომოტივის“ იერიშებით დაიწყო, მაგრამ „სპარტაკმა“ ორგანიზებულად დაიწია უკან და შეუვალი დაცვითი ზღუდეები ააშენა საკუთარ კართან.

„ლოკომოტივმა“ შეცვლებიც განახორციელა, მაგრამ საქმეს ამანაც ვერ უშველა.

დრო გადიოდა, საგოლე მომენტები „სპარტაკის“ კართან არ იქმნებოდა, პირიქით, „სპარტაკმა“ დაცვაში ზუსტი თამაშით გაანეიტრალა მეტოქის შეტევები და კონტრიერიშებიც განახორციელა. ამათგან ორი აშკარად საგოლე იყო. 78-ე წუთზე ივანიშვილმა და ჩირიკაშვილმა „კედელი“ გაითამაშეს, მაგრამ ივანიშვილმა დარტყმა დააგვიანა და გვარამაძემ განმუხტა სიტუაცია, ხოლო მატჩის ბოლო წუთზე ჩირიკაშვილს შეეძლო მესამე გოლის გატანა, მაგრამ უზუსტოდ ითამაშა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზესტაფონი | 12 | 11 | 1 | 0 | 26:4 | 34 |
| დინამო | 12 | 11 | 0 | 1 | 33:4 | 33 |
| ვიტ ჯორჯია | 12 | 9 | 1 | 2 | 22:8 | 28 |
| ბორჯომი | 13 | 7 | 4 | 2 | 17:9 | 25 |
| ოლიმპი | 13 | 7 | 3 | 3 | 13:8 | 24 |
| ამერი | 12 | 7 | 0 | 5 | 21:13 | 21 |
| მესხეთი | 13 | 6 | 2 | 5 | 15:17 | 20 |
| მგლები | 12 | 5 | 0 | 7 | 13:16 | 15 |
| სიონი | 12 | 3 | 3 | 6 | 13:16 | 12 |
| სპარტაკი | 13 | 3 | 3 | 7 | 5:14 | 12 |
| ლოკომოტივი | 13 | 3 | 0 | 10 | 8:21 | 9 |
| მერანი | 12 | 2 | 1 | 9 | 6:23 | 7 |
| დილა | 12 | 1 | 3 | 8 | 7:23 | 6 |
| ბათუმი | 13 | 1 | 1 | 11 | 5:28 | 4 |

# ბათუმს გახარება არ აცალეს

ბათუმი. 5 დეკემბერი. 14 საათი. ადლი. 500 მაყურებელი

### ბათუმი 1:2 მესხეთი

| | |
|---|---|
| 0:1 ლონლაძე (12), 1:1 მახარაძე (25), 1:2 ჩხეტიანი (27) | |
| ბათუმი: მამინაშვილი, ვ. კუნჭულია, გალოგრე, თედორაძე, მაკარიანი, დემურაძე, კ. მახარაძე, დარჩიძე, ოქრუაშვილი (ბეჟანიძე 62), კაკალაძე (ტულუში 73), ბაციკაძე. სათადარიგონი: თოთლაძე, ა. ბაჯელიძე, ლ. მახარაძე, ბ. მახარაძე, ცანავა. მწვრთნელი: ავთანდილ კუნჭულია | მესხეთი: ძამუნაშვილი ვ. აკოფიანი, კობესაშვილი, ქოჩორაშვილი, გვირჯიშვილი, ზ. ჩხეტიანი, ინასარიძე, გ. თურმანიძე, გ. სუდაძე (კველიშვილი73), ძამაშვილი, მ. ლონლაძე (აფრიამაშვილი 88). სათადარიგონი: სომხიშვილი, მ. სუდაძე, შ. აკოფიანი. მწვრთნელი: კობა თედიაშვილი |
| გაფრთხილება: ჩხეტიანი (9), კობესაშვილი (29), სუდაძე (59), ოქრუაშვილი (60), ძამუნაშვილი (69), მახარაძე (80) | |
| მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; დ. კვეტენაძე, კ. გუდურაშვილი, გ. კიკაჩეიშვილი | |

გიორგი მურვანიძე ბათუმიდან

**„ლოკომოტივთან“** გამარჯვების შემდეგ ბათუმელებს გამოტოვებული ტურის მატჩშიც გამარჯვების იმედი ჰქონდათ. გულშემატკივარიც ბლომად მოვიდა სტადიონზე და თქვენ წარმოიდგინეთ, ბათუმელ ფეხბურთელებს საზღვაო აკადემიის სასულე ორკესტრი ამხნევებდა, მაგრამ ზღვისპირელებს ვერც ამან უშველა.

„ლოკომოტივთან“ გამართულ მატჩს ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბის წევრები თუ ესწრებოდნენ, მესხებთან შეხვედრას აჭარის მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელი ლევან ვარშალომიძე ადევნებდა თვალს...

ბათუმელებმა აქტიურად დაიწყეს თამაში, სწრაფად და ტექნიკურად უტევდნენ და ასეთ დროს ბურთი თუ ბათუმელთა კარში შეგორდებოდა, არავის ეგონა.

მე-12 წუთზე მესხებმა მეტოქის საჯარიმოში ჩააწოდეს, დავით გალოგრემ ყველას დაასწრო და მეკარისთვის მიწოდება მოინდომა, მაგრამ ვერ შეამჩნია, მამინაშვილი წინ რომ იყო გამოსული — ბურთმა მეკარეს თავზე გადაუფრინა და მამუკა ლონლაძეს ცარიელ კარში შეგორება ალარ გაჭირვებია 0:1.

გატანილმა გოლმა სტუმრები გაამხნევა, უპირატესობაც მოიპოვეს და ზღვისპირელები საჯარიმო მოედანს მიაჯაჭვეს. მაგრამ ეს დიდხანს არ გრძელდებოდა, ბათუმელებმა 25-ე წუთზე გოლის გაქვითვა მოახერხეს — ალექსანდრე ბაციკაძემ მიხეილ კაკალაძეს უპასა, კაკალაძემ კახა მახარაძეს, ამან კი შორიდან მოსცხო და პირდაპირ მეკარეს მოარტყა. ძლიერად დარტყმული ბურთის აღება გელა ძამუნაშვილმა ვერ მოახერხა, ხელიდან გაუვარდა და კარში შეგორდა — 1:1.

ავთანდილ კუნჭულიას შეგირდებმა გატანილი გოლის აღნიშვნა ხეირიანად ვერც კი მოასწრეს, მესხები რომ ისევ დაწინაურდნენ. მოგერიებული ბურთი ზვიად ჩხეტიანმა 35-40 მეტრიდან დაარტყა და მეკარეს თავზე გადაუგდო — 1:2.

პირველ ტაიმში „ბათუმს“ რამდენჯერმე მიეცაა ანგარიშის გათანაბრების შანსი, მაგრამ...

მეორე ტაიმში ბათუმელები ყველაფერში ჯაბნიდნენ სტუმრებს. ბურთის ფლობა, კარში დარტყმა შეტევები, თუმცა ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა...

ბოლნისი. 6 დეკემბერი. 14 საათი. თამაზ სტეფანია

### სიონი — მგლები

მსაჯები: ლ. სილაგავა, მ. ელიკაშვილი, ლ. მიქელაძე, ხ. გაგნიძე

თბილისი. 6 დეკემბერი. 14 საათი. მერანი

### მერანი — დილა

მსაჯები: ა. ნონიკაშვილი, ე. ნარმანია, გ. ყრუაშვილი, მ. ურუშაძე

თბილისი. 6 დეკემბერი. 14 საათი. ეროვნული

### დინამო — ზესტაფონი

მსაჯები: გ. ვადაჭკორია, ზ. ჯვარიძე, ზ. ხუციშვილი, ვ. გუმბერიძე

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას წარმოგიდგენთ
სლოტ პოკერ კლუბი VEGA

# ჩემპიონთა ლიგა 2007–2008
## ჯგუფური ეტაპი. VI ტური

# გალიანიმ ხალხს სალაპარაკო მოუსპო

## ზეედორფი ასიანია



ზეედორფივით საზეიმოდ აქვს საქმე ფილიპო ინძაგის „სუპერპიპომ" ევროთასზე 97-ე მატჩში 63-ე გოლი გაიტანა და გერდ მიულერს გასწრო.

„დიდებული მიღწევაა — შეაქო ანჩელოტიმ ფორვარდი — პიპომ დაამტკიცა, რომ ჯერ არ დაბერებულა და გატანა კვლავაც შეუძლია. პირველ ტაიმში არ გამოგვივიდა თამაში, მაგრამ შესვენების შემდეგ მოვუმატეთ და მოვიგეთ კიდეც. ძალიან მნიშვნელოვანია ჯგუფში პირველი ადგილი რომ დავიკავეთ, რადგან ეს მერვედფინალისთვის თავდაჯერებულობას შეგვმატებს".

გორდონ სტრაჩანი: „სასტუმროში მოვილხენთ და მერვედფინალში გასვლას ვიზეიმებთ, მაგრამ ფაქტია, რომ სტუმრად თამაში მაინც ვერ გავაუმჯობესეთ და სამივე მატჩი წავაგეთ. ამაზე დიდი მუშაობა გვმართებს.

### D ჯგუფი

**მილანი 1:0 სელტიკი**

1:0 ინძაგი (70)

**მილანი:** კალაჩი, კაფუ, შიმიჩი (კალაძე 30), ბონერა, ფავალი, გატუზო, პირლო (ბროკი 74), ამბროზინი, ზეედორფი (გურკუფი 69), კაკა, ინძაგი

**მწვრთნელი:** კარლო ანჩელოტი

**სელტიკი:** ბორუცი, კოლდველი, მრქალი, მაკმანუსი, ოდი, იაროშიკი (კურაქსკი 78), დონატი (სნო 71), ბრაუნი, ჰარტლი, მაკგიდი, მაკდონალდი (ვენეგოორ ოფ ჰესელინკი 65)

**მწვრთნელი:** გორდონ სტრაჩანი

**გაფრთხილება:** ბრაუნი

**მსაჯი:** ტომ-ჰენინგ ოვრებო (ნორვეგია)

38 409 მაყურებელი

„**ძალიან** მიხარია, რომ მოვიგეთ და სალაპარაკო არ მივეცით მათ, ვინც ამ მატჩის საყაიმო შედეგს წინასწარმეტყველებდა. თითო ქულა ორივეს გვყოფნიდა, მაგრამ „მილანი" მუდამ გამარჯვებისთვის თამაშობს. ეს ამჯერადაც დაამტკიცა — თქვა ადრიანო გალიანიმ — ბევრი მომენტი შევქმენით და სამი ქულა დავიმსახურეთ".

კლარენს ზეედორფმა ჩემპიონთა ლიგაში მე-100 მატჩი გამართა და ასიათნთა კლუბის წევრი გახდა. „ასიანებში" არიან რაულ გონსალესი (113), რობერტო კარლოსი (112), პაოლო მალდინი (107), დევიდ ბექჰემი (103), ოლივერ კანი (103) და ლუიშ ფიგუ (100).

**შახტარი 1:2 ბენფიკა**

0:1, 0:2 კარდოზო (6, 22), ლუკარელი (30პ)

**შახტარი:** პიატოვი, სრნა, ჩიგრინსკი, კუჩერი, რაცი, ლევანდოვსკი (მუხამანი 57), ილსინიო (უილიამი 67), ფერნანდინიო, ჟადსონი, ლუკარელი (გლადკი 74), ბრანდაო

**მწვრთნელი:** მირჩა ლუჩესკუ

**ბენფიკა:** კიმი, ნელსონი, ლუიზაო, დავიდ ლუისი, ლეო, პეტიტი, კაცურანისი, მაქსი პერეირა (ლუიშ პერეირა 83), დი მარია (ნუნო ასისი 67), რუი კოშტა, კარდოზო (ნუნო გომეში 90)

**მწვრთნელი:** ხოსე ანტონიო კამაჩო

**გაფრთხილება:** კუჩერი, ბრანდაო, დავიდ ლუისი, ლუიშ პერეირა

**მსაჯი:** კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

25 000 მაყურებელი

„**შახტარს**" რომ მოეგო, „სელტიკს" გადაასწრებდა, მაგრამ ქულაც ვერ აიღო და უეფას თასზე ადგილი „ბენფიკას" დაუთმო. ოსკარ კარდოსომ ოცდაორ წუთში დუბლი შეასრულა, ლუკარელიმ კი მალევე პენალტით ერთი გოლი გაქვითა და მასპინძლებს თამაშის შემობრუნების იმედი გაუჩნდათ, თუმც სტუმრები დაცვაში კარგად იდგნენ. „ეს ჩემი საღამო იყო — ხარობდა ნამატჩევს კარდოსო — ყველაფერი გამომივიდა. სამი ქულისთვის ჩამოვედით და ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ვითამაშეთ".

ბენფიკელმა ნახევარმცველმა პეტიტმა განაცხადა: „შევეცდებით, უეფას რაც შეიძლება, დიდხანს შემოვრჩეთ. ვინ იცის, ეგებ ფინალშიც გავიდეთ".

მირჩა ლუჩესკუ: „სამწუხაროდ, მეტოქეს დასაწყისშივე ორი გოლი ვაჩუქეთ. უნდა ვაღიაროთ — ამჟამად არ ვართ იმ დონის გუნდი, მერვედფინალში გასვლას რომ შეძლებდა. მარცხზე პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვიღებ".

**გაგა ხუციშვილი**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 6 | 4 | 1 | 1 | 12:5 | 13 |
| სელტიკი | 6 | 3 | 0 | 3 | 5:6 | 9 |
| ბენფიკა | 6 | 2 | 1 | 3 | 5:6 | 7 |
| შახტარი | 6 | 2 | 0 | 4 | 6:11 | 6 |



ფილიპო ინძაგიმ თამასა ახალ სიმაღლეზე აწია

# ლიპი ზაფხულში დაბრუნდება



**მარჩელო ლიპიმ** დაადასტურა, რომ მომავალ ზაფხულს ძალიან გაწელილ შვებულებას შეწყვეტს და მწვრთნელობას განაახლებს. შეგახსენებთ, რომ 59 წლის იტალიელმა სპეციალისტმა „სკუადრა ადზურასთან" ერთად 2006 წლის მუნდიალის მოგების მერე დასვენება გადაწყვიტა და მას მერე უქმადაა. ამ პერიოდში ლიპიმ არაერთი წინადადება მიიღო, მაგრამ ყველაზე უარი თქვა.

„ფეხბურთში აქტიურად დაბრუნება და მწვრთნელობის განახლება ნამდვილად მინდა. ამას ზაფხულში გავაკეთებ. სეზონის მსვლელობისას გუნდს არ ჩავიბარებ, რადგანაც ეს ნიშნავს, რომ იმ კლუბს საქმეები კარგად არ მისდიოდა და მწვრთნელი ამიტომ შეცვალა. მუშაობის ასეთი უარყოფითი ფონისა და პრობლემების დროს დაწყება სწორად არ მიმაჩნია. ასე სერიოზული წარმატების მიღწევაც თითქმის შეუძლებელია" — თქვა ლიპიმ.

ვარაუდობენ, რომ გამოცდილი ტაქტიკოსი „მილანში" მივა ან „იუვენტუსში" დაბრუნდება. მას არაერთ სხვა კლუბსაც უკავშირებენ — „ბარსელონას", „ჩელსის", „ვალენსიას"... ასევე ინგლისის ნაკრებს, მაგრამ ამბობენ, ლიპი სამშობლოს დატოვებას და მის ფარგლებს გარეთ მუშაობას არ ისურვებსო.

**გიორგი ძაძაძე**

## იტალია

### სერია B

**გადადებული მატჩები**

ალბინოლეფე 0:0 ტრევიზო

ბოლონია 0:0 ასკოლი

ჩეზენა 0:1 ლეჩე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალბინოლეფე | 16 | 10 | 3 | 3 | 29:15 | 33 |
| ბოლონია | 16 | 9 | 6 | 1 | 20:7 | 33 |
| პიზა | 16 | 10 | 3 | 3 | 29:23 | 33 |
| ლეჩე | 16 | 9 | 5 | 2 | 24:12 | 32 |
| კიევო | 16 | 9 | 4 | 3 | 28:19 | 31 |
| რიმინი | 16 | 8 | 4 | 4 | 26:17 | 28 |
| ბრეშა | 16 | 8 | 3 | 5 | 23:18 | 27 |
| მანტოვა | 16 | 7 | 4 | 5 | 24:16 | 25 |
| მოდენა | 16 | 7 | 3 | 6 | 24:19 | 24 |
| ფროზინონე | 16 | 7 | 3 | 6 | 25:22 | 24 |
| ასკოლი | 16 | 6 | 5 | 5 | 23:17 | 23 |
| მესინა | 16 | 6 | 4 | 6 | 13:19 | 22 |
| ტრიესტინა | 16 | 5 | 5 | 6 | 22:28 | 20 |
| პიაჩენცა | 16 | 6 | 1 | 9 | 13:20 | 19 |
| გროსეტო | 16 | 4 | 6 | 6 | 13:21 | 18 |
| ბარი | 16 | 3 | 7 | 6 | 16:22 | 16 |
| სპეცია | 16 | 3 | 6 | 7 | 19:21 | 15 |
| ტრევიზო | 16 | 4 | 2 | 10 | 16:24 | 14 |
| აველინო | 16 | 3 | 3 | 10 | 14:23 | 12 |
| რავენა | 16 | 3 | 3 | 10 | 19:31 | 12 |
| ვიჩენცა | 16 | 2 | 6 | 8 | 16:28 | 12 |
| ჩეზენა | 16 | 0 | 8 | 8 | 13:27 | 8 |

## ინგლისი

### ჩემპიონატი. XX ტური

სკანთორპი — ბლექპული 1:1; ბარნსლი — ვულვზი 1:0; ბრისტოლი — იფსვიჩი 2:0; ბარნლი — ლესტერი 1:1; კარდიფი — ჩარლტონი 0:2; კოლჩესტერი — უოტფორდი 2:3; ნორვიჩი — პლიმუთი 2:1; პრესტონი — ჰალი 3:0; შეფილდი — სტოკი 0:3; საუთჰემპტონი — უენსდი 0:0; ვესტ ბრომვიჩი — ქოვენთრი 2:4; ქუინზ პარკი — კრ. პალასი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უოტფორდი | 20 | 12 | 3 | 5 | 36:27 | 39 |
| ვესტ ბრომვიჩი | 20 | 10 | 5 | 5 | 40:22 | 35 |
| ჩარლტონი | 20 | 10 | 4 | 6 | 27:21 | 34 |
| ბრისტოლი | 20 | 9 | 7 | 4 | 25:23 | 34 |
| სტოკი | 20 | 9 | 6 | 5 | 30:24 | 33 |
| ვულვზი | 20 | 9 | 6 | 5 | 20:16 | 33 |
| პლიმუთი | 20 | 8 | 6 | 6 | 28:22 | 30 |
| ბარნსლი | 20 | 8 | 6 | 6 | 24:25 | 30 |
| იფსვიჩი | 19 | 8 | 5 | 6 | 33:25 | 29 |
| ბარნლი | 19 | 7 | 8 | 4 | 27:23 | 29 |
| ქოვენთრი | 20 | 8 | 4 | 8 | 25:30 | 28 |
| ჰალი | 20 | 7 | 6 | 7 | 25:23 | 27 |
| საუთჰემპტონი | 20 | 8 | 3 | 9 | 27:36 | 27 |
| შეფილდი | 20 | 7 | 5 | 8 | 25:26 | 26 |
| უენსდი | 20 | 7 | 4 | 9 | 26:27 | 25 |
| კრ. პალასი | 20 | 5 | 9 | 6 | 23:24 | 24 |
| ლესტერი | 19 | 4 | 10 | 5 | 18:15 | 22 |
| სკანთორპი | 20 | 5 | 7 | 8 | 21:27 | 22 |
| კოლჩესტერი | 20 | 4 | 8 | 8 | 32:34 | 20 |
| კარდიფი | 19 | 4 | 8 | 7 | 22:27 | 20 |
| ბლექპული | 19 | 4 | 8 | 7 | 21:26 | 20 |
| პრესტონი | 20 | 4 | 6 | 10 | 19:25 | 18 |
| ნორვიჩი | 20 | 5 | 3 | 12 | 18:30 | 18 |
| ქუინზ პარკი | 19 | 3 | 7 | 9 | 16:30 | 16 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორგია და ორად ორი ქულა



კლაუდიო პიზარო (მარცხნივ) უწესობაში ეჭვმიტანილი

„ჩელსის" თავდამსხმელს კლაუდიო პიზაროს პერუს ფეხბურთის ფედერაციამ ეჭვის თვალით შეხედა — არ არის გამორიცხული, რომ ორგიაში, რომელსაც ამ სამხრეთ ამერიკული ქვეყნის საფეხბურთო შეფები იკვლევენ, მათი ნაკრების კაპიტანიც მონაწილეობდა. ორგიის ამბავი პერუს ტელევიზიამ გამოიკვლია. საუბარია ეროვნული გუნდის რამდენიმე მოთამაშეზე.

უკვე ყურში გვესმის ალშფოთებული ქომაგის შეძახილი, ეს რა დრო დადგა, ადამიანს დალევის და დროის ტარების საშუალებას აღარ აძლევენო, მაგრამ ნუ იჩქარებთ: ორგიიდან ორიოდ დღეში, პერუს ნაკრებმა 21 ნოემბერს, ეკვადორთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ, გადამწყვეტ შეხვედრაში 1:5 წააგო. ერთი სიტყვით, ლოთობისა და მრუშობის ცდუნებას პერუელმა ბიჭებმა მნიშვნელოვანი სანაკრებო შეკრების დღეებში ვერ გაუძლეს და იწვნიეს კიდეც.

განვაგრძოთ: ფეხბურთელთა განცხრომის ამბავი ჟურნალისტმა ჯეიმი ბეილიმ შეიტყო და საჯაროდაც მან აქცია, პერუს ფეხბურთის ფედერაციის ნაკრებთა კოსისიის შეფმა ხუვენელ სილვამ კი გამოძიება წამოიწყო.

სილვამ განაცხადა: „მათთვის, ვინც ორგიაში მონაწილეობდა, ნაკრების კარი სამუდამოდ დაიკეტება. ეროვნული გუნდის დაცვის სამსახურისგან ანგარიშს მოვითხოვ და გავარკვევ, მართალია თუ არა ჯეიმი ბეილი. გამოძიება თავად ფეხბურთელებისთვისაც უკეთეს შედეგს მოიტანს. თუ ეს ყველაფერი ჭორია, ისინი გამართლდებიან და დამშვიდდებიან.

აუცილებლად უნდა ველაპარაკოთ მწვრთნელს, ხოსე დელ სოლარს, რადგან გაზეთების ცნობით დაახლოებით ამგვარი რამ ბრაზილიაში თამაშის შემდეგაც მომხდარა. ხსენებული ცნობები მეტისმეტად შემაშფოთებელია, ვინაიდან იქ სახელები და გვარებია ნახსენები. აუცილებლად გამოვიკვლევთ იმ სასტუმროში, სადაც ნაკრები ეკვადორთან თამაშის წინ იყო, რომელი ფეხბურთელი რომელ სართულზე ცხოვრობდა".

სასტუმროს, რომელშიც პერუს ეროვნული გუნდი ბრაზილიასთან 1:1-ის შემდეგ ეკვადორთან 1:5-მდე ცხოვრობდა, „ლას ინკას" ჰქვია.

პიზარო, რომელსაც პერუს ნაკრებში 45-ჯერ უთამაშია, ყველა ბრალდებას უარყოფს, სამხრეთ ამერიკის შესარჩევი შეჯიბრების ცხრილი კი ჯიუტად მეტყველებს, რომ მართალია ორგიის ამბავი თუ არა, პიზარო და მისი თანამემამულეების საქმე კარგად არ მიდის — ოთხი თამაშიდან ორად ორი ქულით პერუელები ბოლოსწინა ადგილზე არიან.

**ბაჩუნა ძიძია**



# სერხიო აგერო — მარადონას სიძე?

**მარადონას** უმცროს ქალიშვილს, ჯანინას, მადრიდის „ატლეტიკოს" არგენტინელი ფორვარდი სერხიო აგერო ჰყვარობს და მათი მიჯნურობა მთელი პატაგონიის სალაპარაკო თემა გამხდარა. გაზეთებმა ისიც კი დაწერეს, დიდი დიეგო „კუნს" ჯანინასთან კურკურისთვის თავის მოჭრით დაემუქრაო.

სინამდვილეში ლეგენდარული კაცი არც ისეთი სისხლისმსმელი ყოფილა. „აგერო? ამბობენ, ჯანინა ცოლად ამ ბიჭს მიჰყვება. თუ აგეროსთან თავს ბედნიერად გრძნობს, გზას დავულოცავ... მედიას კი ვთხოვ, სიგიჟეს ნუ დამაბრალებს, ფიქრადაც არ მომსვლია სერხიოს მოკვლა" — უთხრა მარადონამ არგენტინულ „კლარინს".

ბუენოს აირესში გაზეთები ჯანინას და „კუნის" ფოტოებითაა აჭრელებული. დიეგო კი ამბობს: „დრო მოვიდა, შვილიშვილებს მოვუარო. ვგრძნობ, რომ გადასარევი ბაბუა ვიქნები".

**ლადო ხომერიკი**

# კაჭკაჭი ბუზმა შეაშინა

„ნიუკასლის" მწვრთნელ სემ ალარდაისს სამი ვეტერანი ფეხბურთელი აუჯანყდა. „სანის" ცნობით, მათ შორის არიან შეი გივენი და სტივ ჰარპერი. „ტრიოს" პირში მიუხლია მწვრთნელისთვის, რომ მისი ტაქტიკა ნაგავია, შემადგენლობას არასწორად აყენებს და ჟერემი ნეიტაპისთვის კაპიტნის სამკლავურის მიცემა სისულელეა. აჯანყებულებთან შეხვედრისა და მოლაპარაკების ფაქტი „კაჭკაჭების" თავკაცმა დაადასტურა. „ეს პირადული საუბარი იყო. ფეხბურთელები უკმაყოფილონი არიან ჩემი მეთოდებით, მაგრამ მწვრთნელი მე ვარ და მათზე უკეთ ვიცი, გუნდს რა სჭირდება. ამიტომაც ვზივარ კუთვნილ სკამზე. ვერ გეტყვით, ვის შევხვდი, რადგან ეს საიდუმლოა. დეტალების საჯაროდ გამხელა არ მსურს. როცა პატარა პრობლემა იქმნება, ყოველთვის გამოჩნდება ვინმე ავისმსურველი და ბუზისგან სპილოს გაკეთებას ეცდება".



**გაგა ხუციშვილი**

# ვან ბასტენი მიდის

**ჰოლანდიის** ნაკრების მწვრთნელი მარკო ვან ბასტენი ევრო 2008-ის შემდეგ პოსტს დატოვებს. ეს ოფიციალურად უკვე თავად მარკომაც დაადასტურა და ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციამაც. რომელ გუნდს ჩაიბარებს ვან ბასტენი, ჯერ უცნობია, მაგრამ წამყვანმა ევროპულმა სპორტულმა ჟურნალ-გაზეთებმა უკვე გამოაქვეყნეს თავიანთი ვერსია, რომელსაც შეგვიძლია პირობითად „დიდი როქი" დავარქვათ.

ამბობენ, ვან ბასტენს ორი ვარიანტი აქვს — „მილანი" ან „ბარსელონა". თუ მარკო კატალონიურ კლუბს ჩაიბარებს, მაშინ „მილანში" ფრანკ რაიკარდი წავაო.

ერთი სიტყვით, ამ ვერსიის თანახმად, მომავალ ზაფხულს „მილანს" მწვრთნელი აუცილებლად შეეცვლება და სად წავა კარლო ანჩელოტი? რა თქმა უნდა, იტალიის ნაკრებში, რაზეც ასევე დიდი ხანია საუბრობენ. რობერტო დონადონის ევრო 2008-ზე სერიოზული გამოცდა ელის და ბევრის ვარაუდით, ევროპის ჩემპიონატის მერე დონადონის „სკუადრა ადზურადან" გაუშვებენ.

დაბოლოს, დავუბრუნდეთ ვან ბასტენს. იგი ჰოლანდიის ნაკრებს 2004 წლის ივლისიდან თავკაცობს და ვერ ვიტყვით — წარმატებულადო. 2006 წლის მუნდიალზე „ნარინჯისფერები" მერვედფინალში პორტუგალიამ დაამარცხა. ევრო 2008-ის შესარჩევ ეტაპზე ჰოლანდიას ჯგუფში რუმინეთმა გაასწრო. ახლა კი ვან ბასტენის შეგირდებს „სიკვდილის ჯგუფიდან" მოუწევთ თავის დაღწევა, სადაც იგივე რუმინეთთან, იტალიასთან და საფრანგეთთან ერთად არიან.

**კოკი კანდელაკი**

# ეს საეჭვო ლივერპული

**უეფამ** სულ აიწყვიტა: გაჩნდა ეჭვი, რომ ჩემპიონთა ლიგაში „ლივერპულისა" და „ბეშიქთაშის" შეხვედრა შესაძლოა „მთლად სუფთა" არ ყოფილიყო და საქმეს გამოძიება სჭირდება. ეჭვი ერთი თვის წინ ნათამაშევმა 8:0-მა გააჩინა. რაფა ბენიტესსა და მის მოთამაშეებს, ბუნებრივია, გადაბრუნებულ სიტყვას ჯერჯერობით ვერავინ ჰკადრებს, მაგრამ როგორც გაირკვა, თამაშის დღეს ერთი უცნაურობა გამოიკვეთა: ტოტალიზატორებში ამ შეხვედრის შედეგის გამოცნობის მსურველთა რაოდენობა და მათ მიერ დადებული თანხა, უჩვეულოდ დიდი ყოფილა.

შეგახსენებთ, „ენფილდ როუდზე" გამართული შეხვედრის ამბავსა და მის წინაისტორიას — თამაშამდე ერთი კვირით ადრე სტამბოლის გუნდმა მერსისაიდელებს უმასპინძლა და 1:0 მოუგო, საპასუხო შეხვედრაში კი მეორე ტაიმის მე-7 წუთამდე „ლივერპული" იგებდა 2:0-ს, დარჩენილ დროში კი, თითქოს ღმერთი გაუწყრაო, თურქებმა ექვსი გოლი გაუშვეს და ლიგის ისტორიაში ყველაზე დიდი მარცხიც გამოაცხვეს.



„სარბიელის" მკითხველისთვის ცნობილია, რომ უეფას „საეჭვოთა სიაში" 15 თამაშია შეტანილი, მათ შორის ერთი — ქართული გუნდის მონაწილეობით. ეს მატჩები უპირველეს ყოვლისაა იმითაა საეჭვო, რომ მათი შედეგების გამოცნობით ფულის მოგება არაბუნებრივი რაოდენობის ხალხს მოუნდა. უეფამ ევროპოლს 96-გვერდიანი დოსიე წარუდგინა. „ლივერპულის" წარმომადგენლის განცხადებით, პრემიერლიგის კლუბს უეფადან ჯერ არავინ შეხმიანებია.

**ბაჩუნა ძიძია**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩხუბი, შერიგება და ვიაგრა



რენცო ულივიერი

**გასულ** შაბათს „სამპდორია“ — „რეჯინას“ (3:0) მატჩისას ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ინციდენტი მასპინძელთა შემლილი ფორვარდის ანტონიო კასანოსა და სტუმართა მხცოვანი, ფიცხი მწვრთნელის რენცო ულივიერის შელაპარაკება იყო აუტის ხაზთან.

ულივიერი მოედნიდან გააძევეს, მოგვიანებით კი დისციპლინურმა კომიტეტმა მწვრთნელი 10 ათასი ევროთი დააჯარიმა. გარკვეული ფულადი ჯარიმა კასანოსაც დაეკისრა.

„ყოველმხრივ უსამართლო გადაწყვეტილებაა. არ მგონია, ეს ჯარიმა გადავიხადო და „რეჯინასაც“ ავუკრძალავ ამის გაკეთებას. მინდა ვიცოდე, სად მიდის ეს ფული, ლეგა კალჩოს დაფინანსებას არ ვაპირებ“ — თქვა ცხელ გულზე ულივიერიმ.

მოგვიანებით რენცო და კასანო შერიგებულან და გადაუწყვეტიათ, ფულადი ჯარიმა 20 პროცენტით გაიზარდონ, რადგან ეს ფული ადრიანო ლომბარდის ოჯახს გადაერიცხება. ლომბარდი „აველინოს“ ყოფილი კაპიტანია, რომელიც ახლახან გარდაიცვალა ერთ-ერთ იშვიათ დაავადებასთან მრავალწლიანი ჭიდილის შემდეგ.

რენცო ულივიერი: „კასანო კარგი ბიჭია, უბრალოდ, ხანდახან წყობიდან გამოდის. ჩვენს შორის უკვე ყველაფერი გავარკვიეთ და გადავწყვიტეთ, ჯარიმა ოც-ოცი პროცენტით გავიზარდოთ, რადგან ამ ფულს ადრიანო ლომბარდის ოჯახი მიიღებს. ეს კეთილშობილური საქციელია და გასაჭირში მყოფი ხალხისთვის იმედის მომცემი ნაბიჯი იქნება“.

66 წლის ულივიერი სერია A-ს უხუცესი მწვრთნელია და ფეთქებადი ხასიათით გამოირჩევა. იგი ოთხი მატჩია „რეჯინას“ წვრთნის და უკვე ორი წითელი ბარათი მიიღო. უდისციპლინობის ეს „რეკორდი“ ალბათ რთული გასაუმჯობესებელი იქნება.

„არ მინდა, თავის დამშვიდება დავიწყო, ამის საფუძველი არ არსებობს. არაფერია საგანგაშო იმაში, რომ ოთხ თამაშში ორი წითელი ბარათი მივიღე. როცა ვითარება ალელვებას და გაბრაზებას მოითხოვს, თავს ვერ შევიკავებ და მშვიდად ვერ ვიჯდები. ასე რომ, თუ საქმეს დასჭირდა, ისევ გავბრაზდები. თამაშში მთლიანად ვერთვები ხოლმე და მიუხედავად ასაკისა, კარიერის დასრულებაზე ჯერ არც ვფიქრობ. ფეხბურთი ჩემი ვიაგრაა, ამით ვცხოვრობ“ — დასძინა ულივიერიმ.

**კოკი კანდელაკი**



# ფაბიო კაპელოს წითლებმა მიაკითხეს

**რაფა ბენიტესი** „ლივერპულის“ თავკაცობას წაეჩხუბა და „წითლებიც“ სამომავლოდ ახალი მწვრთნელის ძიებაში არიან. ინგლისური მედიის ვერსიით, შესაძლოა, ეს სპეციალისტი ფაბიო კაპელო იყოს.

იტალიელმა მწვრთნელმა გაამხილა, რომ „ლივერპულის“ პატრონები ტომ ჰიკსი და ჯორჯ ჯილეტი დაუკავშირდნენ და კლუბის მეთაურობა სთხოვეს. ინგლისელებმა კაპელოს „ლივერპულისა“ და „პორტუს“ საჩემპიონთალიგო მატჩამდეც დაურეკეს და თამაშის შემდეგაც.

ბენიტესს კი ჰიკსთან და ჯილეტთან გვარიანი უთანხმოება მოუვიდა. ესპანელი მწვრთნელი ამჟამად აცხადებს, რომ მისი მიზანი „ენფილდზე“ დარჩენა და „წითლების“ წარმატებაზე ზრუნვაა, თუმცა კლუბის პატრონები მასთან განშორებას გეგმავენ და რაფას შემცვლელადაც კაპელო შეურჩევიათ.

დონ ფაბიოს სხვა მთხოვნელიც ჰყავდა. იტალიელს, რომელიც „რეალის“ მწვრთნელობის მერე უმუშევარია, ინგლისის ფეხბურთის ფედერაცია ქვეყნის ნაკრების ჩაბარებას სთავაზობდა. ინგლისის ნაკრების სავარაუდო დამრიგებლად ჟოზე მაურინიუსაც ფიქრობდნენ, თუმცა ალბიონელთა საფეხბურთო ფედერაცია ადრეც და დღესაც უფრო კაპელოს ვარიანტის ერთგული რჩება.

პრემიერლიგის სხვა კლუბიც ზვერავს კაპელოს — ეს სემ ალარდაისით უკმაყოფილო „ნიუკასლია“.

**ლადო ხომერიკი**

# დრენტე ან შინ ან ალბიონზე

**ჰოლანდიელი** როისტონ დრენტე მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელთა იმ ხუთეულში შედის, წლეულს „სანტიაგო ბერნაბეუ“ რომ უნდა დაატოვებინონ. „ასის“ ვერსიით, ახალგაზრდა ნახევარმცველი იანვარში სამშობლოს დაუბრუნდება და იქ რომელიმე კლუბის მაისურას მოირგებს.

„ონდა მადრიდმა“ კი გამოაცხადა, რომ „რეალმა“ სამშაბათს ჰოლანდიაში თავისი წარმომადგენელი გაგზავნა დრენტეს საქმის მოსაგვარებლად. როისტონს „სამეფო კლუბის“ მწვრთნელმა ბერნდ. შუსტერმა უკვე უთხრა, რომ საამსეზონოდ მასთან თანამშრომლობას არ აპირებს და დრენტესთვის საუკეთესო გამოსავალი 30 ივნისამდე მავან უცხო კლუბში იჯარით გადასვლა იქნება.

გერმანელი სპეციალისტის აზრით, დრენტესთვის სეზონის დარჩენილი პერიოდის უქმად გატარება ფრიად საზიანო იქნება. ცხადია, ამას დროებით სხვაგან გადაბარგება და იქ იმ საჭირო გამოცდილების მიღება სჯობს, ჰოლანდიელს მადრიდში თავის გამოსაჩენად ასე რომ აკლია.

„ბერნარდომ“ დრენტეს შესახებ თავისი აზრი კლუბის თავკაცობასაც გაუმხილა. „რეალის“ სპორტულმა დირექტორმა პრედრაგ მიატოვიჩმა როისტონის პრობლემა საკმაო ხანია, იცის და ყველანაირად ცდილობს, ახალგაზრდა ფეხბურთელის საქმე რაც შეიძლება მალე გადაწყვიტოს

ამიტომაც ჩავიდა მადრიდული გუნდის წარმომადგენელი ჰოლანდიაში. თუმც ესპანელ აგენტს იქ სხვა საქმეც ექნება მოსაგვარებელი. „რეალმა“ „ფეიენოორდთან“, დრენტეს ყოფილ კლუბთან, სატრანსფერო წვრილმანები უნდა შეათანხმოს.

როისტონმა მადრიდში სახელი უფრო ღამეული თავგადასავლებით გაითქვა, ვიდრე თამაშით. ჰოლანდიაში მისი დაბრუნების გარდა სხვა, სათადარიგო ვარიანტიც არსებობს — შესაძლოა, დრენტე იანვარში ინგლისურ პრემიერლიგაში, კერძოდ, „ჩელსიში“ აღმოჩნდეს.

2007-ის ზაფხულს კასტილიელებმა „ფეიენოორდის“ ფაფარაყრილ ჯეელში 14 მილიონი ევრო გადაიხადეს. არადა, სადღეისოდ დრენტე ბერნდ შუსტერის მიერ შერისხულთა სიაშია და მინდორზე თითქმის საერთოდ არ გამოჰყავთ.

„სანის“ ცნობით, შესაძლოა, დრენტეს საქმე ტრანსფერში „ჩელსის“ ფეხბურთელის ფლორან მალუდას ჩართვით მოაგვარონ. ფრანგი მალუდა „სტემფორდ ბრიჯზე“ ზაფხულში 13 მილიონი გირვანქის ფასად მივიდა, მაგრამ პრემიერლიგასა და ცხოვრების ლონდონური წესს ვერაფრით შეეჩვია. „ჩელსის“ ვარჯიშები საშინლად გამომფიტველია, პრემიერლიგაში შობის დღესასწაულამდე თამაშობენ და ინგლისში მოძრაობის წესებიც აუტანელია“ — თქვა ჟურნალისტებთან ექსლიონელმა. ახლა ხელში მის ჩაგდებას მადრიდის „რეალი“ აპირებს.

**ლადო ხომერიკი**

# ეტოო დაბრუნდა

**სამუელ ეტოო** „დეპორტივოსთან“ ითამაშებს. კამერუნელმა „ბარსელონას“ ექიმებისგან მოედანზე გასვლისა და თამაშის ნანატრი უფლება მიიღო, რამაც, ცხადია, ძალიან გაახარა. „აღფრთოვანებული ვარ. ტრავმის გამო საკმარისზე მეტი ხნით დავიტანჯე, ახლა კი საშუალება მეძლევა, საყვარელ საქმეს დავუბრუნდე“ — თქვა გუშინ ეტოომ.

აფრიკელს ბურთსა და მოედანთან დაშვიდობება მართლაც დიდი ხნით მოუწია. ეტოომ მარჯვენა ფეხის ტრავმა იტალიურ „ინტერთან“ გამპერის თასის მატჩში მიიღო და იძულებული გახდა, მთელი სამი თვე ექიმთა მეთვალყურეობის ქვეშ გაეტარებინა.



ტიერი ანრი და სამუელ ეტოო

ახლა ბარსელონელების საწუხარი ზურგმტკივანი ტიერი ანრია. ფრანგმა ტრავმა ვერ მოირჩინა, ასე რომ, ანრის „დეპორტივოსთან“ ვერ ვიხილავთ. „კამპ ნოუს“ ვარსკვლავს ამავე მიზეზით პრიმერადივიზიონში „ესპანიოლთან“ და ჩემპიონთა ლიგაზე „ლიონთან“ არ უბურთავია.

**ლადო ხომერიკი**

## შევჩენკო იუვეში?

**იტალიური** „ტოტოსპორტის“ ინფორმაციით, იანვარში ტურინის „იუვენტუსი“ ანდრეი შევჩენკოს დამატებას ეცდება და უკვე ამზადებს წინადადებას „ჩელსისთვის“. მოგეხსენებათ, 31 წლის უკრაინელი ფორვარდი „მილანში“ წარმატებულად გატარებული 7 წლის მერე გადავიდა ლონდონელთა რიგებში, მაგრამ იქ საქმე ცუდად მიხდის და იტალიაში დაბრუნება სურს.

## ისმაელი ჰანოვერში მიდის

**მიუნხენის** „ბაიერნის“ მცველი ვალერიან ისმაელი, რომელიც კლუბის ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება, „ჰანოვერში“ გადადის. „კიკერის“ ცნობით, 32 წლის ფრანგი კვირის ბოლომდე გაივლის სამედიცინო შემოწმებას და მალე მხარეები ოფიციალურად გააფორმებენ ტრანსფერს.

## ძამბროტა და მილანი

**რა ხანია,** ჯანლუკა ძამბროტას „მილანს“ უკავშირებენ და იტალიურ პრესას თუ ვენდობით, დიდი შანსია, იანვარში ეს ტრანსფერი შედგეს კიდეც. 30 წლის ექსიუვენტუსელს „ბარსელონაში“ საქმე იდეალურად არ აქვს და ამბობენ, სამშობლოში დაბრუნებაზე ფიქრობსო. გავრცელებული ცნობით, თუ „მილანი“ მართლაც ისურვებს მის დამატებას, კატალონიელებისთვის დაახლოებით 5 მილიონი ევროს გადახდა მოუწევს.

## ხორხე მარტინესმა ბობოლები დააინტერესა

**სიცილიური** „კატანიას“ 24 წლის ურუგვაელი თავდამსხმელი ხორხე მარტინესი მიმდინარე სერია A-ში ჩინებულად თამაშობს და ბობოლების ყურადღება მიიქცია კიდეც. მისთვის „რომასა“ და „იუვენტუსს“ დაუდგამთ თვალი და შესაძლოა, მარტინესმა იანვარშივე ამ კლუბთაგან ერთ-ერთში ამოყოს თავი. „კატანიას“ ერთ-ერთმა მმართველმა პიეტრო ლო მონაკომ დაადასტურა, რომ მარტინესით ბევრია დაინტერესებული და თქვა — თუ სათანადოდ გადაგვიხდიან, პრობლემა არ იქნება, წაიყვანონო.

**გიორგი კაკაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაფიამ პერუს მისცა, პერუმ — არგენტინას

**კოლუმბიელი** ნარკობარონის ხილბერტო როდრიგესის ვაჟი ფერნანდო როდრიგეს მონდრაგონი იქაურ „რადიო კარაკოლთან“ „ამღერდა“ და მამამისის ნაჩალიჩარი კიდევ ერთი სკანდალური საქმე გაამხილა. ლაპარაკია 1978 წლის არგენტინულ მუნდიალზე, სადაც, როგორც სენიორ ფერნანდო ამბობს, ნარკოდოლარებს დიდი გასავალი ჰქონია.

გახსოვთ სახელგანთქმული მატჩი არგენტინა — პერუ? მას შემდეგ 29 წელიწადი გავიდა და ეჭვი იმის შესახებ, რომ მუნდიალის მასპინძლებმა ტურნირის ალმოჩენა გუნდს 6 უპასუხო გოლი მარტო საკუთარი ძალებით არ შეუგდეს, დღემდე არ ჩამცხრალა. მაშინ ნახევარფინალურ ჯგუფში (არგენტინა, ბრაზილია, პოლონეთი, პერუ) არგენტინელები „კანარინიას“ ბურთების შეფარდებით ჩამორჩებოდნენ და ფინალში მათ გასასვლელად პერუსთან ბოლო თამაშში 4 და მეტი ბურთის უპირატესობით მოგება იყო საჭირო. „სელესტემ“ ოთხიც გაიტანა და ექვსიც, თუმცა ამან სერიოზული ეჭვები წარმოშვა.

დღეს კი ფერნანდო როდრიგეს მონდრაგონის თქმით ირკვევა, რომ კოლუმბიურ ნარკოკარტელს, რომელსაც იმ დროს ხილბერტო „მოჭადრაკე“ როდრიგესი და მისი ძმა მიგელი მეთაურობდნენ, პერუს ნაკრებისთვის უზარმაზარი თანხა გადაუხდია, რათა ამ გუნდს არგენტინასთან სასურველი ანგარიშით წაეგო.

„დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ 78-ში პერუმ თამაში გაყიდა. ბიძაჩემი მიგელი მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთ სახელგანთქმულ პიროვნებას ესაუბრებოდა და ჩემი თანდასწრებით აღიარა, რომ კალის კარტელმა პერუელებს წასაგებად დიდი ფული გადაუხადა. მიზანი ბრაზილიის ჩაძირვა იყო, ისინი ფინალში არ უნდა გასულიყვნენ“ — თქვა „მოჭადრაკის“ შვილმა.

ფერნანდომ მერე ისიც გაამხილა, მამაჩემი და დონ მიგელი სამოცდაათიანი წლების ბოლოს დიეგო მარადონას კოლუმბიურ „ამერიკაში“ ექვსთვიანი ბურთაობის სანაცვლოდ 3 მილიონ ამერიკულ დოლარს სთავაზობდნენ, თუმცა ეს ოპერაცია გილიერმო კოპოლას მიზეზით არ შედგაო. კოპოლა ნორჩი მარადონას აგენტი იყო და თავისი კლიენტის „ამერიკაში“ გადაბარგება ევროპის მომიზეზებით ჩაშალა. იმ დროს დიეგოზე დიდევროპული კლუბები უკვე ნადირობდნენ.

კოლუმბიაში მალე წიგნიც გამოვა — „მოჭადრაკის შვილი 2“, სადაც პატივცემული მონდრაგონი, სავარაუდოდ, კიდევ რამდენიმე სკანდალს აფეთქებს.

**ლადო ხომერიკი**

# ბიჭები როგორ არიან?

**ინგლისის** ნაკრების კაპიტანი ჯონ ტერი ჟოზე მაურინიუზე ამბობს, რომ ის ცალკე დგას და თუკი სტივ მაკლარენის ადგილი ვინმემ უნდა დაიკავოს, ეს უპირველეს ყოვლისა „ჩელსის“ ყოფილი შეფია. როგორც ირკვევა, ტერი ამ საკითხზე ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის აღმასრულებელ შეფს, ბრაიან ბორვიკსაც ელაპარაკა. შეგახსენებთ, რომ ასოციაციისგან ეროვნული გუნდის ახალი თავკაცის მოძებნა ბორვიკს აქვს დავალებული.

„მაურინიუ ჩემთვის სრულიად განსაკუთრებულია — თქვა კაპიტანმა — დანარჩენი კი ასოციაციის საქმეა. თუ უნდათ, დაუკავშირდნენ და შესთავაზონ სამუშაო“.

მოგეხსენებათ, მაურინიუს კანდიდატურას ინგლისელ ქომაგთა დიდი უმეტესობა უჭერს მხარს. პორტუგალიელის დანიშვნის მომხრეა თვით „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცი ალექს ფერგიუსონიც. მეტიც, მართალია ისინი ინგლისელები არ არიან და ვინ გახდება ამ ქვეყნის ნაკრების მწვრთნელი, მათი გადასაწყვეტი არ არის, მაგრამ მაურინიუს დანიშვნა მიზანშეწონილად მიაჩნიათ ფრანც ბეკენბაუერსა და მიშელ პლატინისაც.

„ბორვიკს შევხვდი, მაგრამ რა ვილაპარაკეთ, ამის შესახებ ვერ გიამბობთ. ჩვენი საუბრის თემა მწვრთნელობის კანდიდატებს ძალიან გაცდა. უამრავ საკითხს შევეხეთ და ეჭვი არ მეპარება, ასეთივე შეხვედრები მას სხვა ბიჭებთანაც ექნება — განაგრძო ტერიმ — ჩემსა და ჟოზეს შორის არასდროს ყოფილა ცუდი ურთიერთობა. უახლოეს მომავალშიც სიამოვნებით ვითამაშებდი მისი ხელმძღვანელობით. ამბობენ, თითქოს მაურინიუს „ჩელსიდან“ წასვლის წინ მასთან უსიამოვნება მომივიდა. ტყუილია. დიახ, ჩვენ ვიკამათეთ, მაგრამ ნურავინ გააზვიადებს და ნუ იტყვის, რომ ის ლონდონიდან ამიტომ წავიდა. ჩვენს კამათს „ჩელსიდან“ მის წასვლასთან საერთო არაფერი ჰქონია. ამასწინათ მისგან მესიჯიც მივიღე, როგორ ხარ, ოჯახი როგორ გყავს, ბიჭები როგორ არიანო. ახლა კარი რომ გაიღოს და მაურინიუ შემოვიდეს, სიამოვნებით წავმოვდგები და ხელს ჩამოვართმევ. ჟოზე ინგლისის ნაკრების თავკაცი რომ გახდეს, გუნდი სულ შეიცვლება. ის დიდებული კაცია, ტაქტიკურად სრულიად ნასწავლი. მაურინიუ ფეხბურთს ძირფესვიანად იცნობს და გრძნობს“.

**პაატა ძიძია**






# კიჭა ლონდონში გაიღიმებს

## ჩელსიმ რონალდინიო შეითანხმაო

**რონალდინიომ** „ჩელსისთან“ წინასწარი ხელშეკრულება გააფორმა. ყოველ შემთხვევაში, ესპანური „მარკა“ ასე ამტკიცებს. აბრამოვიჩის კლუბს ბრაზილიელისთვის წლიურად 10 მილიონი ევრო ჯამაგირი შეუთავაზებია და „კიჭასაც“ სარფიან წინადადებაზე უარი არ უთქვამს.

რონი ალბიონზე იანვრის სატრანსფერო ბაზარზე გადაბარგდება. „კიჭას“ ძმა და საფეხბურთო აგენტი რობერტო დე ასისი ცდილობს, ფეხბურთელი „ბარსელონადან“ გამოიხსნას, კატალონიური გუნდი კი ოკეანისგაღმელით ბლომად ფულის გაკეთებას აპირებს — როგორც ცნობილია, რომან არკადიევიჩს ჯიბეზე ხელის გაკვრა არ ენანება.

ამგვარად, „ჩელსიმ“ სატრანსფერო ომში რონალდინიოს მეორე მსურველ გრანდს, „მილანს“ აჯობა, თუმცა დრო კიდევ დარჩა და მოულოდნელობებით აღსავსე საფეხბურთო სამყაროში არავინ იცის, რა შეიძლება მოხდეს.

**ლადო ხომერიკი**



მიკ მაკარტი

# კორეული დილემა

**„ვულვერჰემპტონ** უონდერერზი“ სულ მალე ოფიციალურ განცხადებას გააკეთებს. თემა: მისი მწვრთნელი, 48 წლის მიკ მაკარტი სამხრეთკორეელებს ნაკრების მწვრთნელად უნდათ.

მაკარტისთვის სანაკრებო ფეხბურთი სიახლე არ გახლავთ. მან ექვსი წელიწადი ირლანდიის ეროვნული გუნდის სათავეში გაატარა და 2002 წელს, იაპონიასა და კორეაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე მეორე ეტაპზეც კი გაიყვანა. ირლანდიის ნაკრებიდან წასვლის შემდეგ მიკ მაკარტი „სანდერლენდს“ ჩაუდგა სათავეში.

„სანდერლენდს“ მაკარტი 2006 წლის მარტში გამოემშვიდობა. მიზეზი: გუნდი პრემიერლიგის ცხრილში ბოლო ადგილზე იყო. ამ ამბიდან ოთხ თვეში კი მწვრთნელმა „ვულვზში“ დაიწყო მუშაობა.

დღეს მაკარტის გუნდი ჩემპიონატში მეექვსე ადგილზეა, 20 თამაშიდან 9 მოიგო.

თუმცა, მიკ მაკარტი სამხრეთკორეელთა ნაკრების თავკაცობის ერთადერთი კანდიდატი არ გახლავთ. მაკარტის გარდა აზიელებმა თანამდებობა ფრანგ ჟერარ ულიესაც შესთავაზეს.

„საბოლოო პასუხი ორივე კანდიდატისგან მივიღეთ და ახლა საკონტრაქტო საკითხებზე ვმუშაობთ“ — განაცხადა სამხრეთ კორეის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა ჩუნგ მონგ-ჯუნმა. როგორც ამბობენ, მონგ-ჯუნი და ძმანი მისნი ამ ისტორიას წერტილს შაბათამდე დაუსვამენ.

სამხრეთ კორეა იენისის შემდეგ უმწვრთნელოდ არის. პიმ ვერბეეკმა თანამდებობა 2007 წლის აზიის თასზე მესამე ადგილზე გასვლის გამო დასტოვა.

შეგახსენებთ, რომ 60 წლის ჟერარ ულიე თავის დროზე „ლივერპულს“ წვრთნიდა და საფრანგეთის ნაკრების ტექნიკური დირექტორიც გახლდათ. ბოლოხანს მან ორი წარმატებული წელიწადი „ლიონში“ გაატარა.

**პაატა ძიძია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გერმანიის ყველაზე...

**გუშინდელ „სარბიელში“ ბუნდესლიგის ნიჭიერ ფეხბურთელთა ათეული შემოგთავაზეთ. უკვე დალევინებულ, თმაშევერცხლილ ათ გამორჩეულ მოთამაშეს დღეს წარმოგიდგენთ — რომლებმაც საუკეთესო წლები გაიარეს. მათი კარიერა დასასრულისკენ მიდის, მაგრამ „ბებერი ბუცების“ ქაცვები მაინც ხნავენ გერმანულ მოედნებს.**

## ოლივერ კანი (38 წლის), ბაიერნი



ევროპის ჩემპიონი (1996), მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლოსანი (2002) და ბრინჯაოსანი (2006), ჩემპიონთა თასის მფლობელი (2001) ოლივერ კანი ოდესღაც თურმე იმით იყო გახარებული, რომ ობერლიგაში, „კარლსრუეს“ შემადგენლობაში სეზონში 30 მატჩი ათამაშეს. დღეს კანის მონაგარი ყველა შეჯიბრში 900-ზე მეტი მატჩია, ბუნდესლიგაში კი 540-ს გასცდა. გერმანიის შვიდგზის ჩემპიონი, მსოფლიოს საუკეთესო მეკარე (1999, 2001, 2002), მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის საუკეთესო მეკარე და ფეხბურთელი ამ სეზონის ბოლოს კარიერას დაასრულებს. ამბობენ, 2010-ში ული ჰოენესის ადგილს დაიკავებს და „ბაიერნის“ გენერალური მენეჯერი გახდებაო, ჰოენესი კი პრეზიდენტობას უმიზნებს.

## ბერნდ შნაიდერი (34), ლევერკუზენი



უცნაურია, რომ 17-წლიან კარიერაში ბუნდესლიგის ერთ-ერთ გამორჩეულ ნახევარმცველს ერთი ტიტულიც არ მოუგია. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაბადებულმა შნაიდერმა შვიდი სეზონი მეორე ბუნდესლიგაში იენის „კარლ ცაისში“ გაატარა და ისე უყვარდა იქაურობა, რომ კლუბის გამოცვლა არ სურდა. ბოლოს „აინტრახტში“ გადასვლას დათანხმდა და 1995-ში ფრანკფურტული კლუბის მაისურა მოირგო. 1999 წელს „ლევერკუზენმა“ იყიდა და საუკეთესო წლები სწორედ ამ გუნდში გაატარა. ბერნდ შნაიდერი მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლოსანი და ბრინჯაოსანია, ჩემპიონთა ლიგის ფინალში კი (2002) მისი „ლევერკუზენი“ მადრიდის „რეალთან“ დამარცხდა. შნაიდერს კარიერაში თუნდაც ერთი ჯილდოს მოგების ოცნება, ვინძლო, ევრო 2008-ზე აუხდეს. მას იენაში საკუთარი საფეხბურთო სკოლა აქვს. „თეთრ ბრაზილიელად“ მონათლულმა ნახევარმცველმა ბუნდესლიგაში 285 მატჩი და 39 გოლი მოაგროვა, ხოლო მეორე ბუნდესლიგაში ეს რიცხვები, შესაბამისად, 124 და 13-ია. ნაკრების 80 მატჩში ოთხი გოლი შეაგდო.

## ზე რობერტო (33), ბაიერნი



„იმდენად კარგ ფორმაშია ფიზიკურად, რომ მასზე ათი წლით უმცროსებს შეშურდებათ — ამბობენ ხოლმე ბრაზილიელ ნახევარმცველზე, რომელსაც „ლევერკუზენსა“ და „ბაიერნში“ 236 მატჩში 24 გოლი გაუტანია. გერმანიის სამგზის ჩემპიონს (2003, 2005, 2006) ჯანი ნაღდად არ დაეწუნება და „სანტოსიდან“ „ბაიერნში“ ოტმარ ჰიცფელდმა ამიტომაც დააბრუნა.

## კრისტიან ვიორნსი (35), დორტმუნდი



ბუნდესლიგაში „ლევერკუზენის“ შემადგენლობაში ვიორნსის დებიუტი რომ შედგა, 17 წლის იყო. ამ მხრივ იგი რიგით მეოთხე უყრმესი დებიუტანტია, რეკორდი კი ამჟამად თურქ ნური შაჰინს ეკუთვნის. კრისტიან ვიორნსის კარიერა „ვალდჰოფში“ დაიწყო, ხოლო „ლევერკუზენს“ შვიდი სეზონი (1992-1998) შეალია. გადასვლისთანავე შეუცვლელად იქცა და იმავდროულად ახალგაზრდული ნაკრების ლიდერადაც ჩამოყალიბდა. მისთვისაც მოულოდნელი იყო, როცა 20 წლის ბიჭს ევრო 92-ისთვის ეროვნულ გუნდში უხმეს. ევროპის მომდევნო ჩემპიონატისთვის (1996), რომელიც გერმანიამ მოიგო, ვიორნსს ახალგაზრდა მარკუს ბაბელი ამჯობინეს და „ლევერკუზენის“ მცველს ჯილდო გვერდზე დარჩა. 1999 წლიდან „დორტმუნდში“ თამაშობს და ბუნდესლიგაში უკვე 459 მატჩი მოაგროვა. მისი მიზანია ამ რიცხვის ხუთასამდე დამრგვალება. სანაკრებო კარიერა ევრო 2004-ის შემდეგ დაასრულა. ეროვნულ გუნდში 60 მატჩი ითამაშა.

## კარსტენ რამელოვი (33), ლევერკუზენი



ისევე როგორც ბერნდ შნაიდერმა, „ლევერკუზენის“ თეთრთმიანმა ნახევარმცველმა კარიერაში ვერაფერი მოიგო, მაგრამ, სამაგიეროდ, ქომაგების ჯილდად იქცა შეუპოვრობისა და შრომისმოყვარეობის გამო. ბავშვობაში „ტასმანია“, „ტენის ბორუსია“, „ჰერტა ცელენდორფის“ და „სიმენსშტადის“ სკოლები გამოიარა და 17 წლის ასაკში ბერლინის „ჰერტაში“ მიიღეს. დედაქალაქში ოთხი სეზონი (1991-1995) გაატარა და „ლევერკუზენში“ გადავიდა, სადაც კრისტოფ დაუმის გუნდში ემერსონთან და შემდეგ ბალაკთან ერთად ნახევარდაცვის უძლიერესი ხაზი შექმნა. ბუნდესლიგაში 332 მატჩში 21 გოლი მიითვალა, ნაკრებში კი 46-ში — სამი. ამ სეზონის ბოლოს, შესაძლოა, მეორე ბუნდესლიგის გუნდში გადავიდეს, თუ არადა, „ლევერკუზენში“ მწვრთნელობას აპირებს.

## მიხაელ ტარნატი (38), ჰანოვერი



გერმანული ფეხბურთის ბოლო 15 წლის ერთ-ერთი საუკეთესო მარცხენა მცველი. უძლიერესი ცაციის პატრონს საჯარიმოებიდან არაერთხელ გაუტანია. 349 ბუნდესლიგურ მატჩში 24 გოლი შეაგდო. 20 წლის იყო, „დუისბურგში“ რომ გადავიდა და უმალ ძირითად შემადგენლობაში ჩაეწერა. შემდეგ სამი სეზონი (1994-1997) „კარლსრუეში“ გაატარა და იქიდან „ბაიერნში“ აღმოჩნდა. გუნდში ოთხჯერ (1999, 2000, 2001, 2003) გერმანიის ჩემპიონი გახდა და თასი სამჯერ (1998, 2000, 2003) მოიგო. 2003-ის ზაფხულში ერთი სეზონით პრემიერლიგის „სიტიში“ წავიდა. კარიერა უნდა დავასრულოო, მაგრამ დღესაც „ჰანოვერში“ ბურთს დასდევს.

## ფრანკ როსტი (34), ჰამბურგი



გერმანელი ჟურნალისტების აზრით, ფრანკ როსტი მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ნაკრების პირველი მეკარე გახდებოდა. თუმც გერმანიაში „კეპკეს, კანის და ლემანის ჩრდილიდან ვერ გამოვიდა. ლაიპციგის „ლოკომოტივის“ აღზრდილი, 1992 წლის ზაფხულში „ვერდერის“ მწვრთნელმა ოტო რეჰაგელმა შეამჩნია და თავის გუნდში წაიყვანა, მაგრამ ხუთი სეზონის განმავლობაში მეორე ნომერი იყო, რადგან პირველობას ოლივერ რეკი არავის არ უთმობდა. რეკის „შალკეში“ წასვლის შემდეგ როსტის დრო დადგა და მალე კაპიტანიც გახდა. 10 სეზონი გაატარა „ვერდერში“ და ერთი გოლიც გაიტანა — „ჰანზასთან“ კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი კარში თავით შეაგდო. 2002-ში ჰანს-იორგ ბუტზე უკეთეს ფორმაში იყო და მსოფლიოს ჩემპიონატზე მაინც არ წაიყვანეს. იმავე ზაფხულის „შალკეში“ გადავიდა და ოთხი წელი შეალია „ხუმარებს“. ხოლო შარშან „ჰამბურგის“ მეკარე გახდა. ბუნდესლიგაში 300-ზე მეტი გოლგაუშვებელი მატჩი ჩაატარა, ნაკრები კი სულ ოთხჯერ აღირსეს.

## შტეფან ბაინლიხი (35), ჰანზა



ბერლინში დაბადებული ბიჭი ექვსი წლისა „დინამოში“ მიიყვანეს. 14-ის რომ შესრულდა, მწვრთნელმა მშობლებთან ერთად დაიბარა და უთხრა, რომ გულის ავადმყოფობის გამო ფეხბურთის თამაში უნდა შეეწყვიტა. მას ტანვარჯიში და ფრენბურთი ურჩიეს. 90-იანი წლების შუაში ბაინლიხმა არქივი ამოქექა და „დინამოდან“ მისი გაშვების ნამდვილი მიზეზი გაარკვია. მისი პაპა-ბებია გფრ-ში, ჰამბურგში ცხოვრობდა და დემოკრატიულმა გერმანიამ ბიჭი ამიტომ აითვალისწუნა. 16 წლის შტეფანი ისევ ფეხბურთს დაუბრუნდა, „ბერგმან-ბორზიგში“ თამაშობდა. 1991-ის ოქტომბერში, როცა გუნდი ჰოლანდიაში შეკრებაზე იყო, „ასტონ ვილას“ სკაუტებმა შეამჩნიეს და წაიყვანეს. 1994 წელს „ჰანზაში“ გადავიდა, შემდეგ „ლევერკუზენში“ იყო. იქიდან „ჰერტას“ მიაშურა, მერე კი „ჰამბურგს“. გასულ სეზონში „ჰანზას“ დაუბრუნდა და გუნდს ბუნდესლიგაში აღზევებაში დაეხმარა. ბაინლიხმა 284 მატჩში 56 გოლი გაიტანა.

## რობერტ კოვაჩი (33), დორტმუნდი



დასავლეთ ბერლინში დაბადებულმა ხორვატმა კარიერა „ჰერტა ცელენდორფში“ 1990 წელს დაიწყო და ხუთი სეზონი ძმასთან, ნიკოსთან ერთად გაატარა. 1996-ში „ნიურნბერგმა“ წაიყვანა, რომელიც მაშინ მეორე ბუნდესლიგაში იყო. ნიურნბერგიდან „ლევერკუზენში“ გადავიდა და ხუთი წელი შეალია. მერე „ბაიერნმა“ იყიდა და ოთხი სეზონის განმავლობაში ორჯერ ბუნდესლიგა (2003, 2005) და ამდენჯერვე გერმანიის თასი მოიგო. 2005-ში „იუვენტუსის“ ფეხბურთელი გახდა და კალჩოპოლისგან დასჯილ გუნდს სერია B-დან ამოსვლაში დაეხმარა. ამ ზაფხულს კვლავ ბუნდესლიგას დაუბრუნდა და „დორტმუნდის“ მაისურა მოირგო. ბუნდესლიგის 229 მატჩში ერთი გოლი გაიტანა.

## ტომისლავ პიპლიცა (38), კოტბუსი




ხორვატი მეკარე ბოსნიური პასპორტით „კოტბუსში“ 1998 წლიდანაა და ქომაგებს გუნდი მის გარეშე ვერ წარმოუდგენიათ. ისეთი გოლები გაუშვა, რომ მის გაგდებას ითხოვდნენ, მაგრამ მომდევნო მატჩებში სასწაულებრივ დარტყმებს იგერიებდა და ამის მერე უკვე აღმერთებდნენ. ერთხელ პიპლიცა სტადიონის გვერდით საკუთარ ავტომობილში მძინარეც კი ნახეს. იმასაც ამბობენ, ბალკანეთის ომის დროს სერბების წინააღმდეგ იბრძოდაო. ხორვატმა „კოტბუსს“ უერთგულა, რომლის შემადგენლობაშიც 248 მატჩი ითამაშა ცხრა სეზონის განმავლობაში, ბოსნიის ნაკრების მაისურა კი ცხრაჯერ მოირგო.

**გაგა ხუციშვილი**

ქართული მემკვიდრეობა



# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 8 დეკემბერი | | | | | | |
| 21:15 | 3 | რედინგი-ლივერპული | 5.30 | 3.50 | 1.60 | 2.10 | 1.22 | 1.09 |
| 16:45 | 5 | ასტონ ვილა-პორტსმუთი | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 19:00 | 8 | ჩელსი-სანდერლენდი | 1.15 | 6.50 | 15.00 | 1.00 | 1.06 | 4.53 |
| 19:00 | 10 | ევერტონი-ფულემი | 1.60 | 3.50 | 5.70 | 1.09 | 1.24 | 2.16 |
| 19:00 | 11 | მანჩესტერი-დერბი | 1.12 | 7.00 | 17.00 | 1.00 | 1.05 | 4.95 |
| 19:00 | 15 | ნიუკასლი-ბირმინგემი | 1.80 | 3.30 | 4.25 | 1.16 | 1.26 | 1.85 |
| | | 9 დეკემბერი | | | | | | |
| 19:00 | 4 | ტოტენჰემი-სიტი | 2.05 | 3.20 | 3.40 | 1.24 | 1.27 | 1.64 |
| 20:00 | 6 | ბლეკბერნი-ვესტ ჰემი | 1.80 | 3.30 | 4.20 | 1.16 | 1.25 | 1.84 |
| 19:00 | 7 | ბოლტონი-უიგანი | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 17:30 | 13 | მიდლსბრო-არსენალი | 6.30 | 3.70 | 1.50 | 2.33 | 1.21 | 1.06 |
| | | ინგლისი. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 8 დეკემბერი | | | | | | |
| 16:30 | 28 | პლიმუთი-ბრისტოლი | 2.20 | 3.30 | 2.90 | 1.32 | 1.25 | 1.54 |
| 16:30 | 29 | პრესტონი-ბლეკპული | 2.10 | 3.30 | 3.10 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| 19:00 | 30 | სკანთორპი-ქპრ | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 19:00 | 31 | უენსდი-ქოვენთრი | 1.95 | 3.20 | 3.55 | 1.21 | 1.25 | 1.68 |
| 19:00 | 32 | საუთჰემპტონი-ჰალი | 1.95 | 3.25 | 3.55 | 1.21 | 1.25 | 1.69 |
| 19:00 | 34 | ბარნსლი-კრისტალ პალასი | 2.05 | 3.30 | 3.20 | 1.26 | 1.24 | 1.62 |
| 21:20 | 35 | ვულვერჰემპტონი-ბარნლი | 1.80 | 3.30 | 4.10 | 1.16 | 1.25 | 1.82 |
| 19:00 | 36 | კარდიფი-კოლჩესტერი | 2.00 | 3.20 | 3.35 | 1.23 | 1.25 | 1.63 |
| 19:00 | 37 | ჩარლტონი-იფსვიჩი | 1.80 | 3.30 | 3.95 | 1.16 | 1.23 | 1.79 |
| 18:15 | 38 | ლესტერი-ვესტ ბრომვიჩი | 2.50 | 3.30 | 2.45 | 1.42 | 1.23 | 1.40 |
| 19:00 | 39 | ნორვიჩი-შეფილდი | 2.60 | 3.20 | 2.40 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| | | 9 დეკემბერი | | | | | | |
| 17:15 | 33 | სტოკი-უოტფორდი | 2.50 | 3.30 | 2.50 | 1.42 | 1.25 | 1.42 |
| | | ინგლისი. კონფერენსი | | | | | | |
| | | 6 დეკემბერი | | | | | | |
| 23:45 | 775 | კიდერმინსტერი-კემბრიჯი | 2.60 | 3.30 | 2.40 | 1.45 | 1.24 | 1.38 |
| | | შოტლანდია. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 8 დეკემბერი | | | | | | |
| 19:00 | 112 | აბერდინი-კილმარნოკი | 1.70 | 3.40 | 4.40 | 1.13 | 1.22 | 1.91 |
| 19:00 | 113 | სელტიკი-სტ.მირენი | 1.12 | 6.40 | 17.00 | 1.00 | 1.05 | 4.64 |
| 19:00 | 115 | ფოლკირკი-დანდი იუნაიტედი | 2.60 | 3.25 | 2.40 | 1.44 | 1.24 | 1.38 |
| 19:00 | 118 | ჰართსი-მოზერუელი | 1.70 | 3.40 | 4.40 | 1.13 | 1.22 | 1.91 |
| 19:00 | 119 | ინვერნესი-ჰიბერნიანი | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| | | 9 დეკემბერი | | | | | | |
| 20:00 | 116 | გრეტნა-რეინჯერსი | 10.00 | 5.50 | 1.20 | 3.54 | 1.07 | 1.00 |
| | | შოტლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | § დეკემბერი | | | | | | |
| 19:00 | 120 | ქუინი-პარტიკი | 2.30 | 3.50 | 2.50 | 1.38 | 1.19 | 1.45 |
| 19:00 | 121 | სტ.ჯონსტონი-მორტონი | 1.75 | 3.60 | 3.60 | 1.17 | 1.17 | 1.79 |
| 19:00 | 122 | დანდი-სტირლინგი | 1.40 | 4.30 | 6.00 | 1.05 | 1.13 | 2.50 |
| 19:00 | 123 | დანფერმლაინი-კლაიდი | 2.05 | 3.50 | 2.95 | 1.29 | 1.20 | 1.60 |
| 19:00 | 124 | ლივინგსტონი-ჰამილტონი | 2.95 | 3.50 | 2.05 | 1.60 | 1.20 | 1.29 |
| | | შოტლანდია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 8 დეკემბერი | | | | | | |
| 19:00 | 125 | პიტერჰედი-ეარი | 2.00 | 3.45 | 3.00 | 1.26 | 1.20 | 1.60 |
| 19:00 | 126 | რეითი-ბრეჩინი | 1.40 | 3.90 | 6.45 | 1.03 | 1.15 | 2.43 |
| 19:00 | 127 | ეროლი-კოუდენბითი | 1.80 | 3.55 | 3.55 | 1.19 | 1.19 | 1.77 |
| 19:00 | 128 | ალოა-როსი | 2.65 | 3.45 | 2.20 | 1.49 | 1.20 | 1.34 |
| 19:00 | 129 | ბერიკი-ქუინზ პარკი | 2.60 | 3.45 | 2.25 | 1.48 | 1.20 | 1.36 |
| | | შოტლანდია. III დივიზიონი | | | | | | |
| | | 8 დეკემბერი | | | | | | |
| 19:00 | 130 | დამბარტონი-სტრანრარი | 3.15 | 3.45 | 1.95 | 1.64 | 1.20 | 1.24 |
| 19:00 | 131 | ისტ სტირლინგი-ალბიონი | 2.00 | 3.45 | 3.00 | 1.26 | 1.20 | 1.60 |
| 19:00 | 132 | ელგინი-არბროთი | 2.65 | 3.45 | 2.20 | 1.49 | 1.20 | 1.34 |
| 19:00 | 133 | ფორფარი-ისტ ფაიფი | 7.20 | 3.95 | 1.35 | 2.55 | 1.13 | 1.00 |
| 19:00 | 134 | მონტროუზი-სტენჰაუზმუირი | 1.75 | 3.55 | 3.70 | 1.17 | 1.18 | 1.81 |
| | | გერმანია. I ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 7 დეკემბერი | | | | | | |
| 23:30 | 142 | დორტმუნდი-არმინია | 1.60 | 3.50 | 5.20 | 1.09 | 1.22 | 2.09 |
| | | 8 დეკემბერი | | | | | | |
| 18:30 | 135 | ბაიერნი-დუისბურგი | 1.15 | 6.40 | 16.00 | 1.00 | 1.07 | 4.57 |
| 18:30 | 139 | ჰამბურგი-კოტბუსი | 1.25 | 4.80 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.24 |
| 18:30 | 141 | ბოხუმი-კარლსრუე | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 18:30 | :43 | ჰანოვერი-ვერდერი | 2.90 | 3.20 | 2.25 | 1.52 | 1.26 | 1.32 |
| 18:30 | 145 | აინტრახტი-შალკე | 3.00 | 3.20 | 2.20 | 1.54 | 1.26 | 1.30 |
| 18:30 | 146 | შტუტგარტი-ვოლფსბურგი | 1.60 | 3.50 | 5.20 | 1.09 | 1.22 | 2.09 |
| | | 9 დეკემბერი | | | | | | |
| 20:00 | 137 | ლევერკუზენი-ჰანზა | 1.30 | 4.30 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 2.90 |
| 20:00 | 138 | ნიურნბერგი-ჰერტა | 2.20 | 3.10 | 3.10 | 1.28 | 1.28 | 1.54 |
| | | გერმანია. II ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 7 დეკემბერი | | | | | | |
| 20:00 | 148 | მაინცი-კიოლნი | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 20:00 | 149 | ალემანია-ზტ.პაული | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 20:00 | 153 | აუე-კობლენცი | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| | | 9 დეკემბერი | | | | | | |
| 17:00 | 151 | კაიზერსლაუტერნი-კარლ ცაისი | 1.65 | 3.40 | 4.70 | 1.11 | 1.22 | 1.97 |
| 17:00 | 152 | აუგსბურგი-ფიურტი | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 17:00 | 154 | პადერბორნი-ვეენი | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 155 | ჰოფენჰაიმი-ოფენბახი | 1.55 | 3.60 | 5.20 | 1.08 | 1.19 | 2.12 |
| 17:00 | 156 | ოსნაბრიუკი-მიუნხენი 1860 | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| | | 10 დეკემბერი | | | | | | |
| 23:15 | 150 | ფრაიბურგი-მიონხენგლადბახი | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| | | ავსტრია. ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 7 დეკემბერი | | | | | | |
| 22:30 | 177 | ზალცბურგი-რიდი | 1.35 | 4.00 | 8.00 | 1.00 | 1.15 | 2.66 |
| | | 8 დეკემბერი | | | | | | |
| 21:00 | 175 | მატერსბურგი-ალტახი | 1.60 | 3.40 | 5.25 | 1.08 | 1.22 | 2.06 |
| 21:00 | 178 | ტიროლი-რაპიდი | 2.90 | 3.20 | 2.25 | 1.52 | 1.26 | 1.32 |
| 21:00 | 179 | ლინცერი-ავსტრია კერნტენი | 1.50 | 3.60 | 5.85 | 1.05 | 1.19 | 2.22 |
| | | 9 დეკემბერი | | | | | | |
| 18:30 | 176 | ავსტრია-შტურმი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| | | შვეიცარია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 8 დეკემბერი | | | | | | |
| 20:45 | 188 | აარაუ-სტ.გალენი | 1.60 | 3.40 | 5.40 | 1.08 | 1.23 | 2.08 |
| 20:45 | 789 | ლუცერნი-თუნი | 2.00 | 3.15 | 3.30 | 1.22 | 1.24 | 1.61 |
| | | 9 დეკემბერი | | | | | | |
| 19:00 | 186 | ბაზელი-ქსამაქსი | 1.25 | 5.10 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 3.18 |
| 19:00 | 187 | იანგ ბოიზ-სიონი | 1.65 | 3.30 | 4.90 | 1.10 | 1.23 | 1.97 |
| 19:00 | 773 | გრასჰოპერი-ციურიხი | 2.85 | 3.10 | 2.30 | 1.48 | 1.27 | 1.32 |
| | | იტალია. სერია A | | | | | | |
| | | 8 დეკემბერი | | | | | | |
| 21:00 | 206 | ლაციო-კატანია | 1.70 | 3.10 | 4.90 | 1.09 | 1.26 | 1.89 |
| 23:30 | 210 | პალერმო-ფიორენტინა | 2.60 | 2.80 | 2.70 | 1.34 | 1.32 | 1.37 |
| | | 9 დეკემბერი | | | | | | |
| 18:00 | 199 | უდინეზე-სამპდორია | 1.80 | 3.00 | 4.40 | 1.12 | 1.27 | 1.78 |
| 18:00 | 200 | ემპოლი-კალიარი | 2.00 | 2.80 | 3.90 | 1.16 | 1.32 | 1.62 |
| 18:00 | 201 | ჯენოა-სიენა | 1.70 | 3.00 | 5.00 | 1.08 | 1.26 | 1.87 |
| 18:00 | 202 | ინტერი-ტორინო | 1.20 | 5.40 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.72 |
| 18:00 | 204 | იუვენტუსი-ატალანტა | 1.35 | 3.90 | 9.40 | 1.00 | 1.18 | 2.75 |
| 18:00 | 207 | ლივორნო-რომა | 5.65 | 3.15 | 1.60 | 2.02 | 1.24 | 1.06 |
| 23:30 | 209 | ნაპოლი-პარმა | 1.65 | 3.05 | 5.40 | 1.07 | 1.26 | 1.94 |
| | | ესპანეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 8 დეკემბერი | | | | | | |
| 23:00 | 248 | ოსასუნა-ვალენსია | 2.60 | 3.05 | 2.50 | 1.40 | 1.27 | 1.37 |
| 23:45 | 250 | ბილბაო-რეალი | 4.50 | 3.30 | 1.70 | 1.90 | 1.23 | 1.12 |
| | | 9 დეკემბერი | | | | | | |
| 20:00 | 240 | ალმერია-ვალიადოლიდი | 2.15 | 3.10 | 3.00 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| 20:00 | 241 | ვილარეალი-ბეტისი | 1.35 | 3.90 | 7.20 | 1.00 | 1.13 | 2.52 |
| 22:00 | 243 | ატლეტიკო-ხეტაფე | 1.60 | 3.30 | 5.20 | 1.07 | 1.22 | 2.01 |
| 20:00 | 244 | ლევანტე-უელვა | 2.40 | 3.10 | 2.65 | 1.35 | 1.25 | 1.42 |
| 20:00 | 245 | სარაგოსა-ესპანიოლი | 2.25 | 3.10 | 2.90 | 1.30 | 1.26 | 1.49 |
| 23:45 | 246 | ბარსელონა-დეპორტივო | 1.15 | 5.70 | 11.50 | 1.00 | 1.04 | 3.81 |
| 20:00 | 252 | რასინგი-მალიორკა | 2.10 | 3.10 | 3.20 | 1.25 | 1.26 | 1.57 |
| 20:00 | 253 | სევილია-მურსია | 1.40 | 3.90 | 7.40 | 1.03 | 1.17 | 2.55 |
| | | ესპანეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 8 დეკემბერი | | | | | | |
| 21:30 | 254 | ტარაგონა-მალაგა | 2.70 | 3.00 | 2.45 | 1.42 | 1.28 | 1.34 |
| 23:00 | 256 | ლას პალმასი-ეიბარი | 2.50 | 3.10 | 2.50 | 1.38 | 1.25 | 1.38 |
| 21:30 | 257 | ელჩე-კასტელონი | 1.80 | 3.00 | 4.30 | 1.12 | 1.26 | 1.76 |
| 21:30 | 259 | ალბასეტე-ალავესი | 2.15 | 3.00 | 3.20 | 1.25 | 1.28 | 1.54 |
| 20:00 | 262 | ფეროლი-გრანადა | 2.15 | 3.00 | 3.15 | 1.25 | 1.27 | 1.53 |
| | | 9 დეკემბერი | | | | | | |
| 20:00 | 255 | ეხიდო-ჰერკულესი | 2.80 | 3.05 | 2.30 | 1.45 | 1.26 | 1.31 |
| 20:00 | 258 | სერესი-კორდობა | 2.20 | 3.00 | 3.00 | 1.26 | 1.26 | 1.50 |
| 21:00 | 260 | ნუმანსია-სალამანკა | 1.70 | 3.15 | 4.65 | 1.10 | 1.24 | 1.87 |
| 15:00 | 261 | სპორტინგი-ტენერიფე | 1.70 | 3.20 | 4.50 | 1.11 | 1.23 | 1.87 |
| 20:00 | 263 | სოსიედადი-კადისი | 1.65 | 3.20 | 4.85 | 1.08 | 1.23 | 1.92 |
| 20:00 | 264 | სელტა-სევილია ბ | 1.85 | 3.05 | 3.95 | 1.15 | 1.25 | 1.72 |
| | | საფრანგეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 8 დეკემბერი | | | | | | |
| 23:00 | 268 | კაენი-ლიონი | 4.40 | 3.10 | 1.80 | 1.81 | 1.27 | 1.13 |
| 23:00 | 269 | ლანსი-ლე მანი | 2.00 | 2.90 | 3.80 | 1.18 | 1.31 | 1.64 |
| 23:00 | 270 | ლორიანი-სოშო | 2.00 | 2.80 | 3.90 | 1.16 | 1.32 | 1.62 |
| 20:10 | 271 | მარსელი-მონაკო | 2.05 | 2.90 | 3.50 | 1.20 | 1.29 | 1.58 |
| 23:00 | 274 | სტ.ეტიენი-მეცი | 1.50 | 3.45 | 6.45 | 1.04 | 1.21 | 2.24 |
| 23:00 | 275 | სტრასბური-რენი | 2.45 | 2.80 | 2.90 | 1.30 | 1.32 | 1.42 |
| | | 9 დეკემბერი | | | | | | |
| 23:45 | 267 | ოსერი-პსჟ | 2.20 | 2.90 | 3.10 | 1.25 | 1.28 | 1.49 |
| 21:00 | 273 | ნიცა-ბორდო | 2.40 | 2.80 | 2.90 | 1.29 | 1.31 | 1.42 |
| | | ბელგია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 7 დეკემბერი | | | | | | |
| 23:30 | 294 | სტანდარდი-შარლერუა | 1.40 | 3.90 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.50 |
| | | 8 დეკემბერი | | | | | | |
| 23:00 | 288 | ბრიუსელი-გენკი | 3.70 | 3.25 | 1.90 | 1.73 | 1.25 | 1.19 |
| 23:00 | 289 | გენტი-ლოკერენი | 1.70 | 3.30 | 4.60 | 1.12 | 1.24 | 1.92 |
| 23:00 | 290 | ბეერსხოტი-მონსი | 1.50 | 3.65 | 6.00 | 1.06 | 1.20 | 2.26 |
| 23:00 | 296 | ვესტერლო-მეხელენი | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 23:00 | 297 | ვარეგემი-დენდერი | 1.50 | 3.65 | 6.00 | 1.06 | 1.20 | 2.26 |
| 23:00 | 298 | სერკლი-მუსკრონი | 1.90 | 3.25 | 3.70 | 1.19 | 1.25 | 1.73 |
| | | 9 დეკემბერი | | | | | | |
| 21:00 | 291 | რუზელარე-ბრიუგე | 4.50 | 3.40 | 1.70 | 1.93 | 1.23 | 1.13 |

შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:30 | 293 | სტ-ტრუიდენი-ანდერლეხტი | 5.75 | 3.55 | 1.50 | 2.19 | 1.18 | 1.05 |
| | | ჰოლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 7 დეკემბერი | | | | | | |
| 22:30 | 307 | პსვ-როდა | 1.30 | 4.40 | 8.80 | 1.00 | 1.13 | 2.93 |
| | | 8 დეკემბერი | | | | | | |
| 22:30 | 309 | ტილბურგი-აიაქსი | 6.90 | 3.80 | 1.40 | 2.45 | 1.16 | 1.02 |
| 23:00 | 311 | ექსელსიორი-ბრედა | 3.90 | 3.40 | 1.80 | 1.81 | 1.23 | 1.17 |
| 23:00 | 312 | ჰერაკლესი-გრააფსხაპი | 2.30 | 3.30 | 2.60 | 1.35 | 1.22 | 1.45 |
| 23:00 | 313 | ვიტესი-ტვენტე | 3.00 | 3.30 | 2.10 | 1.57 | 1.23 | 1.28 |
| | | 9 დეკემბერი | | | | | | |
| 17:30 | 314 | ჰერენვენი-გრონინგენი | 1.80 | 3.35 | 3.60 | 1.17 | 1.20 | 1.73 |
| 17:30 | 315 | სპარტა-ნაიმეგენი | 2.50 | 3.25 | 2.40 | 1.41 | 1.22 | 1.38 |
| 17:30 | 316 | ალკმაარი-უტრეხტი | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |
| 15:30 | 317 | ვენლო-ფეიენოორდი | 7.40 | 4.00 | 1.30 | 2.59 | 1.10 | 1.00 |
| | | ჰოლანდია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 7 დეკემბერი | | | | | | |
| 23:00 | 319 | ვეენდამი-ვოლენდამი | 2.30 | 3.20 | 2.60 | 1.33 | 1.22 | 1.43 |
| 23:00 | 320 | ემენი-იგლზი | 2.80 | 3.20 | 2.20 | 1.49 | 1.23 | 1.30 |
| 23:00 | 321 | ტელსტარი-ეინდჰოვენი | 1.65 | 3.50 | 4.40 | 1.12 | 1.20 | 1.94 |
| 23:00 | 322 | დორდრეხტი-კამბური | 1.40 | 3.90 | 6.35 | 1.03 | 1.14 | 2.41 |
| 23:00 | 323 | ვალვაიკი-ომნივორლდი | 1.30 | 4.50 | 7.50 | 1.00 | 1.10 | 2.81 |
| 23:00 | 324 | ზვოლე-ჰაარლემი | 1.40 | 3.80 | 6.70 | 1.02 | 1.15 | 2.42 |
| 23:00 | 325 | დენ ბოსხი-აპელდორნი | 1.40 | 3.90 | 6.60 | 1.03 | 1.15 | 2.45 |
| 23:00 | 326 | სიტარდი-როზენდალი | 3.40 | 3.30 | 1.95 | 1.67 | 1.23 | 1.22 |
| 23:00 | 327 | დენ ჰააგი-მაასტრიხტი | 1.80 | 3.40 | 3.70 | 1.17 | 1.21 | 1.77 |
| | | 9 დეკემბერი | | | | | | |
| 17:30 | 328 | ჰელმონდი-ოსი | 1.70 | 3.40 | 4.05 | 1.13 | 1.19 | 1.84 |
| | | საბერძნეთი | | | | | | |
| | | 8 დეკემბერი | | | | | | |
| 18:45 | 333 | პაოკ-ვეროია | 1.35 | 3.75 | 8.00 | 1.00 | 1.15 | 2.55 |
| 21:00 | 335 | ოლიმპიაკოსი-ლევადეიაკოსი | 1.07 | 7.75 | 16.00 | 1.00 | 1.00 | 5.22 |
| | | 9 დეკემბერი | | | | | | |
| 21:00 | 329 | ასტერას ტრიპოლისი-პანიონიოსი | 2.35 | 2.85 | 2.90 | 1.28 | 1.29 | 1.43 |
| 17:00 | 330 | ქსანთი-ოფი | 1.85 | 3.00 | 4.00 | 1.14 | 1.26 | 1.71 |
| 17:00 | 331 | ერგოტელისი-ატრომიტოსი | 2.55 | 2.90 | 2.55 | 1.35 | 1.27 | 1.35 |
| 21:00 | 332 | ირაკლისი-პანათინაიკოსი | 4.25 | 3.20 | 1.75 | 1.82 | 1.23 | 1.13 |
| 18:45 | 334 | აეკ-კალამარია | 1.12 | 6.50 | 13.00 | 1.00 | 1.03 | 4.33 |
| 18:45 | 336 | ლარისა-არისი | 2.55 | 2.90 | 2.55 | 1.35 | 1.27 | 1.35 |
| | | პოლონეთი | | | | | | |
| | | 7 დეკემბერი | | | | | | |
| 23:00 | 352 | ლეხი-კორონა | 1.85 | 3.25 | 3.75 | 1.17 | 1.23 | 1.74 |
| | | 8 დეკემბერი | | | | | | |
| 19:00 | 346 | ბელხატუვი-ვიძევი | 1.45 | 3.50 | 6.75 | 1.02 | 1.19 | 2.30 |
| 22:00 | 347 | რუხი-კრაკოვია | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 19:00 | 348 | პოლონია-ლოძი | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 19:00 | 349 | გროცლინი-იაგელონია | 1.50 | 3.45 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.19 |
| 19:00 | 350 | ზაგლებე ს-ოდრა | 2.35 | 3.15 | 2.70 | 1.34 | 1.25 | 1.45 |
| 21:15 | 351 | ლეგია-გურნიკი | 1.40 | 3.85 | 6.50 | 1.02 | 1.15 | 2.41 |
| 21:15 | 353 | ვისლა-ზაგლებე ლ | 1.35 | 4.00 | 7.25 | 1.00 | 1.13 | 2.57 |
| | | ჩეხეთი | | | | | | |
| | | 8 დეკემბერი | | | | | | |
| 20:00 | 360 | კლადნო-სლავია | 3.85 | 3.20 | 1.80 | 1.74 | 1.22 | 1.15 |
| | | 9 დეკემბერი | | | | | | |
| 18:00 | 355 | ბუდეიოვიცე-ზლინი | 1.80 | 3.20 | 3.85 | 1.15 | 1.22 | 1.74 |
| 23:15 | 356 | იაბლონეცი-ტეპლიცე | 2.85 | 2.90 | 2.35 | 1.43 | 1.28 | 1.29 |
| 20:00 | 357 | მოსტი-ბანიკი | 2.90 | 3.00 | 2.25 | 1.47 | 1.26 | 1.28 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:30 | 358 | ბრნო-ჟოჟკოვი | 1.55 | 3.50 | 5.25 | 1.07 | 1.19 | 2.09 |
| 16:30 | 359 | ბოჰემიანსი -ლიბერეცი | 3.00 | 2.90 | 2.25 | 1.47 | 1.28 | 1.26 |
| 20:00 | 361 | ბოლესლავი-სიგმა | 1.70 | 3.20 | 4.40 | 1.11 | 1.22 | 1.85 |
| | | 10 დეკემბერი | | | | | | |
| 21:15 | 354 | სპარტა-პლზენი | 1.35 | 4.20 | 7.50 | 1.02 | 1.14 | 2.09 |
| | | ხორვატია | | | | | | |
| | | 8 დეკემბერი | | | | | | |
| 16:30 | 362 | მედიმურიე-ინტერი | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 16:30 | 363 | ვარტექსი-ჰაიდუკი | 2.90 | 3.20 | 2.15 | 1.52 | 1.23 | 1.28 |
| 16:30 | 364 | ზაგრები-ზადარი | 1.65 | 3.30 | 4.50 | 1.10 | 1.20 | 1.90 |
| 19:00 | 365 | რიეკა-შიბენიკი | 1.40 | 3.60 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 2.37 |
| 23:00 | 366 | სლავენი-დინამო | 4.00 | 3.25 | 1.75 | 1.79 | 1.21 | 1.13 |
| 19:00 | 367 | ოსიეკი-ციბალია | 1.70 | 3.25 | 4.25 | 1.11 | 1.21 | 1.84 |
| | | მსოფლიო ჩემპიონატი კლუბებს შორის .იაპონია | | | | | | |
| | | 7 დეკემბერი | | | | | | |
| 14:45 | 790 | სეპახანი-უაიტაკერი იუნაიტ | 1.30 | 4.20 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 2.86 |
| | | უეფას თასი | | | | | | |
| | | 6 დეკემბერი | | | | | | |
| 21:15 | 759 | სპარტაკი მ- ციურიხი | 1.60 | 3.60 | 5.30 | 1.10 | 1.22 | 2.14 |
| 21:15 | 760 | ლევერკუზენი-სპარტა | 1.50 | 3.60 | 5.70 | 1.05 | 1.18 | 2.20 |
| 23:45 | 762 | არისი-ბრაგა | 2.00 | 3.10 | 3.30 | 1.21 | 1.24 | 1.59 |
| 23:45 | 763 | ცრვენა ზვეზდა-ბოლტონი | 2.50 | 3.10 | 2.50 | 1.38 | 1.25 | 1.38 |
| 23:45 | 764 | ოლბორგი-ხეტაფე | 2.75 | 3.20 | 2.25 | 1.47 | 1.23 | 1.32 |
| 23:45 | 765 | ანდერლეხტი-ტოტენჰემი | 2.90 | 3.20 | 2.25 | 1.52 | 1.26 | 1.32 |
| 23:45 | 766 | ავსტრია-პანიონიოსი | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 23:45 | 767 | ბორდო-ჰელსინგბორგი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| | | იტალია. თასი | | | | | | |
| | | 6 დეკემბერი | | | | | | |
| 23:30 | 788 | ემპოლი-იუვენტუსი | 5.00 | 3.20 | 1.70 | 1.95 | 1.26 | 1.11 |
| | | ჰოკეი. შვედეთი | | | | | | |
| | | 6 დეკემბერი | | | | | | |
| 21:00 | 511 | მოდო-ფერიესტადი | 1.90 | 4.40 | 2.40 | 1.32 | 1.06 | 1.55 |
| 21:00 | 512 | ლულეო-სოდერტელიე | 1.50 | 4.65 | 3.20 | 1.13 | 1.02 | 1.89 |
| 21:00 | 513 | ჰვ 71-ლინჩიოპინგი | 1.55 | 4.60 | 3.30 | 1.15 | 1.05 | 1.92 |
| 21:00 | 514 | ბრიუნესი-აიკ | 1.65 | 4.40 | 3.00 | 1.20 | 1.06 | 1.78 |
| 21:00 | 515 | ფროლუნდა-ტიმრე | 1.70 | 4.30 | 2.80 | 1.21 | 1.05 | 1.69 |
| 21:00 | 516 | იურგორდენი-მორა | 1.60 | 4.30 | 3.10 | 1.16 | 1.05 | 1.80 |
| | | ჰოკეი. ჩეხეთი | | | | | | |
| | | 6 დეკემბერი | | | | | | |
| 20:00 | 551 | სლავია-კარლოვი ვარი | 1.45 | 4.10 | 3.80 | 1.07 | 1.04 | 1.97 |
| | | ჰოკეი. გერმანია | | | | | | |
| | | 6 დეკემბერი | | | | | | |
| 22:30 | 577 | მანჰაიმი-ინგოლშტადი | 1.50 | 4.40 | 3.50 | 1.11 | 1.04 | 1.94 |
| | | ჰოკეი. რუსეთი | | | | | | |
| | | 6 დეკემბერი | | | | | | |
| 20:00 | 619 | ხიმიკი-ტორპედო | 1.35 | 4.30 | 4.25 | 1.02 | 1.02 | 2.13 |
| 20:00 | 620 | აკ-ცსკა | 1.50 | 4.30 | 3.25 | 1.11 | 1.02 | 1.85 |
| 20:00 | 621 | აკ ბარსი-ლადა | 1.25 | 4.30 | 5.60 | 1.00 | 1.02 | 2.43 |
| 20:00 | 622 | ნეფტეხიმიკი-ს.იულაევი | 2.85 | 4.30 | 1.60 | 1.71 | 1.02 | 1.16 |
| | | კალათბურთი. ევროლიგა | | | | | | |
| | | 6 დეკემბერი | | | | | | |
| 20:00 | 740 | პანათინაიკოსი-რეალი | 1.20 | 12.00 | 3.40 | 1.09 | 1.00 | 2.64 |
| 20:00 | 741 | ოლიმპია-პროკომი | 1.35 | 12.00 | 2.60 | 1.21 | 1.00 | 2.13 |
| 20:00 | 743 | ფალგირისი-ტაუ | 2.35 | 12.00 | 1.45 | 1.96 | 1.00 | 1.29 |
| 20:00 | 744 | მაკაბი-არისი | 1.20 | 12.00 | 3.60 | 1.09 | 1.00 | 2.76 |
| 20:00 | 745 | ლე მანი-მილანი | 1.60 | 12.00 | 2.00 | 1.41 | 1.00 | 1.71 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10759 | სპარტაკი მ- ციურიხი | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10760 | ლევერკუზენი-სპარტა | 1.90 | 2.10 | 5.80 | 1.00 | 1.43 | 1.54 |
| 10762 | არისი-ბრაგა | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10763 | ცრვენა ზვეზდა-ბოლტონი | 3.00 | 2.00 | 3.00 | 1.20 | 1.50 | 1.20 |
| 10764 | ოლბორგი-ხეტაფე | 3.15 | 2.00 | 2.80 | 1.22 | 1.48 | 1.16 |
| 10765 | ანდერლეხტი-ტოტენჰემი | 3.30 | 2.00 | 2.65 | 1.24 | 1.46 | 1.13 |
| 10766 | ავსტრია-პანიონიოსი | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10767 | ბორდო-ჰელსინგბორგი | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10788 | ემპოლი-იუვენტუსი | 5.20 | 2.10 | 2.00 | 1.49 | 1.44 | 1.02 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11759 | სპარტაკი მ- ციურიხი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11760 | ლევერკუზენი-სპარტა | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11762 | არისი-ბრაგა | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11763 | ცრვენა ზვეზდა-ბოლტონი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11764 | ოლბორგი-ხეტაფე | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11765 | ანდერლეხტი-ტოტენჰემი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11766 | ავსტრია-პანიონიოსი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11767 | ბორდო-ჰელსინგბორგი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11788 | ემპოლი-იუვენტუსი | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12759 | სპარტაკი მ- ციურიხი | 1.70 | 1.90 |
| 12760 | ლევერკუზენი-სპარტა | 1.90 | 1.60 |
| 12762 | არისი-ბრაგა | 1.60 | 1.90 |
| 12763 | ცრვენა ზვეზდა-ბოლტონი | 1.60 | 1.90 |
| 12764 | ოლბორგი-ხეტაფე | 1.70 | 1.80 |
| 12765 | ანდერლეხტი-ტოტენჰემი | 1.80 | 1.70 |
| 12766 | ავსტრია-პანიონიოსი | 1.70 | 1.90 |
| 12767 | ბორდო-ჰელსინგბორგი | 1.80 | 1.70 |
| 12788 | ემპოლი-იუვენტუსი | 1.70 | 1.90 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13759 | სპარტაკი მ- ციურიხი | 1.70 | 1.90 |
| 13760 | ლევერკუზენი-სპარტა | 1.90 | 1.70 |
| 13762 | არისი-ბრაგა | 1.70 | 1.90 |
| 13763 | ცრვენა ზვეზდა-ბოლტონი | 1.70 | 1.90 |
| 13764 | ოლბორგი-ხეტაფე | 1.70 | 1.90 |
| 13765 | ანდერლეხტი-ტოტენჰემი | 1.70 | 1.90 |
| 13766 | ავსტრია-პანიონიოსი | 1.70 | 1.90 |
| 13767 | ბორდო-ჰელსინგბორგი | 1.70 | 1.90 |
| 13788 | ემპოლი-იუვენტუსი | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14759 | სპარტაკი მ- ციურიხი | 1.30 | 2.50 |
| 14760 | ლევერკუზენი-სპარტა | 1.30 | 2.50 |
| 14762 | არისი-ბრაგა | 1.70 | 2.20 |
| 14763 | ცრვენა ზვეზდა-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |
| 14764 | ოლბორგი-ხეტაფე | 2.00 | 1.80 |
| 14765 | ანდერლეხტი-ტოტენჰემი | 2.00 | 1.80 |
| 14766 | ავსტრია-პანიონიოსი | 1.70 | 2.20 |
| 14767 | ბორდო-ჰელსინგბორგი | 1.30 | 2.50 |
| 14788 | ემპოლი-იუვენტუსი | 2.40 | 1.45 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15759 | სპარტაკი მ- ციურიხი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15760 | ლევერკუზენი-სპარტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15762 | არისი-ბრაგა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15763 | ცრვენა ზვეზდა-ბოლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15764 | ოლბორგი-ხეტაფე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15765 | ანდერლეხტი-ტოტენჰემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15766 | ავსტრია-პანიონიოსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15767 | ბორდო-ჰელსინგბორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15788 | ემპოლი-იუვენტუსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16759 | სპარტაკი მ- ციურიხი | 1.22 | 3.40 |
| 16760 | ლევერკუზენი-სპარტა | 1.14 | 4.70 |
| 16762 | არისი-ბრაგა | 1.40 | 2.55 |
| 16763 | ცრვენა ზვეზდა-ბოლტონი | 1.80 | 1.85 |
| 16764 | ოლბორგი-ხეტაფე | 1.95 | 1.65 |
| 16765 | ანდერლეხტი-ტოტენჰემი | 2.05 | 1.65 |
| 16766 | ავსტრია-პანიონიოსი | 1.34 | 2.80 |
| 16767 | ბორდო-ჰელსინგბორგი | 1.22 | 3.40 |
| 16788 | ემპოლი-იუვენტუსი | 3.60 | 1.24 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17759 | სპარტაკი მ- ციურიხი | 1.85 | 1.95 |
| 17760 | ლევერკუზენი-სპარტა | 1.85 | 1.95 |
| 17762 | არისი-ბრაგა | 1.85 | 1.95 |
| 17763 | ცრვენა ზვეზდა-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17764 | ოლბორგი-ხეტაფე | 1.85 | 1.95 |
| 17765 | ანდერლეხტი-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17766 | ავსტრია-პანიონიოსი | 1.85 | 1.95 |
| 17767 | ბორდო-ჰელსინგბორგი | 1.85 | 1.95 |
| 17788 | ემპოლი-იუვენტუსი | 1.85 | 1.95 |



# შოთა ხაბარელის ბარაქა და ხაბარი

## ნაკრების მწვრთნელმა წელიწადი შეაფასა

ქართველ ძიუდოისტებს წლეულს გამორჩეული სეზონი ჰქონდათ. 2006 წლის ევროპის საუკეთესო მწვრთნელის, შოთა ხაბარელის გაწვრთნილმა ნაკრებმა 2007-შიც ლამის ყველა ჯილდო მოიგო, რისი მოგებაც შეიძლებოდა. ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების ბლომად მედლებს ამ შემოდგომაზე კონტინენტის გუნდური ჩემპიონობა დაემატა. ახლახან კი ხაბარელი ევროძიუდოს შეფებმა ზედიზედ მეორედ დაასახელეს წლის საუკეთესო მწვრთნელად. ეს ვარშავის კონგრესზე იყო. იქვე სხვა საინტერესო ამბებიც მოხდა. გუშინ თბილისში დაბრუნებულ შოთა ხაბარელს აღიარებაც მივულოცეთ და 2007 წლის სეზონიც შევაფასებინეთ

— სეზონი სალიცენზიო ტურნირებით დავიწყეთ და რუსეთის, აზერბაიჯანის, იტალიისა და ჰოლანდიის მსოფლიოს თასებსა და სუპერთასებზე ბლომად ქულები დავაგროვეთ. თითქმის ყველა წონაში ხუთეულში ვიყავით და ამ მხრივ სანერვიულო არ გვქონდა. მერე ევროპის ჩემპიონატზე ოთხი ქართველი ფინალში გავიდა, რაც მშვენიერი შედეგია. მსოფლიოს ჩემპიონატზე კი შვიდიდან ექვს წონაში შვიდეულში შევედით, რაც ვერც ერთმა სხვა ქვეყანამ ვერ შეძლო. ამას დაუმატეთ ირაკლი ცირეკიძის მსოფლიოს ჩემპიონობა და ევროპის გუნდური ჩემპიონობა. მართლაც კარგი წელი იყო.

**— სეზონის დასაწყისში ელოდით ასეთ შედეგიანობას?**

— ჩვენ ისეთი კურსი გვაქვს აღებული და ბიჭები იმდენად კარგად გრძნობენ თავს, რომ მართლაც ველოდი. რა თქმა უნდა, უფრო მეტის მიღწევაც შეიძლებოდა. ვთქვათ, კიდევ ერთი ოქრო მსოფლიოზე, ან ევროპის ფინალების უკეთ ჩატარება, მაგრამ ნაჩვენები შედეგითაც ძალიან კმაყოფილი დავრჩი.

**— ყველაზე დიდი სიურპრიზი მაინც რა იყო?**

— ცირეკიძის ჩემპიონობა. მსოფლიოს ჩემპიონატზე ნაკრები ისეთ ფორმაში იყო, ყველა ძიუდოისტს რეალურად შეეძლო ოქროს მედლისთვის ბრძოლა. ირაკლიმ კი საუკეთესოდ იჭიდავა. რაც მთავარია, ძალიან დამაჯერებლად მივიდა ჩემპიონობამდე. თან გზად ყველა უძლიერესი მეტოქე ჩამოიცილა. ამ ბიჭში დიდი ძიუდოისტის ყველა თვისება ერთადაა თავმოყრილი — ტექნიკა, ტაქტიკა, ძალა, აზროვნება, განწყობა და, რაც ყველაზე მთავარია, ირაკლი ცირეკიძე მსოფლიოს ჩემპიონობის შემდეგ კიდევ თავმდაბალი გახდა, ვიდრე იქამდე იყო.

**— ქართულ ძიუდოს ხვავიანი პერიოდი უდგას. თვლით, რომ ნაკრების ახლანდელი შემადგენლობა 90-იანი წლებიდან მოყოლებული საუკეთესოა?**

— დამოუკიდებელი საქართველოს სახელით ამ ბოლო წლებამდეც არაერთ ვარსკვლავს უჭიდავია და ძლიერი გუნდიც ყოველთვის გვყავდა, მაგრამ ასეთი შეკრული და ოპტიმალურად დაკომპლექტებული ნაკრები მართლა ძნელი გასახსენებელია. მთლიანობაში ეს გუნდი აშკარად უძლიერესია.

**— შიდა კონკურენციით კმაყოფილი ხართ?**

— რა თქმა უნდა. ყველა წონაში სერიოზული კონკურენციაა, თუმცა ამ ეტაპზე უკვე ლიდერები გამოიკვეთნენ. სწორედ შიდა კონკურენციის დამსახურებაა წლევანდელი შედეგიანობა. ერთადერთი წონა, რომელშიც სერიოზული ბრძოლები ჯერ კიდევ წინაა, 81 კილოგრამია. ბოლო პერიოდში გრიგოლ შინჯიკაშვილის წარმატებები მინდა გამოვარჩიო. მსოფლიოს უნივერსიადაზე ჩემპიონი გახდა, ბაქოს მსოფლიოს თასზე მესამეზე გავიდა და ევროპის გუნდურ პირველობაზეც მშვენივრად იჭიდავა. 60 კილოგრამში ნესტორ ხერგიანს ამ ეტაპზე ლიდერობას ვერავინ ეცილება, მაგრამ ბეთქილ შუკვანის სახით სერიოზული კონკურენტი ჰყავს. ევროპის გუნდური ჩემპიონები რომ ვართ, ამ ბიჭის დამსახურებაცაა. აქვე ვახსენებ მინდია ხომიზურს, რომელსაც თავისუფლად შეუძლია 66 და 73 კილოგრამი წონითი კატეგორიები ერთნაირი წარმატებით დაზღვიოს.

**— გულშემატკივარი ყველაზე დიდ შიდა კონკურენციას 90 კილოგრამში ელის, მაგრამ ზურაბ ზვიადაური არა და არ ჩანს...**

— უმთავრესი მიზეზი ზვიადაურის უმძიმესი ტრავმაა. ამის გამო ძალიან დაიჩაგრა. თითქმის სამი წელი გაუცდა, მაგრამ ეს პრობლემა უკვე მოგვარებულია. ოპერაციამ ბრწყინვალედ ჩაიარა და უკვე დიდი დატვირთვებითაც ვარჯიშობს.

**— თქვენ მისი პირადი მწვრთნელი ხართ. დაახლოებით რა დრო დასჭირდება ჩვეულ ფორმაში ჩასადგომად?**

— იანვარში თბილისის ტურნირზე აუცილებლად იჭიდავებს და იმედია, იქამდე ფორმის აღდგენასაც მოასწრებს. ორივემ კარგად ვიცით, რომ ეს ძალიან ძნელია, მაგრამ ზვიადაური მთლიანად შეცვლილია, ვარჯიშს არ აცდენს, საოცრად მონდომებულია და ეს ყველაფერი ჩემს იმედს კიდევ უფრო ამყარებს.

**— თბილისის ტურნირზე რომ ჩემპიონი გახდეს, ევროპის ჩემპიონატზე მას დააყენებთ თუ ცირეკიძეს?**

— ევროპის ჩემპიონატზე ჭიდაობა ოლიმპიადის ლიცენზიის მომპოვებელ ხუთეულს აქედანვე განაღდებული აქვს. ამ ხუთეულშია ცირეკიძეც. ასე რომ, ზვიადაური ევროშემადგენლობაში მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხვდება, თუკი ირაკლის რამე პრობლემა შეექმნება.

**— მაშასადამე, ლიცენზიის ამღებ ხუთეულს პეკინის საგზურსაც ვერავინ შეეცილება?**

— ასეა, თუმცა ამის გამო თუ მოდუნდებიან, გამორიცხული არაფერია. ზვიადაურს კი ჯერ მართლა ბევრი აქვს სამუშაო. წარმოიდგინეთ, ტრავმის გამო კუნთმა განვითარება დაახლოებით 3 წლით შეწყვიტა. ახლა სერიოზულად უნდა იმუშაოს როგორც ფიზიკაზე, ასევე ტაქტიკა-ტექნიკასა და რაც მთავარია, ფსიქოლოგიაზე. მას ხომ ნაკრებში დასაბრუნებლად ძალიან ძლიერი კონკურენცია ელის. ერთ რამესაც ვიტყვი, ირაკლი ცირეკიძე რომ მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ამაში ლომის წილი სწორედ ზვიადაურს მიუძღვის. აქვე მომენტით ვისარგებლებ და ორივე ამ ძიუდოისტის მომავალ თავის ტკივილს, ვალერი ლიპარტელიანსაც ვახსენებ. ეს ბიჭი საოცრად პერსპექტიულია. უკვე ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონიც გახდა და ვარჯიშიდან ვარჯიშამდე უმატებს.

**— ახლახან ევროპის ძიუდოს კავშირმა ზედიზედ მეორედ დაგასახელათ ევროპის საუკეთესო მწვრთნელად. ერთხელაც მოგილოცავთ...**

— დიდი მადლობა. ეს, პირველ რიგში, ჩვენი ძიუდოისტების წარმატებული ჭიდაობის შედეგია. როცა კონგრესზე დირექტორთა საბჭოს წლის მწვრთნელი უნდა აერჩია, გამოჩნდა, რომ კონკურენტი არ მყავდა. ძალიან სასიამოვნოა, ამხელა პატივისცემას რომ იგრძნობ.

**— გავრცელდა ხმები, რომ ევროპის ძიუდოს კავშირში მწვრთნელთა საბჭო უნდა შეიქმნას. მასში გაწევრიანებაც ხომ არ შემოგთავაზეს?**

— ამ საკითხზეც ვისაუბრეთ და აქედანვე ცნობილია, ვინ ვიქნებით მწვრთნელთა საბჭოში. გაერთიანების დანიშნულება კი ძიუდოს განვითარება იქნება. მაგალითად, არასოდეს არ დავუშვებთ, რომ წესები ისე დაუფიქრებლად შეიცვალოს, როგორც ეს წლევანდელ აბსოლუტურ ევროპირველობაზე მოხდა. ვარშავაში წესებში რამდენიმე გაუმართლებელი ცვლილება შეიტანეს, რამაც ბევრი ძიუდოისტი დააზარალა, მათ შორის, ქართველებიც. ასეთი რანგის შეჯიბრებებზე მსგავსი გადაწყვეტილებების მიღება გაუმართლებელია და მომავალში ეს მწვრთნელთა საბჭოსთან შეთანხმებით მოხდება.

**— ვარშავის კონგრესზე ქართველებისთვის არასასიამოვნო საკითხიც დაისვა. ევროძიუდოს შეფებმა გადაწყვიტეს, თბილისისთვის მსოფლიოს თასის მასპინძლობის უფლება ჩამოერთმიათ...**

— ეს საკითხი დღის პირველ ნახევარში განიხილეს. მე კი მოგვიანებით მივედი კონგრესზე და რომ მითხრეს, რა საშიშროების წინაშე ვიდექით, მაშინვე სიტყვა ვითხოვე. საშინლად აღელვებულმა ვთქვი, რომ ამ ტურნირს მთელი საქართველო სულმოუთქმელად ელის და ჩვენს ქვეყანაში არავითარი დაძაბულობა არაა-მეთქი. ევროპული ძიუდოს შეფებს მივმართე, თავად ჩამოსულიყვნენ ტურნირამდე თბილისში და დარწმუნებულიყვნენ, რომ სტუმრებს არავითარი პრობლემა არ შეექმნებათ.

**— ტურნირის ჩამორთმევის ინიციატორი ვინ იყო?**

— კონკრეტულად არავინ. უბრალოდ, თქვეს, რამდენიმე ქვეყნის ფედერაციიდან მივიღეთ წერილები, რომლებშიც ჩანს, რომ საქართველოში ჩამოსვლა აფიქრებთო.

**— ევროძიუდოს პრეზიდენტი რუსი გენადი სოლოვეიჩიკია. ხომ არ ფიქრობთ, რომ არასტაბილურობა, უბრალოდ, საბაბია, რათა ქართული მსოფლიოს თასი სხვას მისცენ?**

— შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ ამ ტურნირს ასე ადვილად არ დავთმობთ. საქართველოს რომ ძალიან უჭირდა, მაშინ არ შეგვიჩერებია, მართლა კბილებით ვინარჩუნებდით და აბა, ახლა დაკარგვა იქნება? რაც შეეხება სოლოვეიჩიკს, მან მთხოვა, აბა შენ იცი, სიტყვით გამოდი, მე თქვენს გვერდით ვარო.

**— იანვრამდე ჩამოვა ვინმე სიტუაციის შესასწავლად?**

— თავად სოლოვეიჩიკი ჩამობრძანდება. ოფიციალურ მოწვევას უახლოეს მომავალში გავუგზავნით.

**— შაბათ-კვირას ვერის ბაღში საქართველოს ჩემპიონატი უნდა ჩატარდეს. ნაკრების პირველი ნომრებიც იჭიდავებენ?**

— გადავწყვიტეთ, ლიდერები დავასვენოთ. ამ ბიჭებს წინ მძიმე სეზონი ელით და არ მინდა, უფრო მეტად დავტვირთო.

**— თბილისის მსოფლიოს თასზეც დაასვენებთ?**

— მხოლოდ ნესტორ ხერგიანს და დავით ქევხიშვილს. პირველს — წონის პრობლემის, ხოლო მეორეს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

**— ლიცენზიის გარეშე ორი წონაა დარჩენილი. 66 კილოგრამში, ცხადია, ზაზა კედელაშვილისგან ელით პეკინის საგზურს, 81-ში ვისი იმედი გაქვთ?**

— ზაზას მართლა ერთი ნაბიჯი აცილებს ლიცენზიას და, სავარაუდოდ, მსოფლიოს თასის მესამე ადგილიც ეყოფა. 81 კილოგრამში კი რამდენიმე ძიუდოისტს აქვს დაახლოებით თანაბარი შანსი. გიორგი ბაინდურაშვილს და გრიგოლ შინჯიკაშვილს საქართველოს ჩემპიონატზე დასვენების უფლება მივეცი და, შესაბამისად, თბილისის ტურნირზე ჭიდაობაც განაღდებული აქვთ. დანარჩენი ორი ადგილისთვის კი ვერის ბაღში სერიოზულ ბრძოლებს ველი. ამ წონაში ხომ მამრიკიშვილი, გავაშელიშვილი, წიკლაური და კიდევ რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდა ჭიდაობს.

**ოთარ გაღლაძელიძე**

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ლებრონ ჯეიმსის ჭირი ნიუ ჯერსის ლობეში ჩხირია

4 დეკემბერი

**ატლანტა 95:106 დეტროიტი**

ატლანტა: ა. ჯონსონი, ჯ. ჯონსონი (5), მ. უილიამსი (11), სმიტი (13), ჩილდრესი (18); სტუდემაიერი (15), ლოუ (11), პორფორდი (8 ქულა, 10 მოხსნა), შ. უილიამსი, ჯონსი, ვესტი

ფაჩულიას არ უთამაშია

დეტროიტი: ბილაფსი (10 ქულა, 10 პასი), ჰამილტონი (14), პრინსი (23), მაკდაისი (10), ვოლესი (11); ჰეიესი (17), მაქსეილი (13), მიურეი (6), აფლალო (2), ჯონსონი, ჰანტერი, მუჰამედი

**ინდიანა 117:121 ფინიქსი**

ინდიანა: ონილი (30 ქულა, 11 მოხსნა), დანლივი (22), ტინსლი (19 ქულა, 12 პასი)

ფინიქსი: სტუდემაიერი (42 ქულა, 13 მოხსნა), ნეში (18 ქულა, 17 პასი, 6 მოხსნა), ბელი (17), ჰილი (16)

**კლივლენდი 79:100 ნიუ ჯერსი**

კლივლენდი: ბრაუნი (20), გიბსონი (17)

ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (36), კარტერი (19), კიდი (7 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი)

**მინესოტა 95:116 ლეიკერსი**

მინესოტა: ტელფაირი (17), მაკკანტსი (14)

ლეიკერსი: ბრაიანტი (20), ვუიაჩიჩი (16)

**საკრამენტო 117:107 იუტა**

საკრამენტო: მარტინი (25), არტესტი (23)

იუტა: უილიამსი (30), ბუზერი (19 ქულა, 11 მოხსნა)

**კლიპერსი 78:87 მილუოკი**

კლიპერსი: მაგეტი (20), ტომასი (16)

მილუოკი: რედი (25), ბოგუტი (19 ქულა, 12 მოხსნა)

3 დეკემბერს „ფილადელფიასთან" შეხვედრაში დაშავებულმა ზაზა ფაჩულიას 4 დეკემბერს „დეტროიტთან" მატჩიც გაუცდა. შეგახსენებთ, რომ ფილადელფიელმა ცენტრმა სამუელ დალემბერტმა ფაჩულიას სახეში იდაყვი მოარტყა, თან ისე ძლიერად, რომ ზაზა მოწყვეტით დაენარცხა იატაკს და მისთვის იქვე დამთავრდა თამაში. კლუბის ექიმის თქმით, მას ძლიერი თავის ტკივილები ჰქონდა და მეორე დღესაც ვერ იყო მზად დეტროიტელებთან საჭიდაოდ.

არადა, „ატლანტას" ნამდვილად არ გაუფუჭებდა საქმეს 211-სანტიმეტრიანი ქართველი მეფარე. „დეტროიტმა" პირველ რიგში, სწორედ ფარქვეშ აჯობა ფაჩულიას გუნდს. გარდა ამისა, უფრო შეკრულმა და მობილიზებულმა სტუმრებმა მასპინძელთა ლიდერი ჯო ჯონსონიც გამოიყვანეს მწობრიდან. არა, კი არ უცემიათ, უბრალოდ, დაშვებული მეთოდებით შებოჭეს და თამაშის საშუალება წაართვეს. ჯომაც 27 წუთში სულ რაღაც 5 ქულა შეაკოწიწა, მაშინ, როდესაც მისი საშუალო მაჩვენებელი 20 ქულას სცილდება.

მოკლედ, გამოცდილმა და ამბიციურმა „დეტროიტმა" იოლად მოუთავა ხელი „ატლანტას". სტუმრები მესამე მეოთხედის შემდეგ 26 ქულით ლიდერობდნენ, მერე კი ლიდერები დაასვენეს და ისე გამოვიდა, რომ ერთბაშად შვიდმა დეტროიტელმა გამოიტანა თამაშიდან 10 და მეტი ქულა.

„ატლანტამ" ამ წაგების შემდეგაც შეინარჩუნა სამხრეთ-აღმოსავლეთ დივიზიონში მესამე ადგილი, „შარლოტს" და „მაიამის" უსწრებს, მაგრამ ეს ბევსაც არაფერს ნიშნავს. თუ ამ გუნდს სერიოზულად ამოუჭრია გულში პლეი ოფში დაბრუნება, ძლიერი მეტოქეებისთვის წინააღმდეგობის გაწევა უნდა შეძლოს და თამაშების ნახევარი მაინც მოიგოს.

„ატლანტაზე" ბევრად უკეთეს დღეში როდია მასზე მეტადაც ამბიციური „ინდიანა". ლარი ბერდის გუნდი „ატლანტასავით" დიდხანს (8 წელი) არ აკაკუნებს პლეი ოფის კარზე, ბოლოს იქ 2006 წელს ითამაშა, მაგრამ ეს ერთწლიანი ჩავარდნაც ცუდად ხვდება გულზე. მასაც ჰაერივით სჭირდება გამარჯვებები და ამ სამშაბათს ერთი გაუფრინდა ხელიდან. მძლავრ „ფინიქსთან" თანაბარ ბრძოლაში ინდიანელმა ჯამაალ ტინსლიმ ბოლო წამებზე უიოლესად ჩასაგდები ბურთი ააცილა, როცა მისი გუნდი 117:118 აგებდა, შემდეგ კი მისიანმა დენი გრეინჯერმა 117:120 ანგარიშზე სამქულიანი გააფუჭა. ცალკე სახსენებელია ფინიქსელი ამარე სტუდემაიერი, ვინაც ამ უხვქულიან თამაშში 42 ქულა მოიხვეჭა, რაც მისთვისაც და მისი გუნდისთვისაც უბევრესია მიმდინარე სეზონში.

.საჩვენებელი თითის ტრავმამ მესამე თამაში გამოატოვებინა „კლივლენდის" ჯილა ლებრონ ჯეიმსს, ხოლო ეს გუნდი თავისი ლიდერის გარეშე რა ხვითოცაა, აგერ „ნიუ ჯერსისთან" გამოჩნდა. 36 ქულის მომხვეჭმა ნიუჯერსელმა რიჩი ჯეფერსონმა ნამატჩევს თქვა — როცა ბედი ულებრონო „კლივლენდთან" თამაშს გჩუქნის, უნდა გახვიდე მოედანზე და დაწყებისთანავე დაამთავრო საქმე. დაწყებისთანავე არა, მაგრამ თამაში საღლაც მესამე მეოთხედში დამთავრდა, როცა „ნიუ ჯერსიმ" 9:0 გაქცევა მოაწყო და უპირატესობა 20 ქულას მიაახლოვა.

**კოტე ყორშია**



მილუოკელმა ჩარლი ბელმა კლიპერსელ პოლ დევისს თავი მუცელში აძგერა

| აღმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ბოსტონი | 14 | 2 | 87,5 |
| ტორონტო | 10 | 8 | 55,6 |
| ნიუ ჯერსი | 9 | 9 | 50,0 |
| ნიუ იორკი | 5 | 11 | 31,3 |
| ფილადელფია | 5 | 12 | 29,4 |
| **ცენტრალური** | | | |
| დეტროიტი | 12 | 5 | 70,6 |
| კლივლენდი | 9 | 10 | 47,4 |
| ინდიანა | 9 | 10 | 47,4 |
| მილუოკი | 7 | 8 | 46,7 |
| ჩიკაგო | 4 | 11 | 26,7 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| ორლანდო | 16 | 4 | 80,0 |
| ვაშინგტონი | 8 | 9 | 47,1 |
| ატლანტა | 7 | 9 | 37,5 |
| შარლოტი | 6 | 10 | 37,5 |
| მაიამი | 4 | 13 | 23,5 |

| დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| სან ანტონიო | 15 | 3 | 83,3 |
| ნიუ ორლეანი | 12 | 6 | 66,7 |
| დალასი | 12 | 6 | 66,7 |
| ჰიუსტონი | 9 | 9 | 50,0 |
| მემფისი | 6 | 11 | 35,3 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| იუტა | 13 | 5 | 77,8 |
| დენვერი | 11 | 7 | 61,1 |
| პორტლენდი | 6 | 12 | 33,3 |
| სიეტლი | 3 | 15 | 16,7 |
| მინესოტა | 2 | 14 | 12,5 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ფინიქსი | 14 | 4 | 77,8 |
| ლეიკერსი | 10 | 8 | 55,6 |
| გოლდენ სტეიტი | 9 | 8 | 52,9 |
| კლიპერსი | 6 | 9 | 40,0 |
| საკრამენტო | 6 | 10 | 37,5 |

## ლიგის ლიდერები

| ქულა | |
|---|---|
| ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი) | 30,7 |
| კობი ბრაიანტი (ლეიკერსი) | 27,2 |
| ტრეისი მაკგრეიდი (ჰიუსტონი) | 25,9 |
| რიჩარდ ჯეფერსონი (ნიუ ჯერსი) | 25,4 |
| კარმელო ენტონი (დენვერი) | 25,3 |
| კარლოს ბუზერი (იუტა) | 24,9 |
| კევინ მარტინი (საკრამენტო) | 24,5 |
| ალენ აივერსონი (დენვერი) | 23,5 |
| მაიკლ რედი (მილუოკი) | 23,3 |
| ბაირონ დევისი (გ. სტეიტი) | 23,3 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო) | 23,2 |
| კერონ ბატლერი (ვაშინგტონი) | 23,0 |
| იაო მინი (ჰიუსტონი) | 22,1 |
| ანტუან ჯემისონი (ვაშინგტონი) | 21,9 |
| დირკ ნოვიცკი (დალასი) | 21,2 |
| პოლ პირსი (ბოსტონი) | 21,1 |
| ჯოშ ჰოვარდი (დალასი) | 21,0 |
| ამარე სტუდემაიერი (ფინიქსი) | 20,8 |
| ტონი პარკერი (სან ანტონიო) | 20,7 |
| ჯო ჯონსონი (ატლანტა) | 20,7 |
| **მოხსნა** | |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო) | 15,1 |
| მარკუს კემბი (დენვერი) | 14,7 |
| კრის კამანი (კლიპერსი) | 13,9 |
| კევინ გარნეტი (ბოსტონი) | 11,6 |
| კარლოს ბუზერი (იუტა) | 11,4 |
| ემეკა ოკაფორი (შარლოტი) | 11,4 |
| შონ მერიონი (ფინიქსი) | 11,2 |
| ჟიდრუნას ილგაუსკასი (კლივლენდი) | 11,1 |
| ალ ჯეფერსონი (მინესოტა) | 11,0 |
| ალ ჰორფორდი (ატლანტა) | 10,4 |
| **პასი** | |
| სტივ ნეში (ფინიქსი) | 11,1 |
| ჯეისონ კიდი (ნიუ ჯერსი) | 10,7 |
| კრის პოლი (ნიუ ორლეანი) | 10,1 |
| დერონ უილიამსი (იუტა) | 9,1 |
| ბაირონ დევისი (გ. სტეიტი) | 8,6 |
| **ჩაჭრა** | |
| კრის პოლი (ნიუ ორლეანი) | 2,9 |
| ბაირონ დევისი (გ. სტეიტი) | 2,4 |
| რონი ბრიუერი (იუტა) | 2,4 |
| ალენ აივერსონი (დენვერი) | 2,3 |
| შონ მერიონი (ფინიქსი) | 2,3 |
| **დაფარება** | |
| ჯოშ სმიტი (ატლანტა) | 3,5 |
| მარკუს კემბი (დენვერი) | 3,3 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო) | 3,0 |
| კრის კამანი (კლიპერსი) | 2,9 |
| ანდრეი კირილენკო (იუტა) | 2,4 |
| **დაკარგვა** | |
| ჯეისონ კიდი (ნიუ ჯერსი) | 4,1 |
| ანდრე იგუდალა (ფილადელფია) | 4,0 |
| სტივ ნეში (ფინიქსი) | 3,9 |
| დერონ უილიამსი (იუტა) | 3,8 |
| ალენ აივერსონი (დენვერი) | 3,7 |
| **საჯარიმოების %** | |
| კენიონ დულინგი (ორლანდო) | 97,5 |
| დერეკ ფიშერი (ლეიკერსი) | 95,7 |
| სტივ ნეში (ფინიქსი) | 94,0 |
| კირკ ჰაინრიხი (ჩიკაგო) | 93,8 |
| ჯოშ ჩილდრესი (ატლანტა) | 93,3 |
| **თამაშიდან სროლების %** | |
| ანდრის ბიედრინსი (გ. სტეიტი) | 63,3 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლადო) | 61,1 |
| შაკილ ონილი (მაიამი) | 60,3 |
| ანტონიო მაკდაისი (დეტრ.) | 59,7 |
| ენდრიუ ბინამი (ლეიკერსი) | 57,8 |

# დინოზავრების ნაკვალევზე
## 50 წლის შემდეგ რეკორდსმენები გადაშენდებიან

**კაცობრიობა** უახლოვდება საკუთარი ფიზიკური შესაძლებლობების ზღვარს და დაახლოებით ნახევარი საუკუნის შემდეგ, პრაქტიკულად, შეუძლებელი გახდება სპორტში მსოფლიო რეკორდების დამყარება! — ასეთია ფრანგ მეცნიერთა დასკვნა.

საფრანგეთის ბიომედიცინის და ეპიდემიოლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლები წლების განმავლობაში იკვლევდნენ სპორტსმენებს და მათ შედეგებს, დაამუშავეს მსოფლიო რეკორდის 3 260 შემთხვევა 1896 წლიდან, ანუ ოლიმპიური თამაშების განახლებიდან ბოლო დრომდე. ამასთან, გამოიკვლიეს არა ყველა, არამედ ოლიმპიურ სახეობებში, კერძოდ, მძლეოსნობაში, ცურვაში, ძალოსნობასა და ციგურაობაში დამყარებული რეკორდები.

მეცნიერებაც არ სჭირდება იმის შემჩნევას, რომ ამ სახეობებში რეკორდები 60-იანი წლების შემდეგ ერთიორად შემცირდა, ბოლო წლებში კი, საერთოდ, სანთლით საძებარი გახდა. ამ აქტუალური საკითხის ერთ-ერთი მკვლევარი, ფრანგი დოქტორი ჟან-ფრანსუა ტუსენი აღნიშნავს, რომ ეს არამც და არამც არაა ცხოვრების პირობების შეცვლის ბრალი. უბრალოდ, კაცობრიობა უახლოვდება თავის ზღვარს და როგორც ზემოთ ვთქვით, დაახლოებით 50 წლის შემდეგ ველარაფერში ველარ შეძლებს საუკეთესო მიღწევის გაუმჯობესებას. გამოდის, ვინც შემდეგ რამდენიმე ათწლეულში გამოვა სარბიელზე, მას კიდევ ექნება უნიკალური შედეგის მიღწევის შანსი, აი, შემდეგმა თაობებმა კი უნდა ჩათვალონ, რომ არ გაუმართლათ და თავს ზემოთ ძალა არ ექნებათ.

ფრანგმა მეცნიერებმა აქვე დაამშვიდეს სპორტის მოყვარულები, ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სახეობაში, 100 მეტრზე სირბილში, კიდევ დარჩა სარეკორდო რეზერვი. რადგან იამაიკელი ასაფა პაუელი 100 მეტრს 9,74 წამში ფარავს, არაა გამორიცხული, რომ ფიზიკურად მასზე უფრო მძლავრი და სწრაფი ადამიანიც გამოჩნდეს ამ მოკლე ხანში, მაგრამ მათ იმასაც გაუსვეს ხაზი, რომ ადამიანი ვერასდროს შეძლებს 100 მეტრის 9 წამში გარბენას, ხოლო ამ სახეობის რეკორდების სვლა დაახლოებით 9,50 წამთან შეჩერდება.

თუმცა არის ისეთი სახეობებიც, რომლებიც შედარებით ახალგაზრდაა და კაცობრიობა მთელი გაქანებით ჯერ არ შესდგომია მის ათვისებას. ასეთად მოიაზრება, მაგალითად, ქალთა ჭოკით ხტომა, სადაც მხოლოდ რუსმა ელენა ისინბაევამ შეძლო 5-მეტრიანი ზღვარის დაძლევა (5,01), სხვები კი 4,90 მეტრს არ ასცილებიან. მაშასადამე, შესაძლოა, გამოჩნდნენ ისინბაევას მსგავსნი და ნიჭიერი სპორტსმენებით მწირი ეს სახეობაც „აითვისონ". მაგრამ კიდევ ერთხელ ვთქვათ, 50 წლის შემდეგ ასათვისებელი, პრაქტიკულად, აღარაფერი იქნება.

**კოტე ყორშია**

# დამატებულის დამატებულის დამატებული

## ბერლინში გრძელი ისტორია დაიწერა

ულებ-ის თასის გასული ტური ისტორიული გამოდგა. უფრო სწორად, ერთ-ერთ მატჩში მოხდა ისეთი რამ, რაც ამ ტურნირს ხომ არ ახსოვს და, ეჭვი გვაქვს, ევროპულ კალათბურთშიც არ ექნება ანალოგი. გერმანულ „ალბასა“ და ბოსნიურ „ბოსნას“ შორის გამარჯვებულის გამოვლენას 5 (!) ოვერტაიმი დასჭირდა, ანუ გუნდებმა 65 წუთი გაატარეს დაუნდობელ და უდაძაბულეს ბრძოლაში, საიდანაც გამარჯვებული „ალბა“ გამოვიდა.

ნბა-ს მატჩი რომ იყოს, ანგარიშის სიდიდე არ გაგვიკვირდებოდა, თუმცა ევროპული კალათბურთისთვის 141:127 ნამეტანია. ისე, 5 ოვერტაიმი ითამაშეს გუნდებმა და შესაძლებელი იყო, კიდევ უფრო დიდი ანგარიშიც დაფიქსირებულიყო.

ძირითადი დრო 71:71 დამთავრდა, მერე კი რომ მიჰყვნენ, აცხვეს და აცხვეს ოვერტაიმები. ბობი ბრაუნი ხომ ცნობილი მომღერალია და ეს სახელ-გვარი ამიერიდან კალათბურთშიც იცოცხლებს. ბრაუნმა „ალბა“ არაერთხელ იხსნა წაგებისგან — პირადად მან სამჯერ გადაიყვანა თამაში ოვერტაიმში და ბოლოს ბერლინელებმა 14 ქულით რომ გაიმარჯვეს, მისი დამსახურებაა. საბოლოოდ ბობი ბრაუნმა 44 ქულას მოუკრა პირი და ულებ-ის თასის რეკორდი გამოაცხო.

„მე არ ვიცი, რას ვიგრძნობ ამაღამ და უახლოესი დღეების განმავლობაში — აღნიშნა ბრაუნმა — ყველაფერი ისე მტკივა, ისეთი დაღლილი ვარ, რომ ტირილი მინდა. ამავდროულად, ესაა ძალიან ძლიერი და სასიამოვნო განცდა, ასეთ დრამატულ მატჩში რომ გამარჯვებულები გამოვედით. ეს თამაში არასდროს დამავიწყდება. ვითომ რიგითი შეხვედრა იყო, მაგრამ ამ გამარჯვებას ოქროს ფასი აქვს“.

რადიკალურად განსხვავებულად წარიმართა ის მატჩი, რომელშიც ულებ-ის თასის ერთადერთი ქართველი მონაწილეობდა. „ბკ კიევმა“ იოლად მოდრიკა ბრიტანული „არტლენდი“ და ცხრილის სათავეში გამაგრდა.

მარკოიშვილს არც ხუთეულში უთამაშია და მოედანზეც შეუფერებლად ცოტა ხანი — 16 წუთი — გაატარა. მიუხედავად ამისა, მაინც ბარაქიანი მონაგრით დაასრულა თამაში — 12 ქულას 3 მოხსნაც მიაყოლა და კიეველთა გამარჯვებაში თავისი სიტყვა თქვა.

ნამატჩევს თავისიანთა თამაშით აღფრთოვანებული იყო „ბკ კიევის“ სლოვენიელი თავკაცი ტომო მაჰორიჩი: „ძალიან ძლიერი მეტოქე გვყავდა. ალბათ ყველაზე ძლიერი, ვისაც კი ამ სეზონში ვეთამაშეთ და მადლობა ბიჭებს, რომ ყველაფერი გაიღეს გამარჯვებისთვის. გადამწყვეტი მესამე მეოთხედი იყო, როცა მეტოქე საბოლოოდ გავტეხეთ“.

**ირაკლი პერტაია**

## ულებ-ის თასი. ჯგუფური ეტაპი მეხუთე ტური. 4 დეკემბერი

**A ჯგუფი**

ალბა (გერმანია) 141:127 ბოსნა (ბოსნია)

*ძირითადი დრო: 71:71*

გილფორდი (დიდი ბრიტანეთი) 67:107 ტელეკომი (თურქეთი)

ხუვენტუდი (ესპანეთი) 90:65 შაულიაი (ლიტვა)

ხუვენტუდი 10, ტელეკომი 9, ალბა 8, შაულიაი 7, ბოსნა 6, გილფორდი 5

**B ჯგუფი**

FMP (სერბეთი) 70:76 ვენტსპილსი (ლიტვა)

შალონი (საფრანგეთი) 64:73 ბეშიქთაში (თურქეთი)

ოვარენშე (პორტუგალია) 78:81 კიოლნი (გერმანია)

ბეშიქთაში 10, ვენტსპილსი 9, კიოლნი 8, შალონი 7, აძზ 6, ოვარენშე 5

**C ჯგუფი**

გალათასარაი (თურქეთი) 86:71 ჰემოფარმი (სერბეთი)

ჰანზევასტი (ჰოლანდია) 79:73 შარლერუა (ბელგია)

ხირონა (ესპანეთი) 73:65 ასოფტი (რუმინეთი)

ხირონა 9, გალათასარაი 9, ჰემოფარმი 8, შერლერუა 7, ასოფტი 6, ჰანზევასტი 6

**D ჯგუფი**

აზოვმაში (უკრაინა) 84:80 სკაილაინერსი (გერმანია)

ხიმკი (რუსეთი) 81:78 პამესა (ესპანეთი)

ნანსი (საფრანგეთი) 92:68 ანვილი (პოლონეთი)

ხიმკი 10, პამესა 9, ნანსი 8, აზოვმაში 7, ანვილი 6, სკაილაინერსი 5

**E ჯგუფი**

ტრიუმფი (რუსეთი) 88:67 ანტვერპენი (ბელგია)

ელიონი (ისრაელი) 65:85 ფრაიბურგი (გერმანია)

სვანსი (შვედეთი) 72:79 ბუდუჩნოსტი (ჩერნოგორია)

ტრიუმფი 9, ბუდუჩნოსტი 9, ფრაიბურგი 8, სვანსი 7, ანტვერპენი 6, ელიონი 6

**F ჯგუფი**

დინამო (რუსეთი) 94:83 ნიმბრუკი (ავსტრია)

ბოლონია (იტალია) 83:53 პანელინიოსი (საბერძნეთი)

ოსტენდე (ბელგია) 72:73 ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)

დინამო 9, ცრვენა ზვეზდა 9, ოსტენდე 7, ნიმბრუკი 7, ბოლონია 7, პანელინიოსი 6

**G ჯგუფი**

კალევი (ესტონეთი) 61:79 შლიონსკი (პოლონეთი)

ასველი (საფრანგეთი) 94:86 კანარია (ესპანეთი)

ლუდვიგსბურგი (გერმანია) — პანიონიოსი (საბერძნეთი)

*წუხელ გვიან დამთავრდა*

შლიონსკი 9, კანარია 8, ასველი 8, კალევი 8, პანიონიოსი 5, ლუდვიგსბურგი 4

**H ჯგუფი**

ბკ კიევი (უკრაინა) 87:66 არტლენდი (დიდი ბრიტანეთი)

*ბკ კიევი: მარკოიშვილი (16 წუთი, 12 ქულა, 3 მოხსნა)*

ბენეტონი (იტალია) 73:63 FCR (ლატვია)

პო ორტეზი (საფრანგეთი) — აკადემიკი (ბულგარეთი)

*წუხელ გვიან დამთავრდა*

ბკ კიევი 9, არტლენდი 8, ასკ 7, ბენეტონი 7, აკადემიკი 6, პო ორტეზი 5

**I ჯგუფი**

ტუროვი (პოლონეთი) 78:68 ჰაპოელი (ისრაელი)

ზადარი (ხორვატია) 94:65 სტრასბური (საფრანგეთი)

ეიფელ თაუერსი (ჰოლანდია) 79:108 უნიქსი (რუსეთი)

ტუროვი 9, ჰაპოელი 8, ზადარი 7, უნიქსი 7, სტრასბური 7, ეიფელ თაუერსი 7



მანუჩარ მარკოიშვილის გუნდი კვლავაც ჯგუფის თავშია



## მსოფლიოს XVIII ჩემპიონატი
ქალები. საფრანგეთი. 2-16 დეკემბერი



# ჯერჯერობით უსენსაციოდ

პირველი ჯგუფური ტურნირის დასკვნით ტურში სენსაციური არაფერი მომხდარა და სამედლო ფავორიტები უპრობლემოდ აგრძელებენ ბრძოლას.

36 მატჩიდან მხოლოდ ორი დასრულდა ფრედ. მსოფლიოს სადღეისო ჩემპიონ რუსეთს ბრაზილიელებთან ქულის დაკარგვამ არაფერი ავნო, ხოლო უნგრელ და ესპანელ ხელბურთელთა უმწვავეს დაპირისპირებაში, როგორც იტყვიან, ალბათ საპრიზო ქულა დაიკარგა, რადგან მეტოქეები ერთმანეთს მშვიდობიანად დაშორდნენ — 26:26.

ბუნებრივია, საგვირგვინო ჭიდილს აგრძელებენ ყოფილი ტრიუმფატორებიც — საფრანგეთი, ნორვეგია, გერმანია.

12 საუკეთესო ნაკრები ორ ექვსგუნდა ჯგუფში გადანაწილდა და ერთდღიანი დასვენების შემდეგ საპლეიოფო-სამედლო თამაშებიც გაჩაღდება.

**მესამე ტური**

| A ჯგუფი | D ჯგუფი |
|---|---|
| ყაზახეთი 26:22 არგენტინა | ტუნისი 30:27 ჩინეთი |
| საფრანგეთი 28:26 ხორვატია | რუმინეთი 38:33 პოლონეთი |
| *საფრანგეთი 6, ხორვატია 4,* ყაზახეთი 2, არგენტინა 0 | *რუმინეთი 6, პოლონეთი 4,* ტუნისი 2, ჩინეთი 0 |
| **B ჯგუფი** | **E ჯგუფი** |
| მაკედონია 30:13 ავსტრალია | კონგო 32:28 იაპონია |
| რუსეთი 31:31 ბრაზილია | უნგრეთი 26:26 ესპანეთი |
| *რუსეთი 5, მაკედონია 4,* ბრაზილია 3, ავსტრალია 0 | *უნგრეთი 5, ესპანეთი 5,* კონგო 2, იაპონია 0 |
| **C ჯგუფი** | **F ჯგუფი** |
| ნორვეგია 33:20 ავსტრია | გერმანია 32:26 კორეა |
| ანგოლა 41:20 დომინიკის რესპ. | უკრაინა 43:17 პარაგვაი |
| *ნორვეგია 6, ანგოლა 4,* ავსტრია 2, დომინიკის რესპ. 0 | *გერმანია 6, კორეა 4,* უკრაინა 2, პარაგვაი 0 |



# რუმინული კედელი

ჩეხური პრეროვის მაგარსაფარზე ITF-ის ეგიდით ქალთა 25-ათასიანი ტურნირი ქართველების გარეშე გრძელდება. საკვალიფიკაციო ეტაპიდან ძირითად ბადეში მოხვედრას ორი ჩვენებური ცდილობდა, მაგრამ ორივეს ხელი მოეცარა.




არადა, პირველ წრეში კვალიფიკანტთა შორის, შესაბამისად, მე-2 და მე-13 ნომრად განთესილებმა — სოფო შაფათავამ და თინა ყავლაშვილმა მასპინძლებს აჯობეს. სოფომ 6:2 4:6 6:4 მოუგო 20 წლისა და რეიტინგში 660-ე ადგილზე მყოფ სიმონა დობრას, ხოლო თინამ 6:4 6:4 სძლია შეჯიბრში ორგანიზატორთა ნებით, ანუ „ვაილდ ქარდით“ დაშვებულ კრისტა ჰანკაროვას.

მეორე წრეში ქართველების მეტოქეები, უკვე რუმინელები იყვნენ და ვლახურ ბარიერზე ჩვენიანებს ფეხი დაუცდათ — შაფათავას 4:6 7:6 6:3 სძლია 19 წლისა და კლასიფიკაციაში 564-ე ადგილზე მყოფმა ლაურა-იონა ანდრეიმ, ხოლო ყავლაშვილს 6:4 6:2 მოუგო 17 წლის ალექსანდრა კადანტუმ, ვინც WTA-ს რეიტინგში 431-ე საფეხურზე იმყოფება.

# მე თქვენ დაგიმალავთ!

## ამერიკა–ევროპა: ცუდი საუბრები ჰოკეის თემაზე

**რამდენიმე** დღის წინ აგორდა ამბავი, რომ სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადა შეიძლება, ნჰლ-ის მოთამაშეების გარეშე დარჩეს. ამაზე ლიგის კომისიონერმა გერი ბეტმენმა განაცხადა — მაშინ ამას ირონიით უფრო შეხედეს და სერიოზულად არ მიიღეს. თუმც სიტუაცია იქითკენ მიდის, რომ მსოფლიოს უძლიერესი ჰოკეისტებმა სოჭში კი არა, შეიძლება, ვანკუვერის 2010 წლის ოლიმპიურ თამაშებზეც არ ითამაშონ.

საქმე იმაშია, რომ ნჰლ-ს ურთიერთობები დაეძაბა ევროპულ ფედერაციებთან. მოგეხსენებათ, რომ ჩრდილო-ამერიკაში დრაფტის სისტემა არსებობს, რომელზეც ნჰლ-ის გუნდები მსოფლიოს ნიჭიერ ჰოკეისტებს ინაწილებენ — ამის შემდეგ ნებისმიერ ახალგაზრდა ტალანტს შეუძლია, მაშინ მიაშუროს ოკეანისგაღმეთს, როცა იქიდან დაუძახებენ. თანაც ნჰლ-ის გუნდები სამისოდ არაფერს, ან თითქმის არაფერს არ უხდიან იმ ევროპულ კლუბებს, რომელბშიც ეს ტალანტები გაიზარდნენ.

პირველად ამ უსამართლობაზე ხმა რუსებმა აიმაღლეს და შარშან ნჰლ-თან კონტრაქტის გაფორმებაზე უარი თქვეს, რის გამოც ჩრდილოამერიკულ გუნდებს უფრო უჭირთ რუსეთიდან მოთამაშეს მიწვევა. რუსებმა პირდაპირ განაცხადეს, რომ თუ რომელიმე ჰოკეისტს კონტრაქტი აქვს ადგილობრივ გუნდთან, მაშინ მას ან კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე არ შეეძლება ატლანტიკის გაღმა წასვლა, ანაც ნჰლ-ის გუნდებს კომპენსაციის გადახდა მოუწევთ.

ამაზე უკვე ნჰლ-ი აიბურძგლა და მთელმა 2007-მა წელმა მსოფლიოს უძლიერეს ლიგასა და რუსეთს შორის დიდ ძიძგილაობაში ჩაიარა.

ახლახან რუსეთის დარი პოზიცია შვედებმაც დაიკავეს და ნჰლ-თან შეთანხმების გაგრძელებაზე უარი თქვეს.

„ყელში ამოგვივიდა — ყველა ნიჭიერი ჰოკეისტი პირველი შესაძლებლობისთანავე ამერიკა-კანადაში გარბის. ჰოდა, ახლა ჩვენი ჩემპიონატის 12-ვე გუნდი ერთსულოვანია, რომ ეს უნდა შეწყდეს. ნჰლ-ში ეს შეიძლება ეწყინოთ, მაგრამ ჩვენ არც მათი გამწარება გვწადია და არც რუსებთან ალიანსში ვართ, უბრალოდ, საკუთარი ჩემპიონატის დაცვა გვინდა ნიჭიერი ჰოკეისტების ულევი გადინებისგან" — განაცხადა შვედური ჰოკეის ყოფილმა ვარსკვლავმა და გუნდ „ფერესტადის" გენერალურმა მენეჯერმა ჰოკან ლოობმა.

თქვენ იკითხავთ, ოლიმპიადა რაღა შუაშია? იმ შუაშია, რომ ევროპული ფედერაციების ასეთი დემარშის შემდეგ ნჰლ-ი თავისი ბერკეტების გამოყენებით იმუქრება და ამიტომ აცხადებს, ოლიმპიადებზე ჩვენი ლიგის ჰოკეისტებს აღარ გავუშვებთო.

ეს დაპირისპირება კი მთლიანად ჰოკეისთვის იქნება საზიანო. ამაზე პირდაპირ მიუთითა 80-იანი წლების ნჰლ-ის ერთ-ერთმა სახემ პეტერ შტასტნიმ:

„ეს ყველას ავნებს. არ შეიძლება, ოლიმპიადამ უძლიერესი ჰოკეისტების გარეშე ჩაიაროს — სხვადასხვა სკოლის დაპირისპირება მაყურებელთა დიდ ინტერესს იწვევს და საცოდაობაა, ისინი ასეთი სანახაობის გარეშე დარჩნენ. ამიტომ ნჰლ-საც და ევროპის ქვეყნების ფედერაციებსაც მოუწევთ კომპრომისზე წასვლა, თორემ ყველანი ვიზარალებთ".

**კახა ლომაშვილი**

## რეგულარული ჩემპიონატი

**3 ნოემბერი**

**რეინჯერსი 0:4 კაროლინა**

*0:2 0:0 0:2*

0:1 უოკერი (6), 0:2 სტილმანი (20), 0:3 ტანები (52), 0:4 სტილმანი (54)

**აილენდერსი 1:3 ბოსტონი**

*0:1 0:1 1:1*

0:1 მიურეი (14), 0:2 ნოკელიაინენი (39), 0:3 კობასიუ (57), 1:3 კამპოლი (59)

**კოლუმბუსი 1:2 დალასი**

*1:0 0:0 0:1 0:0 (0:1 ბულიტებით)*

1:0 ფერდევი (14), 1:1 კონერი (44)

**პიტსბურგი 3:1 ფინიქსი**

*1:0 0:0 2:1*

1:0 ტელბოტი (20), 1:1 დოუნი (42), 2:1 ლეტანგი (52), 3:1 კენედი (56)

**კოლორადო 2:3 სან ხოსე**

*1:1 0:1 1:1*

0:1 მიხალეკი (4), 1:1 ჰეიდუკი (4), 1:2 ბერნიე (30), 1:3 გრირი (49), 2:3 ბრუნე (57)

**ლოს ანჯელესი 3:4 ედმონტონი**

*1:0 1:3 1:0 0:0 (0:1 ბულიტებით)*

1:0 კოპიტარი (6), 1:1 პიტკიანენი (22), 1:2 პენერი (29), 2:2 ბრაუნი (31), 2:3 ტორესენი (35), 3:3 ნადი (59)

**4 ნოემბერი**

**მონრეალი 1:4 დეტროიტი**

*0:1 1:2 0:1*

0:1 დაციუკი (17), 1:1 ჰიგინსი (25), 1:2 დაციუკი (32), 1:3 კრუნვალი (34), 1:4 ზეტერბერგი (54)

**ტამპა 4:3 ოტავა**

*2:0 0:0 1:3 0:0 (1:0 ბულიტებით)*

1:0 დარშე (4), 2:0 გრეტონი (12), 2:1 ალფრედსონი (48), 3:1 კუბა (50), 3:2 ალფრედსონი (59), 3:3 რადენი (59)

**ტორონტო 3:1 ნეშვილი**

*1:0 1:0 1:1*

1:0 ანტროპოვი (1), 2:0 სტეიჯანი (22), 3:0 ბელაკი (43), 3:1 ვებერი (55)

**კალგარი 3:1 სენტ ლუისი**

*0:1 2:0 1:0*

0:1 სტემპნიაკი (1), 1:1 ნილსონი (29), 2:1 ბოიდი (38), 3:1 ჰუსელიუსი (59)

**NHL**

| აღმოსავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | | | | |
| რეინჯერსი | 27 | 15 | 10 | 2 | 62:55 | 32 |
| ფილადელფია | 25 | 14 | 9 | 2 | 77:71 | 30 |
| ნიუ ჯერსი | 26 | 14 | 10 | 2 | 67:63 | 30 |
| აილენდერსი | 25 | 13 | 11 | 1 | 57:68 | 27 |
| პიტსბურგი | 26 | 12 | 2 | 12 | 77:75 | 26 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ოტავა | 26 | 16 | 7 | 3 | 83:71 | 35 |
| ბოსტონი | 25 | 14 | 9 | 2 | 66:62 | 30 |
| მონრეალი | 27 | 13 | 10 | 4 | 78:78 | 30 |
| ტორონტო | 28 | 11 | 11 | 6 | 84:95 | 28 |
| ბუფალო | 24 | 12 | 11 | 1 | 75:64 | 25 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| კაროლინა | 28 | 15 | 10 | 3 | 90:86 | 33 |
| ტამპა | 27 | 12 | 13 | 2 | 85:83 | 26 |
| ატლანტა | 26 | 12 | 13 | 1 | 69:85 | 25 |
| ფლორიდა | 27 | 12 | 14 | 1 | 69:76 | 25 |
| ვაშინგტონი | 27 | 9 | 16 | 2 | 63:79 | 20 |

| დასავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ცენტრი** | | | | | | |
| დეტროიტი | 27 | 19 | 6 | 2 | 92:64 | 40 |
| სენტ ლუისი | 24 | 15 | 8 | 1 | 62:53 | 31 |
| ჩიკაგო | 26 | 14 | 10 | 2 | 78:72 | 30 |
| კოლუმბუსი | 27 | 12 | 10 | 5 | 68:67 | 29 |
| ნეშვილი | 25 | 13 | 10 | 2 | 74:75 | 28 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| მინესოტა | 26 | 15 | 9 | 2 | 69:65 | 32 |
| ვანკუვერი | 26 | 14 | 10 | 2 | 69:62 | 30 |
| კოლორადო | 26 | 14 | 11 | 1 | 76:76 | 29 |
| ედმონტონი | 28 | 13 | 14 | 1 | 72:82 | 27 |
| კალგარი | 27 | 10 | 13 | 4 | 73:84 | 24 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | |
| დალასი | 28 | 15 | 9 | 4 | 81:71 | 34 |
| სან ხოსე | 25 | 13 | 8 | 4 | 66:56 | 30 |
| ანაჰაიმი | 28 | 12 | 12 | 4 | 66:80 | 28 |
| ფინიქსი | 25 | 11 | 14 | 0 | 60:76 | 22 |
| ლოს ანჯელესი | 26 | 10 | 14 | 2 | 71:85 | 22 |

**ბომბარდირები:** ვენსან ლეკავალიე (ტამპა) 41(18+23); ილია კოვალჩუკი (ატლანტა) 37(22+15); სიდნი კროსბი (პიტსბურგი) 37(14+23); ჯერომ იგინლა (კალგარი) 36(14+22); ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტროიტი) 35(17+18); დანიელ ალფრედსონი (ოტავა) 34(17+17); მატს სუნდინი (ტორონტო) 33(13+20); კორი სტილმანი (კაროლინა) 33(15+18); ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშინგტონი) 32(20+12); მარტინ სენ ლუი (ტამპა) 32(9+23); მარკ სავარი (ბოსტონი) 31(5+26); დენი ჰიტლი (ოტავა) 31(14+17); ჯო ტორნტონი (სან ხოსე) 31(11+20); ევგენი მალკინი (პიტსბურგი) 31(10+21); მაიკ რიჩარდსი (ფილადელფია) 31(14+17); პოლ შტასტნი (კოლორადო) 31(10+21); როდ ბრინდამორი (კაროლინა) 31(13+18); დანიელ ბრიარი (ფილადეფია) 30(12+18)

**გოლეადორები:** კოვალჩუკი 22; ოვეჩკინი 20; ლეკავალიე 18; ზეტერბერგი, ალფრედსონი 17-17; რიკ ნეში (კოლუმბუსი) 16; ბრედ ბოისი (სენტ ლუისი), სტილმანი 15-15; ჰიტლი, რიჩარდსი, ერიკ სტაალი (კაროლინა), კროსბი, იგინლა 14-14

**ასისტენტები:** სავარი 26; კროსბი, ლეკავალიე, სენ ლუი 23-23; ჯეისონ სპეცა (ოტავა), იგინლა 22-22; ჰენრიკ სედინი (ვანკუვერი), შტასტნი, მალკინი, მეტ კალენი (კაროლინა) 21-21; პატრიკ კეინი (ჩიკაგო), ნიკლას ლიდსტრომი (დეტროიტი), სერგეი ზუბოვი (დალასი), სუნდინი, ტორნტონი 20-20

**ნაყოფიერების კოეფიციენტი:** ჰიტლი 17; ფილიპ კუბა (ტამპა), ბრუს სალვადორი (სენტ ლუისი) 15-15; დუგლას მიურეი (სან ხოსე) 14; კარელ რახუნეკი (ნიუ ჯერსი), ლიდსტრომი 13-13; რობერტ ლანგი (ჩიკაგო) 12; კრის ფილიპსი (ოტავა), კურტ ზაიერი (კოლორადო) 11-11; ჩაკ კობასიუ (ბოსტონი), ზეტერბერგი, ჯეისონ არნოტი (ნეშვილი), ლეკავალიე, მარკო შტურმი (ბოსტონი), ენდი გრინი (ნიუ ჯერსი), პოლ რეინჯერი (ტამპა), ტორნტონი 10-10




ეროვნული ბიბლიოთეკა

# უმცროსი ჩავესი უფროსობაზე იქაჩება

**ჯერჯერობით** ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ ლეგენდარული მექსიკელი მოკრივის ხუან სეზარ ჩავესის შვილი მამაზე ნაკლებ კარიერას არ გაიკეთებს. ხუან სეზარ ჩავეს-უმცროსმა ამ უქმეებზე თავისი არცთუ ხანგრძლივ კარიერაში ყველაზე სერიოზული ჯახი გამართა და დამაჯერებლადაც იმარჯვა, რითაც ხაზი გაუსვა, რომ საშუალო წონის ელიტაში მყარად დამკვიდრებას აპირებს.

ჩავესი რეი სანჩესს ხვდებოდა, რომელიც მეტოქის დარად იმედოვნებდა, რომ ამ ჯახში თუ გაიმარჯვებდა, რომელიმე ქამრისთვის ბრძოლის საშუალება მიეცემოდა.

ბრძოლის წინ ორივე მოკრივე ამბობდა, მეტოქეს მაგრად დავჩეჩქავო. პრინციპში, პირობა ორივემ აასრულა, რადგანაც თავიდანვე ღია და უკომპრომისო ჩხუბი გაჩაღდა, რომელშიც ერთსაც და მეორესაც გვარიანად მოხვდა. თუმც 21 წლის ჩავესი უფრო გამძლე გამოდგა და დაახლოებით მეოთხე რაუნდიდან უპირატესობას დაეუფლა. ბრძოლის გადამწყვეტ მომენტად მეექვსე რაუნდის შუაწელი იქცა, როცა ჩავესმა მეტოქე ფიცარნაგზე ისე გააგორა, რომ სანჩესი ათ დათვლამდე ფეხზე ვეღარ წამოდგა.

ჩავესმა ნოკაუტით მოიგო, რაც მისთვის უკვე 34-ე გამარჯვება აღმოჩნდა.

„ვიცოდი, რომ სერიოზული დარტყმის პატრონი იყო, მაგრამ ოდნავადაც არ მეშინოდა. მოდით, სიმართლე ვთქვათ — ჩვენ სხვადასხვა დონის მოკრივეები ვართ და ეს შედეგზეც აისახა" — როგორც ხედავთ, ჩავესს ჩემპიონისთვის დამახასიათებელი დიდი ენაც ჰქონია.

**კახა ლომაშვილი**

# ტაში, სტვენა და ნოკაუტები

**ზაფხულში** კარლოს ბალდომირის დამარცხებისა და პირველ საშუალო წონაში WBC-ს ტიტულის მოპოვების შემდეგ პირველი ბრძოლა გამართა ამერიკელმა ვერნონ ფორესტმა.

იანკიმ იტალიელი მიქელე პირჩილო ძალიან დამაჯერებლად დაამარცხა. ფორესტმა პირველად მეოთხე რაუნდში შეავიწროვა მეტოქე და მართალია, აპენინელმა ამ წნეხს გაუძლო, მეექვსე რაუნდში ამერიკელმა მეტოქე დაანოკდაუნა.

იტალიელი კი წამოდგა, მაგრამ ფორესტი ისევ გამალებით უტევდა და პირჩილო მეცხრე რაუნდში კიდევ ერთხელ ჩაახუტა ფიცარნაგს. იტალიელი აქაც წამოდგა და კიდევ ორი რაუნდი გაძლო. მესამე ნოკდაუნის შემდეგ კი ბრძოლა ავტომატურად წყდება ხოლმე — ასე რომ, ფორესტს მაყურებელთა ტაშის ფონზე ტექნიკური ნოკაუტით მოგება ჩაეთვალა.

ამ ბრძოლის წინ იჩხუბა ნახევრადმძიმე წონაში WBA-ს, WBC-სა და IBF-ის ვერსიებით ექსჩემპიონმა ანტონიო ტარვერმაც. რამდენიმე წლის წინ ეს კაცი მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს მოკრივედ ითვლებოდა, მაგრამ ჯერ ბიზნესს გადაჰყვა, მერე კი ჰოლივუდს, რის გამოც ძველი სახელიც დაკარგა და მაყურებლის პატივისცემაც.

სწორედ ამიტომ ტარვერს, რომელიც დღეისთვის ნაკლებადპრესტიჟული IBO-ს ქამრის მატარებელია, დენი სანტიაგოსთან ბრძოლის დროს დარბაზი გამალებით უსტვენდა. ისე, პირველ რაუნდში ტარვერი იმდენად ინერტული იყო, რომ მეტს არაფერს იმსახურებდა. მაგრამ მაყურებელი არც მას შემდეგ გაჩერებულა, რაც გამოცოცხლდა — ეს მესამე რაუნდში მოხდა, როცა ანტონიომ მეტოქეს რამდენჯერმე ძალიან მწარედ მოარტყა.

ტარვერმა საქმე უკვე მეოთხე რაუნდში მოამთავრა, რადგანაც სანტიაგო ორჯერ დაანოკდაუნა და რეფერი იძულებული გახდა, ბრძოლა შეეწყვიტა.

**კახა ლომაშვილი**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლილუაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქელიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გიორგი ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, თამაზ მიგრიაული, ოთარ მალაკელიძე, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოღუნჯავაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
სარეკლამო სამსახური: შალვა ციხელაშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხრიკაშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge